მანანა ღუმბაძე

საქართველოს სიმებიანი ხვარტეტი

წინამდებარე წიგნი ეძღვნება „სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს" მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლის აღსანიშნავად. წიგნში გადმოცემულია სახელმწიფო კვარტეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ამბები.

თბილისი
2006

ავტორი, შემდგენელი: მანანა დუმბაძე

რედაქტორი: რუსუდან რუხაძე

მხატვარი-დიზაინერი: ლევან გაბუნია

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი ხუციშვილი

ნინო ბურდული

გარეკანის შიდა გვერდზე: ვახტანგ გაბუნიას „კვარტეტი"

(ტილო, ზეთი, 1979)

ი/მ „ნინო ბურდული"

სულხან-საბას ქ. 1/5

ტელ.: 93 41 39

877 78 77 10

ელ. ფოსტა: n-burduli@posta.ge

ISBN 99940-65-57-2

© ნოდარ ჟვანია

სარჩევი

ავტორისაგან 5

წინათქმა 17

თავი I

ანსამბლური შესრულების უნიკალური თვისებების ოთხეული 23

თავი II

მუსიკოსები იცინიან? 31

თავი III

მაესტროს ოქროს სიტყვა 45

თავი IV

კვარტეტის მასწავლებლები და მეგობრები 70

თავი V

ავტორი და მისი გუნდი 93

თავი VI

პირველი კონცერტი, პირველი სპონსორი და დაუვიწყარი ფესტივალები 110

თავი VII

შვილები და თაყვანისმცემლები 115

თავი VIII

გუარნერის ვიოლინოს გატაცების ამბავი 121

თავი IX

საქართველოს კულტურის დღეები სახალინზე 125

თავი X

გერმანია, კვარტეტის მეორე ცხოვრება 130

თავი XI

ჯილდოები და წოდებები, შემოქმედებითი კრედო და ხასიათი 137

თავი XII

ბლიცინტერვიუ კვარტეტთან 140

ბოლოთქმა 148

ავტორი დიდ მადლობას უხდის ამ წიგნის ლიტერატურულ გმირებს — „სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" წევრებს — ბატონებს კოტე ვარდელს, თამაზ ბათიაშვილს, ნოდარ ჟვანიას და ოთარ ჩუბინიშვილს — ნდობის, ყმაწვილური ენთუზიაზმისა და თანამშრომლობის სურვილისათვის. ასევე, უღრმესი მადლობა საქართველოს, თუ უცხოეთის პერიოდულ პრესასა და ჟურნალებში სახელმწიფო კვარტეტის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ავტორებს. მათ საგრძნობლად გაგვიადვილეს კვარტეტის, როგორც ანსამბლის და როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის არსის გაგება, სულში ჩაწვდომა და მის შესახებ ნამდვილი ამბის მოყოლა. ბოდიშს ვუხდით კვარტეტის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს წიგნში დაშვებული ნებისმიერი უნყინარი, თუ უნებლიე შეცდომისათვის, მადლობა — მოთმინებისა და გულისხმიერებისათვის. დაბოლოს, მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელსაც პირდაპირ თუ ირიბად რაიმე წვლილი მიუძღვის ამ წიგნის გამოცემაში.

წიგნი გამოიცა სააქციო საზოგადოება „ავტოგაზის" ფინანსური მხარდაჭერით.

ავტორისაგან

"საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელსაც საკვარტეტო მუზიცირების სპეციფიკა მოითხოვს. უპირველესად აღსანიშნავია ამ კოლექტივის შემოქმედებითი ერთსულოვნება, ანსამბლურობას რომ ვუწოდებთ ხოლმე. ამასთან, ანსამბლის ყოველი წევრი გამოირჩევა დამოუკიდებელი სახით, თავისი არტისტული ინდივიდუალობით, რაც ნიჭის წყალობა გახლავთ. ესაა მაღალი კლასის, ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი, რომლის შემოქმედება აღბეჭდილია არტისტიზმით, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით, ოსტატობითა და პროფესიონალიზმით."

სულხან ცინცაძე

ეს მაესტროს სიტყვებია და გაცილებით მეტია იმაზე, რასაც ათასი მუსიკისმცოდნე იტყოდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის, როგორც პროფესიონალი შემსრულებლების და მუსიკოსების, ქართული და საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობისათვის გაწეული ღვაწლის შესაფასებლად.

ამგვარი შეფასება ერთი მხრივ ამძიმებს და მეორე მხრივ ამსუბუქებს ჩემს, როგორც „საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" თვითაღიარებული „მემატიანეს" ნებაყოფლობით აკიდებულ ტვირთს — სრულად და თანაც საინტერესოდ გიამბოთ იმ პატარა პლანეტაზე, რომლის გულისცემა ორი ვიოლონოს, ერთი ალტისა და ერთი ვიოლონჩელის ხემის მოძრაობაზეა აწყობილი; პლანეტაზე, რომელსაც დიდი ხანია საქართველოში, უბრალოდ, „ჩვენს კვარტეტს" ეძახიან.

ჰოდა, მეც ასე მირჩევნია: ცოტა რამ „ჩვენს კვარტეტზე" გიამბოთ. ამ გზით თავს ავარიდებ „საქართველოს სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" შემოქმედებისა და მოღვაწეობის ღრმა პროფესიულ შეფასებას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ ამას ჩემი არასრული მუსიკალური განათლება და საშუალოდ განვითარებული სმენა მაინც არ ეყოფოდა.

დარწმუნებული ვარ, ჩემს წიგნს გამოქვეყნებისთანავე კვარტეტის უკმაყოფილო ფანატიკოსთა მთელი ჯარი „გამოეხმაურება", ამიტომ აქვე ვწყვეტ საკუ-

თარი თავის კრიტიკას და ვიმედოვნებ, რომ ამას ოპონენტები ჩემზე უკეთ მოახერხებენ.

„ჩვენი კვარტეტის" ისტორიის წერა იმით დავიწყე, რომ ჯერ თავად კვარტეტელებს მივადექი და შევუთანხმდი, რომ ჩემი „ქმნილება" იმთავითვე შორს იქნებოდა მათი მუსიკალური ცხოვრებისა და შემოქმედების წმინდა პროფესიული ანალიზისგან. თუმცა, ამას მაინც ვერ გავექეცი, რადგან ხელთ მქონდა ქართულ თუ უცხოურ პერიოდულ პრესაში საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის შესახებ არსებული ერთობ საინტერესო მასალა და გამოგიტყდებით, რომ ყოველი უმცირესი და უმშრალესი სტატიაც კი სულ ახალი, განსხვავებული კუთხით დამანახებდა ხოლმე ამ ოთხი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანის პორტრეტს და შესაბამისად, მაცვლევინებდა თხრობის მიმართულებას. მოკლედ, ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ბოლოს მაინც მივადექი ნერტილს, საიდანაც დაიწყო ყველაფერი — გიორგი, იგივე, ბიჭიკო ბარნაბიშვილისგან.

„თავის დროზე კვარტეტის შექმნით გიორგი ბარნაბიშვილმა ჩვენს საშემსრულებლო ხელოვნებას დიდი სამსახური გაუწია. ეს იყო საქართველოში საკვარტეტო მუზიცირების ახალ ეტაპზე აყვანის მცდელობა, რამაც საბოლოოდ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. მისი ახალი სისხლით შევსება იმ ვითარებაში საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. გიორგი ბარნაბიშვილმა ახალი, ახალგაზრდა კვარტეტი შექმნა, რომელმაც შემდეგ ბევრად განაპირობა არაერთი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებითი გზა" — ამბობს კვარტეტისადმი მიძღვნილ წერილში გია ყანჩელი. ამ სიტყვების კვალმა მერე მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელისა და გიორგი ბარნაბიშვილის არაჩვეულებრივ „დიალოგთან" მიმიყვანა, რომელიც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" 1974 წლის მე-11-ე ნომერში დაიბეჭდა.

„მეტისმეტად რთულად, წინააღმდეგობრივად, მტკივნეულად მიმდინარეობდა ამ ანსამბლის დაბადება. ბევრს, უფრო მეტიც, უმრავლესობას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, არ სჯეროდა მისი ხვალინდელი დღისა" — ეუბნება გიორგი ბარნაბიშვილი მანანა ახმეტელს.

გამოდის, რომ ჩვენი საყვარელი კვარტეტის შემოქმედებითი გზა, არც ისე იოლი და ია-ვარდით ფენილი ყოფილა, როგორც ამას დღეს თავად კვარტეტელები მიყვებიან.

კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, გიორგი ბარნაბიშვილი, ნოდარ ჟვანია

მანანა ახმეტელის სიტყვით, „ერთსულოვნების მიღწევა და შემდგომ მისი დამკვიდრება არამარტო ნიჭზე, ოსტატობასა და პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, არამედ მაღალ მოქალაქეობრივ სულისკვეთებაზე, მორალურ კულტურაზე და იმ ჭეშმარიტ ალტრუიზმზე, რომელიც პირადულს, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, საერთო საქმის კეთილდღეობას ანაცვალებს. შემოქმედებითი და ზნეობრივი თვისებების ასეთი კომპლექსი კი, სამწუხაროდ, მეტისმეტად იშვიათია. ალბათ ამით აიხსნება ის სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო კვარტეტში თაობათა შეცვლის მომენტმა გამოიწვია. ეჭვები, უნდობლობა, თავშეკავება გამოვამჟღავნეთ ამ ნიჭიერი ახალგაზრდების მიმართ, რომლებმაც წარმატებით აიღეს სტარტი და, რაც მთავარია, მთელი შემართებით, თავდავიწყებით შეუდგნენ სამოღვაწეო გზას" (*მანანა ახმეტელი, „დიალოგი", „საბჭოთა ხელოვნება", 1974, 11, გვ. 41*).

მაშ, რას მივანერეთ ეს? ნუთუ კვარტეტის დღევანდელმა პოპულარობამ, ან ყოვლისშემძლე დრომ სრულად გადაფარა ძველი „წყენანი"? თუ იმ კრიტიკულ

ჟამს ეჭვებისა და უნდობლობის მთელი სიმძიმე მიზეზთა და მიზეზთა თავმა, ახალი ანსამბლის შემქმნელმა, მისმა წევრმა და ხელმძღვანელმა იტვირთა ისე, რომ თავისი პირმშო სამშვიდობოს უვნებელი და გამარჯვებული გამოიყვანა? ასეც იყო ალბათ, რადგან კვარტეტის შესახებ ჩემს ხელთ არსებულ მასალებში ძირითადად ფიგურირებს ფრაზა: „ჩვენს კვარტეტს **ბედმა გაუღიმა**", თავად კვარტეტისტებიც საკმაოდ ხშირად ამბობენ, ბედმა გაგვიღიმაო. და რა კარგია, რომ ამბობენ, რომ ბედმა გაუღიმათ, რა კარგია, რომ ღმერთმა მათ ამის აღიარების სურვილი და ნიჭი მისცა. რა კარგია, რომ ასეთი სრულყოფილებით შემკული მუსიკოსები და მოქალაქეები გვყავს!

„გიორგი ბარნაბიშვილმა კვარტეტის ახალგაზრდა წევრები ამ ანსამბლის მრავალ საგულისხმო შესაძლებლობასა და მომხიბვლელ თავისებურებას აზიარა. გიორგი ბარნაბიშვილმა ქართული კვარტეტი საკონცერტო ცხოვრების ფართო გზაზე გაიყვანა, გვერდში ამოუყენა რესპუბლიკის მუსიკალური მოვლენების აქტიურ მონაწილეებს, ააღორძინა ამ ანსამბლის ხანგრძლივად მიყუჩებული, მოდუნებული სახე და ახალგაზრდა მუსიკოსები შემოქმედებაში აუცილებელ ბეწვის ხიდზე გაატარა. კონცერტებმა რესპუბლიკისა და კავშირის სხვადასხვა ქალაქში, ქართული მუსიკის დეკადებმა მოსკოვში, ესტონეთში, გდრ-ში, ჩვენი ქვეყნის უკიდურეს წერტილში — სახალინზე, ახალგაზრდა მუსიკოსებს განუმტკიცა საკუთარი ძალებისადმი რწმენა" (*ნანა ქავთარაძე, „საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი", „საბჭოთა ხელოვნება", 1973, 9. გვ. 34*), — ასე წერდა კვარტეტის შემოქმედებითი ზრდის პროცესზე მაშინდელი საბჭოური პრესა და ვფიქრობ, ამასთან საკამათო არც დღევანდელი გადასახედიდან უნდა გვქონდეს რამე.

ჩემი აზრით, ბიჭიკო ბარნაბიშვილს წილად ერგო ურთულესი მისია, შეექმნა საუკეთესო მუსიკალური ანსამბლი, იმაზე კარგი, რომელშიც თავად უკრავდა. მან ვალდებულებად აღიქვა ეს მისია და იგრძნო კიდეც საკუთარ თავში მისი აღსრულების ძალა. მაგრამ მისია, რაც უნდა პროგრესული იყოს, ნოვატორისგან მაინც მსხვერპლშეწირავას მოითხოვს და გიორგი ბარნაბიშვილმა სრულად გაიღო ეს მსხვერპლი. მისი ჰორიზონტი და თვალსაწიერი ბევრად უფრო ფართო იყო, ვიდრე საზოგადოება ხედავდა, ბევრად უფრო მასშტაბური, ვიდრე საზო-

გადოება მისგან მოითხოვდა. ეს ტვირთი მხოლოდ მისი სატარებელი იყო, რადგან ახალგაზრდებს, რარიგ ნიჭიერებიც უნდა ყოფილიყვნენ, მისი აწევა მარტო არც შეეძლოთ და შეიძლება არც კი ესურვათ. ადვილი შესაძლებელი იყო, თითოეულ მათგანს აერჩია სხვა სამოღვაწეო ასპარეზი — ორკესტრი, პედაგოგიკა, სოლო-შემსრულებლობა, რომელსაც არათუ გამოევლინა, არამედ ჩაეკლა მათი შემოქმედებითი პოტენციალი. ამიტომ გიორგი ბარნაბიშვილი თავიდან თავად ჩაუჯდა კვარტეტს და ვიდრე სამშვიდობოს არ გაიყვანა, ფესვმაგარ, სახელმოხვეჭილ ვირტუოზთა ანსამბლად არ ჩამოაყალიბა, გვერდიდან არ მოსცილებია. მოსცილდა და შემსრულებლის როლი ანსამბლის ხელმძღვანელის როლზე გაცვალა მხოლოდ მაშინ, როცა იგრძნო, რომ ანსამბლს თავისი სრული პოტენციალის გამოსამჟღავნებლად უკვე სულ სხვა სივრცეების დაპყრობა სჭირდებოდა, სხვა, უფრო სავსე და გაჯერებული ჰაერით სწყუროდა სუნთქვა. თავად დაიწყო თავისი საქმის ღირსეული გამგრძელებლის ძიება და მიაგნო კიდეც. ეს იყო ბოროდინის კვარტეტის პირველი ვიოლინო, გამოჩენილი მუსიკოსი როსტისლავ დუბინსკი, როსტიკა, როგორც მას კვარტეტის წევრები მოფერებით ეძახდნენ.

როსტიკას სიტყვებიდან კი ვგებულობთ, რომ „ჩვენი შეხვედრის ინიციატივა ეკუთვნოდა ამ კოლექტივის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, ჩემს ძვირფას კოლეგას გიორგი ბარნაბიშვილს... მისი სახით შევიძინე მეგობარი, თანამოაზრე, რომლის ნებისმიერ გამოვლინებაში მჟღავნდება ნამდვილი მუსიკოსი, მე ვიტყოდი — ნამდვილი ხელოვანი. კოლეგის მხრიდან იშვიათად ვყოფილვარ ასეთი მხარდაჭერისა და ნდობის მოწმე. მე შევასრულე მისი თხოვნა და მოვუსმინე ახალგაზრდა ქართველ ინსტრუმენტალისტებს. გამოგიტყდებით, განსაკუთრებულს არაფერს ველოდი, რადგან უკანასკნელი წლების მანძილზე ახალგაზრდულ კოლექტივებში არ შემინიშნავს რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე. მაგრამ შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა" (*როსტისლავ დუბინსკი. „საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი", „საბჭოთა საქართველო", 11 1974, გვ.47*).

ვიდრე წიგნის თხრობით ნაწილზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით, კვარტეტის, როგორც ანსამბლის ზოგად სპეციფიკაზე და საკვარტეტო შესრულების

სირთულეებზეც მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, მით უმეტეს, რომ ეს სირთულეები პირდაპირ მიმართებაშია ჩვენი წიგნის პერსონაჟთა შემოქმედებით მახასიათებლებთან. ვიცი, დიდ რისკზე მივდივარ, მაგრამ ვეცდები, მდგომარეობიდან ღირსეულად „გამოვძვრე". დავიწყებ იმით, რომ მუსიკისმცოდნეობაში აღიარებული ჭეშმარიტება ყოფილა ის, რომ **კვარტეტი რთული საშემსრულებლო ორგანიზმია, რომლის სასიცოცხლო იმპულსები ეყრდნობა წინააღმდეგობათა ერთობლიობის მარადიულ კანონზომიერებებს. „საკვარტეტო შემსრულებლობის თვისებათა მთელ კომპლექსში უნდა მონაწილეობდეს კოლექტიური შემსრულებლობისათვის გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესი მონაცემი, რომელსაც ანსამბლის შეგრძნების, შემოქმედებითი პარტნიორობის განსაკუთრებულ უნარს ვუწოდებთ. ეს მუზიცირების სპეციფიკური ფენომენია და ამ თვისებით ყველა როდია დაჯილდოებული"** (*გიორგი ბარნაბიშვილი*).

„ჩვენი კვარტეტის" მიმართებაში ერთნი ამბობენ, რომ საქმე გვაქვს იმ იშვიათ შემთხვევასთან, როცა ერთმანეთს ჰპოვებენ და უკავშირდებიან ერთი თვალთახედვის, ერთი შემოქმედებითი ორიენტაციისა და საერთო პოზიციებზე

გიორგი ბარნაბიშვილი კვარტეტთან ერთად

მყოფი მუსიკოს-ენთუზიასტები (მანანა ახმეტელი). მეორენი კი მიიჩნევენ, რომ სწორედ მსგავსება ემუქრება ჰარმონიას, ერთფეროვნებაა ჭეშმარიტი სინთეზის პირველი მტერი. სახელმწიფო კვარტეტში სრულიად განსხვავებული შემოქმედებითი ბუნების მუსიკოსები გაერთიანდნენ და მათ ერთსულოვნებას საპირისპირო ფსიქოფიზიკური საწყისების ერთობლიობა წარმოქმნის. აქ სინთეზი რთული და წინააღმდეგობრივი გზითაა მიღწეული. „ამ მხრივ ნიშანდობლივია კვარტეტის მეცადინეობის პროცესი, რომელიც ყოველთვის კამათის, პოლემიკის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მძაფრ შემოქმედებით ატმოსფეროში მიმდინარეობს" — ამბობს გიორგი ბარნაბიშვილი (ამ შეფასებას ჩვენ კიდევ რამდენჯერმე მივუბრუნდებით).

სრულიად უადგილოდ, მაგრამ მოძალებით, საბჭოური პერიოდის მუსიკალური შინაარსის ერთი მეტად პოპულარული ანეკდოტი მაგონდება. ფუნქციონერი მეგობარ მუსიკოსს შესჩივლებს, ცეკაში ვითარება ისე აირია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობსო. მუსიკოსმა დაამშვიდა, ეგ რა არი... შენ კონსერვატორიაში უნდა ნახო, რა ხდება, ვისი „სმიჩოკი" ვის როიალშია, ვერ გაიგებო. ახლა მეტყვით, რა კავშირი აქვს ამ ანეკდოტს კვარტეტთანო. არავითარი, მხოლოდ ასოციაციური, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სრული ჰარმონია, თუ იგი არსებობს, ერთსულოვნებით ნამდვილად არ მიიღწევა. ანეკდოტს კი, მართლაც, სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა მაშინაც და ახლაც.

კვარტეტის მამა — გიორგი ბარნაბიშვილი მის წევრებს ზუსტად ისე ახასიათებს, როგორც მშობელი დაახასიათებდა თავის საამაყო შვილებს რიგითობის მიხედვით:

„**კონსტანტინე ვარდელში** თავი მოიყარა ყველა იმ თვისებამ, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს კვარტეტის პირველ ვიოლინოს. იგი არამარტო აქტიურია, არამედ მთელი თავისი არსებით მეთაურიცაა. მის ხელშია შემოქმედებითი ინიციატივა, თაოსნობის წარმმართველი ფუნქცია. ეს თვისებები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ ანსამბლურ შემოქმედებაში. პირველი ვიოლინო განუწყვეტლივ გამოსცემს იმ უხილავ იმპულსებს, რაც აქეზებს, აღაგზნებს და აორგანიზებს მის პარტნიორებს. იგია კოორდინაციისა და თვითკონტროლის ცენტრი. კონსტანტინე ვარდელი ჩინებულად ათავსებს ერთ-

მანეთთან ამ ფუნქციებს, მხატვრულსა და ტექნიკურ ამოცანებს. იგი მგრძნობიარე ბუნების მუსიკოსია. ზოგჯერ მისი არტისტული მღელვარება ეგზალტაციამდე აღწევს, ფანატიკოსია — უზომო თავდადებით, აღტყინებით უყვარს თავისი საქმე. კვარტეტის ნამდვილი პატრიოტია, საერთოდაც, ძალიან საინტერესო ადამიანია.

თამაზ ბათიაშვილი იდეალური მეორე ვიოლინოა. მას განსაკუთრებით გამახვილებული აქვს კოლეგიალობის, სოლიდარობის, თანაშემწეობის ალღო. დიახ, ესეც ნიჭია, თანაც იშვიათი. იგი საოცრად ამყოლია, აღგზნებადი, თუმცა არასოდეს კარგავს საკუთარ მეს. ფაქიზი და დახვეწილი ბუნების მუსიკოსია. ნამდვილი ინტელიგენტია, მოაზროვნეცაა.

ნოდარ ჟვანია შესანიშნავი ინსტრუმენტალისტია. იგი ძალზე ტექნიკურიცაა, რაც იშვიათად ახასიათებთ ალტისტებს. განსაკუთრებული გამომსახველობით გამოირჩევა მისი ბგერა. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ თვით ალტს სპეციფიკური, ზოგჯერ უსიამოვნო ელფერი დაჰკრავს. ამ მხრივ ძალზე ჭირვეული სიმია ლა, რომელიც დიდ სირთულეს უქმნის შემსრულებლებს. ნოდარ ჟვანიასთან ეს სირთულეები თავისთავადაა მოხსნილი, რაც თანდაყოლილი მუსიკალობით აიხსნება. კეთილშობილი და ფერადოვანი ტემბრი, ხმის ვიბრაცია ცენტრალური ნერვული სისტემიდან მომდინარეობს და შემსრულებლის ინდივიდუალურ თვისებას წარმოადგენს. ამის გამომუშავება, აღზრდა შეუძლებლად მიმაჩნია. იგი ბუნებითაა ნაბოძები. ამ თანდაყოლილი ნიჭით კვარტეტის ყველა წევრია დაჯილდოებული. გარდა ამისა, ნოდარ ჟვანია იმპულსური, წრფელი და უშუალო ბუნების მუსიკოსია.

ოთარ ჩუბინიშვილი კვარტეტისთვის ნამდვილი აღმოჩენაა. იგი ყველაზე გვიან შეუერთდა კვარტეტს და უმალვე მოახდინა სასწაული — ორ თვეში ისე ორგანულად შეეზარდა თავის პარტნიორებს, რომლებსაც ამ დროისთვის საკვარტეტო შემსრულებლობის საკმაო სტაჟი გააჩნდათ, რომ ასე მეგონა, მთელი ცხოვრება მათთან ერთად ჰქონდა გატარებული. მით უფრო, რომ კვარტეტში ჩელოს ფუნქციები განსაკუთრებულია. ბანია ის ფუნდამენტი, რომლის სიმაგრეზე, ამტანობაზე, გამძლეობაზე დამოკიდებულია საკვარტეტო მშენებლობის მთელი პროცესი. აი, სწორედ ამ იშვიათი თვისებებით — ნებისყოფით, სტაბი-

ლურობით, ფუძემყარობით გამოირჩევა ოთარ ჩუბინიშვილი, რომელიც ამავე დროს ღრმა და შთაგონებული მუსიკოსია. მას აქვს ფოლადისებური რიტმი, ხავერდოვანი ტემბრის გამომსახველი ბგერა და კარგი საშემსრულებლო სკოლა. ერთი სიტყვით, იგი კვარტეტისათვის ყოფილა დაბადებული.

აღსანიშნავი ის არის, რომ სახელმწიფო კვარტეტში თვალსაჩინოა კომუნიკაციის ისეთი გამოვლინება, რომლის დროსაც შემსრულებლები ინარჩუნებენ საკუთარ შემოქმედებით ინდივიდუალობას და ამავე დროს ერთმანეთსაც ჰარმონიულად ეთვისებიან. სწორედ ამ თანაფარდობაში ხედავენ პროფესიონალი მუსიკისმცოდნეები ანსამბლურობის, შემოქმედებითი პარტნიორობის მთელ არსს, რაც არის საკვარტეტო შემსრულებლობის ფუძე და საყრდენი. კომუნიკაციის ასეთი გამოვლინების დროს კიდევ ერთი მომენტია აღსანიშნავი: მუსიკოსთა ინდივიდუალური თვისებები არა თუ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ და ამდიდრებენ ურთიერთს. შენაცვლების ეს პროცესიც აღინიშნება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის შემსრულებლებს შორის" (*გიორგი ბარნაბიშვილი, „დიალოგი" „საბჭოთა ხელოვნება", 1974, 11, გვ. 42*).

ვინაიდან დასაწყისისთვის საკმარისზე მეტი ინფორმაცია მივიღეთ კვარტეტის წევრთა სპეციფიკური თვისებების შესახებ, ახლა შეგვიძლია შევისვენოთ პროფესიული შეფასებებისაგან და კონტრასტულობისათვის კვარტეტის შესახებ არსებულ ენციკლოპედიურ, მშრალ ინფორმაციასაც გადავხედოთ.

„სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი" არის მემკვიდრე შესანიშნავი ტრადიციების მქონე სახელმწიფო კვარტეტისა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სახელოვანი ქართველი შემსრულებლები: ბორის ჭიაურელი, გივი ხატიაშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი და გიორგი ბარნაბიშვილი. 1965 წელს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტში მოხდა თაობათა ცვლა. იმ დროს დღევანდელი კვარტეტის წევრები — კონსტანტინე ვარდელი (პირველი ვიოლინო), თამაზ ბათიაშვილი (მეორე ვიოლინო), ნოდარ ჟვანია (ალტი) და ოთარ ჩუბინიშვილი (ვიოლონჩელი) თბილისის კონსერვატორიის ასპირანტები იყვნენ. მათ სათავეში ჩაუდგა გიორგი ბარნაბიშვილი. ჩელოს პარტიას თავიდან თავად უკრავდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ თავისი ადგილი ახალგაზრდა ვიოლონჩელისტს — ოთარ ჩუბინიშვილს

დაუთმო, თვითონ კი კვარტეტის ხელმძღვანელი გახდა. კვარტეტის ახალმა შემადგენლობამ მალე მოიპოვა აღიარება. ახალგაზრდა მუსიკოსები იმთავითვე ოსტატობითა და ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ და მალე ჭეშმარიტ ანსამბლად ჩამოყალიბდნენ. ინტენსიური მუშაობა წარმატებით დაგვირგვინდა შვიდი წლის თავზე, ბუდაპეშტში ვაინერის საკვარტეტო კონკურსზე გამარჯვებით. კვარტეტმა კონკურსის ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიპოვა. ამავე კონკურსზე კვარტეტს თანამედროვე მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის სპეციალური პრიზიც მიანიჭეს. ტრიუმფმა უნგრეთში ანსამბლს ფართოდ გაუღო ევროპის საკონცერტო დარბაზების კარი. მას შემდეგ კვარტეტის ცხოვრება კონცერტების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების, გასტროლებისა და ჩანაწერების უწყვეტ დინებად იქცა. თითქმის არც ერთ სეზონს არ ჩაუვლია ისე, რომ კვარტეტი გერმანიის, შვედეთის, დანიისა თუ სხვა ევროპული ქვეყნის მაყურებლის წინაშე არ წარმდგარიყო და ყველგან მსმენელისა და პრესის მოწონებას იმსახურებდა. შვედური გაზეთი „დაგენს ნიჰეთერი" ასე წერდა: „ჩვენ შეჩვეულები ვართ ბეთჰოვენის შესრულების „გერმანულ" მანერას. ქართველ მუსიკოსთა ინტერპრეტაცია განსხვავებულია, თანაც ამაღელვებელია და ბრწყინვალე. ეს როდი გახლავთ გამოწვევა ბეთჰოვენის „გერმანულობის" მიმართ, არა, აქ საქმე გვაქვს ბეთჰოვენის ფაქიზ შესრულებასთან, მისი განსხვავებული ფერებით წარმოჩენასთან; ამავე დროს იგრძნობა ბეთჰოვენის შემოქმედებისადმი მოწიწება".

თავისი შემოქმედებითი ისტორიის მანძილზე კვარტეტმა მრავალი ჯილდო დაიმსახურა, მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია, რუსთაველის პრემია, საქართველოს სახალხო არტისტების წოდება, ღირსების ორდენი.

ყოველწლიურმა გასტროლებმა საქართველოს პროვინციებში და კონცერტებმა ბავშვებისათვის სკოლებში, მნიშვნელოვანწილად გაზარდა სერიოზული მუსიკის მოყვარულთა რიცხვი საქართველოში. ყოველივე ამას ემატება კვარტეტის დამსახურება მუსიკალური განათლების სფეროში. კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი და ნოდარ ჟვანია თბილისის კონსერვატორიის პროფესორები არიან".

ეს ამხელა წინასიტყვაობა, გაუთავებლად სხვათა და სხვათა კომპეტენტური მოსაზრებების მოშველიება, რა არის, თუ არა საკუთარი არაპროფესიონალ-

იზმის შენიღბვის უსუსური მცდელობა, შიში შედეგისა — რა გამოვა, როგორ პორტრეტს მივიღებ. ამის წარმოდგენაც კი მიჭირს. კარგი იქნება, თუ ჩემი პორტრეტი ოდნავ მაინც მიემსგავსება კვარტეტის ვახტანგ გაბუნიასეულ ფერწერულ პორტრეტს, მაგრამ გავკადნიერდები და ვიტყვი, ყოველივეს მიუხედავად, დიდი სურვილი მაქვს, ჩემ მიერ დახატული კვარტეტი უფრო მხიარული და ფერადი გამოვიდეს.

საკუთარი თავის გასამხნევებლად ისევ თამაზ ბათიაშვილის, ოთარ ჩუბინიშვილის, ნოდარ ჟვანიას და კონსტანტინე ვარდელის აზრს მოვიშველიებ იმის თაობაზე, რომ „ჩვენში მაღალპროფესიული კრიტიკული წერილების წერის ტრადიცია არ არის. თუ იწერება სტატია, მასში მხოლოდ და მხოლოდ ქებაა. ეს ქება ყველაზე ერთნაირად ვრცელდება. ამ სახით კრიტიკა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ნამდვილი პროფესიული კრიტიკა საერთოდ არ გაგვაჩნია. გაზეთებში უმეტესად გვხვდება სტატიები რომელიმე სკოლის მოწაფის კონცერტზე, სადაც დეტალურადაა აღწერილი მის მიერ შესრულებული ნაწარმოები, ხოლო შესრულების დადებითი ან უარყოფითი მხარეები სრულიად არ არის გახსნილი. ხშირად ვხვდებით დაბალი პროფესიული დონის სტატიებსაც, ავტორი გამოთქვამს აზრს ისეთი ნაწარმოების შესრულებაზე, რომელიც მას მანამდე არასოდეს მოუსმენია", — აი, თურმე რა უბედურებასთან გვქონია საქმე. ამიტომ, ვიდრე საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესაბამის მუსიკალურ კრიტიკას ვინმე საფუძველს ჩაუყრიდეს, მე ჩემი პრეისტორიული ინსტრუმენტებით „ჩვენი კვარტეტის" ცხოვრებისა და შემოქმედების „მატიანეს" წერას შეძლებისდაგვარად გულდამშვიდებით შევუდგები.

მარკ ტვენს ერთი მცირე ზომის იუმორისტული შედევრი აქვს დაწერილი სათაურით — „როგორ ვურედაქტორე სასოფლო სამეურნეო გაზეთს". ამ მოთხრობაში ერთი უფულო და უმუშევარი მწერალი დაუფიქრებლად დათანხმდება დროებით, ვიდრე გაზეთის ნამდვილი რედაქტორი საავადმყოფოდან დაბრუნდება, ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო გაზეთს ურედაქტოროს. მის მიერ გამოშვებული პირველივე ნომერი არამარტო იქაური ფერმერებისა და მიწათმესაკუთრეების სასტიკ აღშფოთებას გამოიწვევს, არამედ ყირაზე დააყენებს ზოგადად სოფლის მეურნეობის დარგს და თითქმის თვითმკვლელო-

ბამდე მიიყვანს ზოგიერთ პროფესიონალ მკითხველსა და ავადმყოფ მთავარ რედაქტორს. სამაგიეროდ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ერთიორად გაზრდის საზოგადოების მოთხოვნას გაზეთის სწორედ იმ გამოშვებაზე და საოცარ პოპულარობას მოუხვეჭს არამარტო გაზეთს, არამედ მთელ ქალაქსაც.

ღმერთმა დამიფაროს ამ შედარებისგან, მაგრამ არ მინდა, მარტო მე მეშინოდეს. ცოტას სხვებსაც შევაშინებ. ხოლო ბოლოს, როცა ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება და ერთად შვებით ამოვისუნთქებთ, დავსძენთ, რომ ეშმაკი, თურმე, არც ისე საშიში ყოფილა, როგორც ფურცელზე ჯღაბნიან.

წინათქმა

კოტე გაბაშვილი

2006წ.

ფანტასტიკური ოთხეული საქართველოდან

რატომ ვახსენებ „ოთხეულს", ნაცვლად „კვარტეტისა"? რასაკვირველია, „ოთხეულს", ჩვეულებრივ, „კვარტეტი" ეწოდება და სწორედ მათზე, საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტზე ვლაპარაკობთ ახლა.

რას ნიშნავს „ოთხეული", ეს შემთხვევითობაა თუ აუცილებლობა? იქნებ, თავი არ შევიწუხოთ „ოთხის" მისტიკური თუ არქეტიპული შინაარსის საკეკლუცო ძიებით - – უბრალოდ, სიმებიანი კვარტეტის იდეასა და არსებობაში მთავარი და საერთო ისაა, რომ ერთ დიდ ჭეშმარიტებას ოთხივე ერთიანადაც და თავისებურადაც გვანდის. კლასიკურ სიმებიან საკრავთა კვარტეტი ხომ სიმე-

ბიან ინსტრუმენტთა კლასიკურ სიას მოიცავს – ორივე ვიოლინო, ვიოლა და ვიოლონჩელი — უკვე მათი სახელები ჟღერს საამო მუსიკალობით!

თუ რაიმე ცხადი და პოპულარული ანალოგია შეიძლება ოთხეულთან ჰქონდეს ადამიანს ჩვენი პოპულარული კულტურული გარემოდან, ეს უთუოდ მუშკეტერებია. მაგრამ ანალოგია, ჩემი დაკვირვებით, (მე კი კვარტეტის წევრებს ბევრი წელია ვიცნობ და ვმეგობრობ), მთლად ზუსტი ვერ იქნება. ზოგი რამ გამოდგება და ზოგი — არა.

ჯერ ერთი, მათი საკრავები მათი იარაღია და მიზანი — სიკეთის სამსახური.

მერე, პრინციპი „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის" უბრალოდ არსებობის წესია კვარტეტისთვის. აქ მხოლოდ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ერთმანეთის სიყვარული, გატანა და თანახმიანობა არის არა მათი მხოლოდ შემოქმედებითი სპეციფიკა, არამედ ამ ერთმანეთთან შემტკიცებული დიდებული კაცების მეგობრობის მოდელი.

მოდით, ალალად ვთქვათ, რომ ბევრს მსგავსს ვერ გავიხსენებთ — საქმით გაერთიანებული ოთხი დიდი შემოქმედი, აღსავსე თუნდაც ფარული ამბიციით, საკუთარი, ინდივიდუალური გზის ძიების დიდი საშუალებით, საკუთარი ძლიერი მსოფლაღქმით — ისე მეგობრობს ერთმანეთთან, როგორც მეცხრეკლასელი ბიჭები, თითქოს უერთმანეთოდ სუნთქვა არ წარმოუდგენიათ. ალბათ, ჰქონიათ სირთულეებიც, მაგრამ ვერც იხსენებენ, მაინცადამაინც, როდის იჩხუბეს. აქ არა მხოლოდ სიმებიანი კვარტეტის ჩარჩოებით შემტკიცებული ერთობაა, არამედ დიდი მუზის ხელით გაწერილი ერთმანეთისთვის თავშეწირულობაც.

ახლა, მუშკეტერული ინდივიდუალობის თვალით თუ შევხედავთ — ოთხივე კეთილშობილი ათოსია, დახვეწილი და მიზანსწრაფული, ოღონდ საიდუმლო წარსულის გარეშე. მთელი მათი ცხოვრება და შემოქმედება სტუდენტობიდან სიჭარმაგემდე საქართველოს თვალწინ და საქართველოსთვის მიმდინარეობს.

ოთხივე ლირიკული და მუსიკალური საიდუმლოებით აღსავსე არამისია, თუმცა თაყვანისმცემელი ქალბატონებისგან ნაბოძები და საბოძები ამოქარგული ცხვირსახოცების რაოდენობა ერთი მუზეუმის დარბაზს აავსებდა.

პორთოსი? ვითომ, რა საქმე უნდა ჰქონდეთ მასთან „მევიოლინე" კოტეს, თამაზს, ნოდარს და ოთარს ? რა და, ჯერ ერთი, ძალიან კეთილები არიან და მერე

— გინახავთ კონცერტის შემდეგ კვარტეტი? გასანურები არიან თავისი ფრაკებიანად. ეს ხომ არაადამიანური ფიზიკური დატვირთვაც არის და კიდევ, ყოველდღე რამდენიმე საათიანი რეპეტიციებიც რომ დაემატება, მათი სულიერი გამძლეობის ფიზიკურ შემადგენელსაც დავიჯერებთ.

დ'არტანიანი რომ ჭარბადაა თითოეულ მათგანში, ამას ერთი კონცერტის ნახვაც ეყოფა. თავგანწირვისთვის მზადყოფნა, უკიდეგანო რომანტიზმი და ჭარბი იდეალიზმი, უეჭველი გამარჯვების ჟინი და შედეგი, სამყაროთი მუდმივი აღფრთოვანება და მათით აღფრთოვანებული მთელი დუნია — სხვა რა არის დ'არტანიანი?!

ხუმრობა იქით იყოს და ეს ოთხეული საქართველოდან მართლაც ფანტასტიკურია... ათი წელი გერმანიაში ჩემი ელჩობისა უფრო გამამძაფრებელი აღმოჩნდა ასეთი შეფასებისთვის.

სიმებიანი კვარტეტის მუსიკალური სამყარო შედარებით ნაკლებ გავრცელებული ასპარეზია თანამედროვე კომპოზიტორებისთვის. მაგრამ საოცარია, რომ იშვიათია კომპოზიტორი, თავი არ მოსინჯოს საკვარტეტო ნაწარმოებში — ეს კლასის მაჩვენებელია. ჩვენს კვარტეტს, მგონი სპეციალურად, არც ერთი ეს ნაწარმოები არ დაუტოვებია შეუსრულებელი.

კიდევ ერთი ქართული უცნაურობაა, სპეციალისტების დასადგენი — ქართულ კამერულ მუსიკაში საკვარტეტო კომპოზიციებმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში ეს საოცარი "აფეთქებით" ხასიათდება, განსაკუთრებით, სულხან ცინცაძის, სულხან ნასიძის, ნოდარ გაბუნიას და სხვათა შემოქმედებაში.

ქართულმა ხალხურმა მელოდიკამ, იქნებ პოლიფონიურობამაც, ლირიკისადმი საოცარმა ეროვნულმა მიდრეკილებამ, ამ ლირიკის იუმორისტულმა რეპრეზენტაციამ და ურთულესი ტექნიკის განსაკუთრებულმა არტისტიზმმა და ელეგანტურობამ ქართულ კამერულ მუსიკას და, მეტად, კვარტეტულ ოპუსებს სრულიად ორიგინალური განზომილება შესძინა. ამიტომ, მსოფლიო მუსიკალურ ცხოვრებას ქართველი კომპოზიტორები ახალი ძალით შეუერთდნენ.

ეს ჩემი ნაწვალები აზრი არ გეგონოთ. ამ ქართული მუსიკით, მსოფლიო შედეევრებთან ერთად, ათწლეულების განმავლობაში საქართველოს კონსერვა-

ტორიის ჩვენს ოთხ პროფესორს — ჩვენს სახელმწიფო კვარტეტს — რამდენ-ჯერმე შემოვლილი აქვს კონცერტებით ევროპის ცნობილი დარბაზები, გამოცემული აქვთ ფირფიტები, კასეტები, დისკები.

მახსოვს, ქალაქ ბონის ბეთჰოვენის სახელობის დარბაზში ქართული საკვარტეტო ოპუსების შესრულების შემდეგ გერმანული კლასიკური მუსიკის ელიტა ოვაციას უწყობდა ჩვენს კვარტეტს — ეს იყო ევროპული კამერული მუსიკის სეზონის გახსნის კონცერტი.

აბა, გადაიტანეთ თქვენს თავზე ასეთი სიხარული, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ საქართველოს ელჩი და მიხვდებით, რა "სენითა ვარ შეპყრობილი".

ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ესენი არიან მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკოსები და თან ძალიან ქართული ანსამბლი.

ერთხელ, კულტურის სამინისტროს ვიღაც უგვანო ჩინოსანს, 2002 წელს, თავში აზრად მოუვიდა — რადგან საქართველოში მუდმივად არ არიან, სახელმწიფო კვარტეტის სტატუსი და სულხან ცინცაძის სახელი ჩამოვართვათო. რომ შევიტყვე, წერილით მივმართე მაშინდელ მინისტრს და საქმეც შეჩერდა, მაგრამ რამდენიმე ადგილს წერილიდან შემოკლებით გავიმეორებ, რათა უფრო მკაფიო გავხადო კვარტეტის მიმართ დამოკიდებულება ამ საკითხში.

„...სრულიად სერიოზულად ვხედავ საბჭოთა, კომუნისტური აზროვნების რელიქტს იმაში, რომ მავანნი ასე ფიქრობენ — საზღვარგარეთ ანუ (კიდევ უფრო "საშინელი" ტერმინოლოგიით ვიტყვი) ემიგრაციაში მომუშავე, გაქცეული (აქ ბოლშევიკურ-ჩეკისტური აღშფოთება მაქსიმუმს აღწევს!) თანამემამულე, თუნდაც და მით უმეტეს, განთქმული ხელოვანი (გახსოვთ, ბრეჟნევის ზასტოისდროინდელი ნევაზვრაშჩენცები!) ჩვენი ნათელი მომავლის საზოგადოების წევრი აღარ არის, ის მტერია! მართალია, ახლა ამ უსინდისო დემოკრატებმა ყველაფერი წაშალეს, სამშობლოს შეუვალი წმინდა საზღვრები ადვილი გადასალახავი გახადეს და წესიერად მოფიქრალ ხალხს, „დერჟავნიკებს," აღარ დარჩათ საკმარისი ძალა სახელმწიფო ნესრიგის დასამყარებლად, მაგრამ, სადაც შესაძლებელია, როგორც შესაძლებელია — „გაქცეულები" უნდა დაისაჯონ!

...ემიგრაცია და ხელოვნება ისეა გადაბმული ერთმანეთთან, რომ დიდი ხანია ცივილიზებულ, კულტურულ სამყაროში ასეთი ტერმინები აღარ იხმარება. ემი-

გრანტის მიმართ მტრობა, განსაკუთრებით, საზღვარგარეთ კონტრაქტით მომუშავე ხელოვანის მიმართ მტრობა ტოტალიტარული, ფუნდამენტალისტური სახელმწიფოების კუთვნილებაა. ასეთ ქვეყნებს ახლა პოლიტიკური აზროვნება „მოკვეთილ ქვეყნებს" უწოდებს და ისინი საერთო საშიშროებას წარმოადგენენ ცივილიზებული კაცობრიობისთვის.

...რა საჭირო იყო კონსერვატორიის პროფესორებისთვის საქართველოს სახალხო არტისტების, რუსთაველის პრემიის ლაურატებისთვის მხოლოდ გულის ტკენა?

განა ეს კვარტეტი ყოველწლიურად საქართველოში რამდენჯერმე არ ჩამოდის და კონცერტებს არ მართავს? ...განა ახალგაზრდების აღზრდა თბილისში თუ სხვაგან ქართული კულტურის სამსახური არაა? განა მათი კონცერტები საფრანგეთში, ბენილუქსში, ავსტრიაში, იტალიაში, სკანდინავიაში, ესპანეთსა და თვით გერმანიაში, აღელვებული და აღფრთოვანებული მაყურებელი საქართველოს სახელმწიფო საქმე არ არის? მეტი რა უნდა გაუკეთონ ამ გენიოსებმა საქართველოს? მაშინ მოვკვეთოთ ლექსო თორაძე, ალექსანდრე კორსანტია, პაატა ბურჭულაძე, ლადო ათანელი.

...ხელოვანს სადაც ემუშავება, იქ შეუძლია იმუშაოს. არც შოთა რუსთაველი იყო პალესტინის მოქალაქე და არც დავით გურამიშვილი უკრაინელი... შემოქმედება უფრო ღრმა რამ არის, ვიდრე მთელი მსოფლიოს ემიგრაციული სამსახურები. ადამიანის სახელმწიფოებრიობას მისი სულიერი კონსტიტუცია, მისი უანგარობა, მისი ნიჭი განაპირობებს და არა მისამართზე ჩაწერის მექანიზმი. ხელოვანი ეროვნული და სახელმწიფო არსებაა თავისი მსოფლაღქმის წესით და არა ადრესით."

მაშინ საქართველოში დიდი ხელოვანისთვის რაიმე პირობების შექმნა, საქართველო, როგორც „წარმატებული ისტორია", არ არსებობდა. არც ნინო ანანიაშვილი იყო სამუდამოდ ჩამომსვლელი და არც არაფერი იყო ვინმესთვის შესათავაზებელი.

თბილისი ასეთი ადამიანებისთვის საშიში იყო. როცა სიცივეში პალტოებში ჩაცმული კვარტეტი გაძარცვეს შუადღეს, თბილისში, რეპეტიციისას და კოტე ვარდელს გუარნერის ვიოლინო მოპარეს, გერმანიიდან დახმარებას ვეცადე. პა-

სუხად უშიშროების მინისტრისგან „პროფესიული" პასუხი მივიღე — თვითონ მოიპარავდა, ეგ ძვირიაო. შესაბამისი არხებით გაზეთშიც გააპარეს ეს სიბინძურე! მეტი საძაგელი ცინიზმი გაგონილა? ახლა ხომ გამოჩნდა ის მოპარულიცა და მომპარავებიც...

და იცით, ყველაზე კარგი რა არის? გავიდა სულ სამი წელი და კვარტეტი, ახალი პირობების გამო, საქართველოს ცხოვრებაში გაჩენილი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სტანდარტების გამო — თბილისში აპირებს გადმოსვლას, სამშობლოს უბრუნდება. ასეა, ქართველი საქართველოს ვერ მიატოვებს.

ჩვენს კვარტეტს ხომ სამშობლო და მუსიკა ყველაფერს ურჩევნია.

თავი I

ანსამბლური შესრულების უნიკალური თვისებების ოთხეული

„კვარტეტი, ესაა ოთხი ადამიანის საუბარი ერთმანეთში"

კოტე ვარდელი, პირველი ვიოლინო

თამაზ ბათიაშვილი: კვარტეტში 1964-1965 წლებში მივედი, კონსტანტინე ვარდელის მიპატიჟებით. გიორგი ბარნაბიშვილმა ახალგაზრდული კვარტეტის შექმნა გადაწყვიტა და ახალგაზრდა მუსიკოსების შეკრება დაიწყო. ამ დროს სულხან ცინცაძემ დაწერა მეექვსე სიმებიანი კვარტეტი, რომლის დაკვრაზეც ძველმა კვარტეტმა უარი თქვა. სულხანი ჩქარობდა და ჩვენც დიდი ენთუზიაზმით მოვეკიდეთ ამ საქმეს. 1966 წლის იანვარ-მარტში მოვამზადეთ სულხან ცინცაძის კვარტეტი და აპრილში კონცერტზეც შევასრულეთ.

თავიდან „საქართველოს ფილარმონიის კვარტეტი" დაგვერქვა. 1967 წელს კი ოფიციალურად გვეწოდა „საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი". პოპულარობა თავად მოვიპოვეთ, მაგრამ ამის საფუძველი ჩვენ არ ჩაგვიყრია. საქართველოში კვარტეტის დაკვრის დიდი ტრადიცია არსებობდა და ეს ტრადიცია ჩვენ გადმოგვეცა. ოთხივე ბორის ჭიაურელის მოწაფეები ვიყავით. კონსერვატორიაში „კვარტეტი" საფაკულტეტო საგანია, ჩვენ მას გავდიოდით, კამერულ ანსამბლს კი მე და კოტე ვარდელს პირადად გიორგი ბარნაბიშვილი გვასწავლიდა. ციდან არაფერი ჩამოვარდნილა. ძველ კვარტეტამდეც იყო კვარტეტი, რომელშიც პროფესორი ლეო შიუკაშვილი უკრავდა. ეს ომამდე იყო. ომის დროს კი კვარტეტმა არსებობა შეწყვიტა, ამას მოჰყვა შანიძეების

კვარტეტი... მოკლედ, ის მინდა ვთქვა, რომ ცარიელ ადგილზე არაფერი დაწყებულა.

ერთად დაკვრა ბედნიერებაა. აქაც ბევრი სიძნელე და ინტრიგებია, მაგრამ, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს, როცა ასი კაცი ერთად ზის და უკრავს?! ახლაც აღფრთოვანებით ვიხსენებ იმ დღეებს, როდესაც საქართველოში 1962 წელს პირველად ჩამოვიდა კლივლენდის ორკესტრი, ფილარმონიის მაშინდელი დირექტორის გუგული ყიფიანის მოწვევით. ორკესტრს გენიალური ჯორჯ სელი დირიჟორობდა. ამ ორკესტრს დღემდე მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ. მაშინ მეოთხე კურსზე ვიყავი, ორკესტრმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე... **ჩვენი ბედი იყო**. მუსიკოსები კონსერვატორიაში მოდიოდნენ, ვხვდებოდით მათ, უშუალოდ ვურთიერთობდით. საოცარია, ამდენი ადამიანი ერთ გუნდად, სათითაოდ ყველა ერთმანეთისგან განსხვავებული და თავისებურად საინტერესო, რომლებიც გასაოცრად ერწყმიან ერთმანეთს ანსამბლში. ეს კვარტეტიც და კამერული ორკესტრიც სწორედ იმიტომ შემიყვარდა, რომ ერთობლიობას სულ სხვა ხიბლი აქვს. მარტო რომ გამოდიხარ, ის სხვა გრძნობაა, სხვა ნერვიულობა. მართალია, ძალიან საინტერესოა, მაგრამ ჩემთვის ერთობლივი დაკვრა უფრო სისხლხორცეულია. ძალიან მიყვარს ეს ჩემი საქმე.

კვარტეტი ისეთი რამ არის ... ბოლო ათწლეულში საკმაოდ მომრავლდა, ძალიან ბევრი ახალი კვარტეტი ჩამოყალიბდა მსოფლიოში. ახალგაზრდები მოვიდნენ, რომლებიც შესანიშნავად უკრავენ. საქმე ისაა, რომ კვარტეტის ფასი იწევს მის გამოცდილებასთან ერთად. რას ნიშნავს გამოცდილება? აი, ჩვენ, მაგალითად, შეგვიძლია, პროგრამა, რომელიც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში არ დაგვიკრავს, ერთ კვირაში აღვადგინოთ და ნებისმიერ დარბაზში მაღალ დონეზე შევასრულოთ. ჩვენ უკვე უსიტყვოდ ვგრძნობთ და ვუგებთ ერთმანეთს. საკმარისია ერთმა გააკეთოს იმპროვიზაცია, რომ ყველა მას მიჰყვება.. სწორედ ეს მოიტანა წლებმა. გარდა ამისა, ჩვენ ვაფასებთ ერთმანეთს, როგორც მუსიკოსებს. ყველას თავისი გამოკვეთილი ხასიათი აქვს, მაგრამ ალბათ ერთმანეთს ვავსებთ და იმიტომ არის, რომ ჩვენ ერთმანეთი ყოველთვის გვაკლია. შეიძლება ბევრ საკითხში არ ვეთანხმებოდეთ ერთმანეთს, მაგრამ ამდენ ხეტიალში და ერთად ყოფნაში ცხოვრებამ თითქმის ერთი ოჯახის წევრები გაგვხადა. ნოდარი

ამბობს, ასე ხშირად ყოფნა ცოლთან და შვილებთან არ მიწევსო. პერიოდი გვქონდა, როცა სულ გასტროლებზე ვიყავით. იმდენი რამ გადავიტანეთ ერთად, ისე გავითავისეთ ერთმანეთის დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომ ჩვენი დაშორება გაუმართლებელია, მხოლოდ ერთად ყოფნაა გამართლებული.

ჩვენ ერთად ყოფნით ყოველმხრივ ვმდიდრდებით. თუმცა, ყველაზე მეტად მაინც საკონცერტო ცხოვრება და სცენაზე მუშაობა გვამდიდრებს. სცენა ბედნიერებაა: გავდივართ ერთად, რაღაც ერთი განწყობა გვაქვს მუსიკისადმი და ერთ რამეს ვაშენებთ. და მიუხედავად იმისა, რომ ათჯერ და ბევრად მეტჯერ ერთსა და იმავე მუსიკას ვუკრავთ, ყოველი შესრულების დროს წარმოუდგენელი იმპროვიზება ხდება. თითქმის ყველა კონცერტზე ახალი შტრიხები შეგვაქვს და ეს ხდება სავსებით ძალდაუტანებლად, სპონტანურად. ერთმანეთის იმპროვიზაციას მაშინვე ვუღებთ ალღოს, ვგრძნობთ, როგორ ავყვეთ ერთმანეთს. მსგავსი რამ ახალგაზრდობაში ნაკლებად ხდება, ეს შემოქმედებითი სიმწიფის მონაგარი და წლების დამსახურებაა. ჩვენ შემთხვევაშიც ესე მოხდა და **ჩვენ ბედნიერები ვართ**, ერთად რომ ვუკრავთ.

უკანაც იმიტომ ვბრუნდებით ერთდროულად, რომ ერთად ვიყოთ ვიდრე დაკვრა შეგვიძლია. მართალია, ახალგაზრდები აღარა ვართ, ოთხივემ უკვე სამოცს გადავაბიჯეთ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგ ფორმაში ვართ. ეს ჩვენ 2005 წლის 31 მარტს თბილისის კონსერვატორიაში გამართულ კონცერტზე მსმენელსაც და საკუთარ თავსაც დავუმტკიცეთ. იშვიათია, რომ საკუთარი შესრულებით ბოლომდე კმაყოფილი დარჩე, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა თავად მოგვეწონა საკუთარი შესრულება, ამასთან ერთად, ყველამ აღნიშნა — ახალგაზრდობაში, ყველაზე კარგ ფორმაში რომ იყავით, აი, იმ დონეზე დაუკარითო.

კოტე ვარდელი: დავიბადე ლენინგრადში. 2 წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა და თითქმის არ მახსოვს იგი. 1942 წელს ბლოკადას გამო-

ვასწარით და თბილისში ჩამოვედით მე, დედა და ჩემი პატარა ძმა. მატარებლით მოვდიოდით... მერე იყო ათწლედი, კონსერვატორია...

კონსერვატორიის დამამთავრებელ კურსზე ვიყავი, როცა შევხვდი ვიოლონ-ჩელისტ თამაზ გომელაურს მოსკოვში. მისი მეშვეობით გავიცანი ვლადიმირის ფილარმონიის კვარტეტის ხელმძღვანელი პროფესორი ვიქტორ კუბაცკი. კონ-სერვატორიის დამთავრების შემდეგ მასთან ვუკრავდი მეორე ვიოლინოს ვლადიმირის ფილარმონიის კვარტეტში. 1965 წელს ჩამოვედი თბილისში და დავიწყე მუშაობა ბიჭიკო ბარნაბიშვილთან, რომელმაც მამობა გამიწია. მასთან ორი წელი პირველ ვიოლინოს ვუკრავდი. ჭიაურელს და ბარნაბიშვილს შორის გარკვეული უთანხმოება იყო დაწყებული, ბიჭიკომ ჩვენთან ერთად ახალგაზრ-დული კვარტეტი ჩამოაყალიბა, ასე შევიკრიბეთ. შემდეგ სულხან ცინცაძემ ოთარ ჩუბინიშვილის აყვანა გვირჩია.

პირველი ვიოლინო ძალიან ძნელი დასაკრავია, ის არის წამყვანი, დირიჟორი, თუმცა ჩემი მდგომარეობით არასდროს მისარგებლია. ჩვენ ყველა პროფესიო-ნალები და მაღალი კლასის მუსიკოსები ვართ. რეპეტიციას მე ვატარებ, მაგრამ ყველას ხმა გადამწყვეტია. როცა მეორე ვიოლინო ვიყავი, ვიცოდი, რომ მეორე ვარ და პირველის წაყვანაზე ვარ დამოკიდებული. თუ პირველი ვიოლინო ტონის მიმცემი არ არის, კონცერტი არ ჟღერს. მართალია, პირველ ვიოლინოს თავისი პარტია აქვს, მაგრამ მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ გვერდში იგივე კლასის მუსიკოსები უსხედან. ბევრი კვარტეტის წევრი ერთმანეთს საერთოდ არ ელა-პარაკება. ხშირად ერთმანეთთან კომუტატორებით ურთიერთობენ, კონცერტზე სხვადასხვა თვითმფრინავებით ჩადიან. ჩვენ ოთხივე კი მეგობრები ვართ, ძმაკაცები, ვჩხუბობთ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ რეპეტიციის დროს. კვარტეტის შექმნა ძალიან ძნელია, ყოველმხრივი დამთხვევა უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოთხივეს სიგიჟემდე უნდა უყვარდეს კვარტეტი, ოთხივე უნდა იყოს მაღალი პროფესიონალი, ოთხივეს უნდა ჰქონდეს საერთო ფასეულობები. ამ მხრივ, **ჩვენ ბედმა გაგვიღიმა.**

ჩვენ ოჯახებითაც ვმეგობრობთ, ჩვენი ცოლებიც მეგობრები არიან.

თამაზ ბათიაშვილი, ჩემის აზრით, ყველაზე მომთმენია, დახვეწილი ინტელი-გენტი, კონტაქტური, მაგრამ რეპეტიციებზე ყვირის როგორც გიჟი. თუმცა, ჩვენ

ვუთმენთ, რადგან ძალიან კარგი მუსიკოსია და როგორც გითხარით, ჩვენი ჩხუბი რეპეტიციაზევე მთავრდება;

ოთარ ჩუბინიშვილი მაღალი პროფესიონალი და საოცრად მოწესრიგებული ადამიანია, ყველა წყენას ერთ დღეში გადახარშავს ხოლმე და მეორე დღეს საუკეთესო ფორმაშია;

ნოდარ ჟვანია ჩვენი მენეჯერია, ბავშვივით უხარია კვარტეტის წარმატება, სიყვარულის განსახიერებაა. ყველაზე ცუდი მე ვარ, იმიტომ რომ, თითქოს ყველას ვუთმობ, ანგარიშს ვუწევ, საბოლოოდ კი ვაკეთებ ისე, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ. ვიცი, რომ ჩემზე გადატყდება ყველა ჯოხი, თუ რამე ისე არ გამოვიდა, საკუთარ თავს უნდა დავაბრალო. ნოდარიც ამას მეუბნება, შენი ბრალია, პირველი ვიოლინო შენა ხარო.

ოთარ ჩუბინიშვილი: მე ყველაზე გვიან შევუერთდი კვარტეტს. მოსკოვში ვცხოვრობდი, იქ დავამთავრე კონსერვატორია და შემდეგ ასპირანტურა. 1972 ნელს, როდესაც საქართველოში დავბრუნდი, ბატონმა სულხან ცინცაძემ მირჩია, კვარტეტში დამეკრა. მე და თამაზ ბათიაშვილი ერთად ვსწავლობდით პირველ სკოლაში, ახლოს ვიცნობდი ნოდარსაც და კოტესაც, ამდენად, ძალიან გამიადვილდა კვარტეტთან შეგუება.

კვარტეტის წევრი რომ იყო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეს ანსამბლის შეგრძნება. ერთ ამბავს გეტყვით: შეიკრიბა ოთხი უძლიერესი მუსიკოსი, ოისტრახი და მისთანები. ბეთჰოვენის ერთ-ერთი კვარტეტი ჩაწერეს. ვუსმენ და სულ არ მომწონს. მერე რა, რომ კარგი სოლო შემსრულებელი ხარ?! კვარტეტი სულ სხვა ძალისხმევას და თვისებებს მოითხოვს. ეს განსკუთრებული ნიჭია, ეს არის ანსამბლური მუსიკის უმაღლესი დონე, ასეა მიღებული მსოფლიოში. ავსტრიაში კონცერტის მერე გვითხრეს, წარმოგვიდგენია, რა სიმფონიური ორკესტრი გეყოლებათო. წლებია საჭირო იმისთვის, რომ კვარტეტმა ჰარმონიას მიაღწიოს.

კარგი შესრულება განწყობაზეცაა დამოკიდებული. განწყობაც თავის როლს ასრულებს, კვარტეტი ქარხანა ხომ არ არის?! მაგრამ პასუხისმგებლობა უპირველესია. პროფესიონალიზმი ისაა, განწყობის მიუხედავად რომ შეძლებ კარგად დაკვრას. ეს თუ არ შეგიძლია, მუსიკოსობას თავი უნდა დაანებო. თუმცა, იმის უარყოფაც ძნელია, რომ გარკვეულ სიტუაციაში მუსიკოსის გუნება-განწყობა გარკვეულ გავლენას ახდენს მისი შესრულების ხარისხზე. ასეთ შემთხვევაში უბრალოდ გსიამოვნებს ინსტრუმენტთან ურთიერთობა და საყვარელი ნაწარმოების შესრულება. დარბაზის აკუსტიკა, დამსწრე საზოგადოება, – ათასი რამ შეიძლება გახდეს ამის მიზეზი. აი, მაგალითად, გერმანელი მსმენელი საოცრად მოწესრიგებულია, ჩუმად ზის. ქართველი მსმენელისგან კი საოცარი უკუკავშირი იგრძნობა კონცერტის დროს. ყოფილ საბჭოთა კავშირში მოსკოველი, პეტერბურგელი და თბილისელი მსმენელი ყველაზე დახვეწილ და გემოვნებიან მსმენელად მიიჩნეოდა.

ნოდარ ყვანია: კვარტეტი ოთხი კაცია და აქედან ყველა სოლისტია. ეს არის ოთხის ერთსულოვნება, ერთი ამოსუნთქვა, ერთად გატარებული დიდი დრო და სიყვარული, ეს არის ის მდიდარი რეპერტუარი, მთელი სიცოცხლე რომ გეყოფა. **ნამდვილად გაგვიმართლა**, რომ კვარტეტის თითოეული წევრი კარგი შემსრულებელია. **ბედმა გაგვიღიმა** იმ თვალსაზრისითაც, რომ გერმანიაში შევძელით მოღვაწეობის გაგრძელება და ამით კვარტეტი შევინარჩუნეთ.

ოთხივე კარგი მეგობრები ვართ. ერთმანეთის შესანიშნავად გვესმის და არ გვიჭირს ერთმანეთის განწყობის აკომპანირება. კონცერტის შემდეგ ოთხივემ ზუსტად ვიცით, რა ხარვეზი გვქონდა შესრულებისას. ამაში, რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციას ვგულისხმობ და არა შესრულების ტექნიკას. ჩვენ ვუკრავთ ყოველთვის პროფესიონალურად, მაგრამ გვაქვს განსაკუთრებული კონცერტებიც. ეს დამოკიდებულია მსმენელზე, ჩვენს განწყობაზე, ხან მე არ ვარ შესაბამის გუნებაზე, ხან რომელიმე მათგანი. თუმცა, არის კონცერტები, როდესაც ოთხივე

ერთნაირად კმაყოფილები და ნასიამოვნები ვართ. ერთ-ერთი ასეთი კონცერტი, მაგალითად, 2005 წლის 31 მარტს გვქონდა თბილისში. ეს მართლაც აღმაფრენა იყო ოთხივესთვის. კიდევ რაც გვაერთიანებს არის ის რომ, სამი ბავშვიც რომ იჯდეს დარბაზში, ისეთივე მონდომებითა და პასუხიმგებლობით ვუკრავთ, როგორც სავსე დარბაზის წინაშე. კვარტეტი არის ბედნიერება — ჩვენი ცხოვრებაა.

ამ ოთხი, ჰარმონიაზე და უნივერსალურ ანსამბლურობაზე აღმატებით ხარისხში მოსაუბრე ადამიანის შესახებ, როგორც გახსოვთ, ჯერ კიდევ გიორგი ბარბნაბიშვილმა თქვა: „სინთეზი რთული და წინააღმდეგობრივი გზითაა მიღწეული. ამ მხრივ ნიშანდობლივია კვარტეტის მეცადინეობის პროცესი, რომელიც ყოველთვის კამათის, პოლემიკის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მძაფრ შემოქმედებით ატმოსფეროში მიმდინარეობს". ნოდარ ჟვანია ამბობს, ხან ერთია უგუნებოდ, ხან — მეორე, ინსტინქტი გვკარნახობს, ერთმანეთი მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ. თამაზ ბათიაშვილი იხსენებს, ბიჭიკო გვეუბნებოდა, რა გაჩხუბებთ, დამშვიდდით, ამაზე კარგი რა არის, ერთად ხართ და უკრავთო. ერთი რეპეტიციის დროს რაღაცაზე შეკამათებულან თამაზი და ნოდარი. კამათი ყვირილში გადაიზარდა, ვერაფრით მორიგდნენ, „ის რაღაცას მიმტკიცებდა, მე არ ვეთანხმებოდი — იგონებს თამაზ ბათიაშვილი — საერთოდ, ჩვენ ოთხიდან, რატომღაც ყველაზე მეტს მე ვჩხუბობდი ხოლმე, ახლა პირიქითაა, ძალიან დამშვიდებული ვარ და ყველას მე ვაწყნარებ. მაშინ, ეტყობა, ორივეს ზედმეტი მოგვივიდა, ოთარ ჩუბინიშვილმა გვიყურა, მერე სკამის ზურგს მიაწვა, თვალები დახუჭა და გაიტრუნა. მე დავუყვირე, რას მიწოლილხარ მანდ და გაჩუმებულხარ, ადექი და დააწყნარე-მეთქი. იმან ნელა ასწია ქუთუთოები, ამომხედა და ძალიან დინჯად თქვა: მილიციას გამოუძახე! ერთი წამით სახტად დავრჩით, მერე ოთხივეს სიცილი აგვიტყდა და „ჩხუბიც" ამით დამთავრდა. ყოველთვის ასე ხდებოდა. ეს ჩვენმა ცოლებმაც კარგად იცოდნენ, რადგან ხან ერთ ოჯახში ვატარებთ ხოლმე რეპეტიციებს და ხან მეორეში. უჩხუბრად არც ერთ რეპეტიციას არ ჩაუვლია, მაგრამ ყოველი ომი, როგორც წესი, ჩვენთანაც მშვიდობით მთავრდება. რეპეტიციების დროს სხვა ხალხი ვართ, რეპეტიციების შემდეგ — სულ სხვა. ასე რომ არ იყოს, ალბათ არც ის შემოქმედება დაიბადებოდა, რეპეტიციის დროს რომ იბადება.

და აი,

ერთ კონცერტზე კოტე ვარდელს ორჯერ გაუწყდა სიმი. ვიოლინოს სიმის გაწყვეტა ჩემთვის რაღაც მისტიკური მოვლენაა, მითიური. ნიკოლო პაგანინის დაკვრის დროს, ერთის გარდა, ყველა სიმი სათითაოდ გაუწყდა და იმ ერთ სიმზე ვირტუოზულად დაასრულა დაკვრა. ამ მართალმა თუ მოგონილმა ამბავმა დროთა განმავლობაში უბრალო ხალხში, როგორიც, მაგალითად, მე ვარ, ლეგენდის ძალა შეიძინა. გონებაში ასე მაქვს აღბეჭდილი — ლეგენდა პაგანინიზე. კოტე ვარდელი კი, პირველი ვიოლინო, მაესტრო, ამას ტექნიკურ შეფერხებად მიიჩნევს და ბრაზობს კიდეც — „არ ვიცი, გაუგებარია, თანაც საგანგებოდ, გერმანიაში უძვირეს მაღაზიაში ნაყიდი?! ამ ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გამიწყდა ჩეხოსლოვაკიაში, გასტროლებზე. ხდება, მაგრამ ორჯერ?... ეს ნამეტანი იყო. თამაზ ბათიაშვილს ვირტუოზული სისწრაფით რომ არ გაეცვალა ჩემთვის ინსტრუმენტი, კონცერტის შეჩერება მოგვიხდებოდა. კიდევ კარგი, კვინტეტს ვუკრავდით, თორემ კვარტეტი რომ ყოფილიყო, გავჩერდებოდით. ჩვენ ქართველები ვართ და გამოსავალიც უცებ გამოვნახეთ. თამაზმა თავისი ვიოლინო მომცა და თვითონ ჩემი გაწყვეტილსიმიანით გააგრძელა დაკვრა. ზოგმა ვერც კი შეამჩნია, რა მოხდა, სხვა ანსამბლი ალბათ გაჩერდებოდა. ჩვენ უცებ მოვნახეთ გამოსავალი და ალბათ სწორადაც მოვიქეცით. ისე, ეს ამბავი დიდად აღსანიშნავი არ არის. ასეთი რამ ხდება ხოლმე. სიმი არ უნდა წყდებოდეს, კარგი ხარისხის უნდა იყოს. მე იმ კომპანიის სიმს აღარ ვყიდულობ". თამაზ ბათიაშვილიც ვირტუოზის უბრალოებით აღნიშნავს, რომ ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რადგან, სხვა შემთხვევაში, საკონცერტო მთლიანობა შეწყდებოდა. მასაც მიაჩნია, რომ ასეთი რამ ხდება ხოლმე, ხანდახან ძვირადღირებული სიმებიც უხარისხოა და წყდება, გასაკვირი და აღსანიშნავი ამაში არაფერია.

ესეც ჩემი დამიწებული „ლეგენდა" პაგანინიზე.

თავი II

მუსიკოსები იცინიან?

„საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ არა მარტო საქმე, არამედ მეგობრობაც. კარგად ვიცნობ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, აღტაცებული ვარ იმ წრფელი სიყვარულით, რომელსაც ისინი ამყღავნებენ ერთმანეთის მიმართ."

სულხან ცინცაძე

***

სულხან ცინცაძის იუბილესთან დაკავშირებით კონცერტებით ვმოგზაურობდით საქართველოს ყველა კუთხეში — იგონებს ნოდარ ჟვანია — ზესტაფონის თეატრში გამოვდიოდით. კონცერტზე დასასწრებად მთელი რაიონის ხელმძღვანელობა მოვიდა. სულხან ცინცაძეს, ქართულის გარდა, დაწერილი აქვს ტიბეტური, უნგრული, ჩეხური, ებრაული, პოლონური და სხვა მინიატურები. ტიბეტური მინიატურის შესრულების წინ კოტე ვარდელი დარბაზში, რაიკომის მდივანსა და სხვა ხელმძღვანელებს შორის მჯდარ იუბილარს მიუბრუნდა და მთელი სერიოზულობით ჰკითხა ჩინურ ენაზე — „ძიაო, ნიაუ, მიაუ?", იმან იქიდან, ასევე ჩინურად უპასუხა — „მიაუ, ნიაუ, ძიაო." მიიღო რა დასტური მაესტროსაგან, მოკრძალებით თავი დაუქნია და დაკვრა დაიწყო.

მეორე დღეს კონცერტი სენაკის მუსიკალურ სკოლაში გაიმართა. ოთახი ისეთი პატარა იყო, რომ შემსრულებლები და მსმენელები თითქმის ერთად ისხდნენ. ძალიან დაცხა. პაუზის დროს კოტემ ვიოლინოს ხემი გვერდით დადო მაგიდაზე, კოსტუმიდან ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ხემის ასაღებად ხელი რომ გასწია, მაგიდაზე ხემი აღარ დახვდა. იქვე იჯდა სულხან ცინცაძე და ჭერში იყურებოდა. კოტემ ჯერ ჩასჩურჩულა, ხემი დამიბრუნეო, იქიდან პასუხი რომ ვერ მიიღო, ხმას აუწია, სულხანმა უპასუხა, არაფერსაც არ დაგიბრუნებ, მაგარი თუ ხარ, უხემოდ დაუკარიო. კოტემ კიდევ

უფრო აუწია ხმას — დამიბრუნე ხემიო, სულხანმაც იმავე ტონალობაში მიუგო, არაო და ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე დიდი ხვეწნისა და დარბაზის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, სულხანმა კოტეს ხემი არ დაუბრუნა. აუდიტორია, მართალია, თავიდან ოდნავ დაიბნა, მაგრამ ბოლოს მაინც გულიანად იმხიარულა.

მოგახსენებთ, რომ კვარტეტის ორმოცწლიანი ისტორია სავსეა როგორც პროფესიული, ისე უბრალო, ყოფითი და შემოქმედებითი თავგადასავლებით, რომელთა შესახებ ჯერჯერობით თანამედროვეთა მხოლოდ ზეპირი მოგონებები და რეჟისორ დიმიტრი ბათიაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სიმებიანი კვარტეტი" მოგვითხრობს. სულხან ცინცაძისა და კვარტეტის საგასტროლო ვოიაჟის ზემოთ ნაამბობი მხიარული ეპიზოდებიც იმ უკიდეგანო სიყვარულისა და ნიჭის გამოვლინებაა, რომელმაც ოთხი მუსიკოსი ერთ კრებით სახელად — „კვარტეტი" — გააერთიანა.

მინდა ამ ეპიზოდებით და სხვა პატარ-პატარა კურიოზებით, რომლებსაც კვარტეტის წევრები ქაოსურად ხან სად ყვებიან, ხან — სად, ამ წიგნში მუსიკალურ სამყაროსა და ზოგადად, საზოგადოებაში მეტად პოპულარული რუბრიკა — „მუსიკოსები იცინიან" — შემოგთავაზოთ. აქვე აღვნიშნავ, რომ ყველა ამბავი, რომელსაც ქვემოთ მოგითხრობთ, წყაროს დასახელების უფლებითა მაქვს მოპოვებული და შესაბამისად, შედეგზეც (თუ არ გაგეცინათ) მხოლოდ ეგრეთ წოდებული „წყარო" აგებს პასუხს. მაშ ასე დავიწყოთ:

***

გასტროლები გვქონდა კიევში და დონეცკში. უკრაინაში, საერთოდ, შესანიშნავი მსმენელია. დონეცკში გავმართეთ კონცერტი და შემდეგ პატარ-პატარა ქალაქებში გავყავდით კონცერტების გასამართად. ყველა კონცერტისათვის მთელი დატვირთვით ვემზადებოდით. მიგვიყვანეს ერთ შესანიშნავ დარბაზში. საუკეთესო სცენა იყო. ერთსაათიანი კონცერტი გვთხოვეს. ჩვეულებისამებრ, სარეპეტიციოდ ცოტა ადრე მივედით. დარბაზი მსმენელით გაივსო. დავუკარით ერთი, მეორე ნაწარმოები, მსმენელი ტაშით შეგვხვდა. ტაშს უცნაურად უკრავდნენ, თითქოს რაღაც ნიშანს ელოდებიანო. დაკვრის დროს სამარისებული სი-

ჩუმე იდგა. შეიქმნა იდეალური ჰარმონია დარბაზსა და შემსრულებლებს შორის. თავად ვიყავით აღფრთოვანებულნი, ისეთი სულიერი კონტაქტი დამყარდა დარბაზთან. რომ დავამთავრეთ, სცენაზე ქალი ამოვიდა, მოგვილოცა, ყვავილები მოგვართვა, შემდეგ გვთხოვა, თუ შეიძლება, ინსტრუმენტები გვაჩვენეთ, რათა დარბაზს ავუხსნათ, რომელი რაა და ვინ რომელ ინსტრუმენტს უკრავსო. ჩვენ დიდი ენთუზიაზმით ჩავებით ამ სპექტაკლში, მაგრამ უეცრად ეს ქალი მიუბრუნდა აუდიტორიას და ჟესტების ენით დაიწყო თხრობა იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა დარბაზში, ვინ რომელ ინსტრუმენტს უკრავდა, რას უკრავდა და საერთოდ, ვინ ვიყავით და რისთვის უკრავდნენ ისინი ტაშს ასე გამალებით. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, აღმოჩნდა, რომ დარბაზი მთლიანად ყრუ-მუნჯებით იყო დაკომპლექტებული, ეტყობა, ზემოდან ჰქონდათ მითითება, რომ მუსიკა ყრუ-მუნჯებსაც სჭირდებათ.

***

ისევ უკრაინაში ვართ. მოგეხსენებათ, ოთხნი ვართ და ოთხივეს ჩვენ-ჩვენი ხუშტურები გვაწუხებს. პატარა ქალაქებში, თუ ამის საშუალებაა, ვცდილობთ ხოლმე, რომ კონცერტზე მსუბუქად ჩავიცვათ და თავი უფრო თავისუფლად ვიგრძნოთ. ისე, გააჩნია, ვის რა უყვარს — ფრაკი თუ უბრალო მაისურა. მე (ნოდარ ჟვანია) ფრაკი მიყვარს. პატარა ქალაქი არჩევანის საშუალებას იძლევა. მოკლედ, ერთი გასვლითი კონცერტის დროს დავიწყეთ კამათი, რა ჩაგვეცვა. მე ვამბობდი, ვცეთ პატივი პუბლიკას და ფრაკები ჩავიცვათ-მეთქი. ისე დაჟინებით მოვითხოდი, რომ დამითმეს. ჰოდა, ფრაკებში გამონკეპილები რომელიღაც ქარხნის საერთო საცხოვრებელში მიგვიყვანეს. კონცერტის წინ ერთ პატარა ოთახში, ეგრეთ წოდებულ „კრასნი უგოლოკში" შეგვაბრძანეს და გვითხრეს, საკონცერტო დარბაზიაო. პუბლიკა შედგებოდა საშინაო ხალათებში და ფლოსტებში გამოწყობილი ქალებისაგან ძუძუმწოვარა ბავშვებით, კაცებს კი სპორტული პიჟამოები და „ტაპოჩკები" ეცვათ. მარტო ჩვენ გახლდით შავ ფრაკებში. ბავშვები იატაკზე თამაშობდნენ, პუბლიკა მიდი-მოდიოდა. მოკლედ, დიდ გაუგებრობაში მოვხვდით. მცირეწლოვანი ბავშვები ტიროდნენ, ჩვენც გვე-

ტირებოდა, მაგრამ ფრაკები ამის საშუალებას არ გვაძლევდა, ბოლომდე „ფასონი უნდა დაგვეჭირა". მივხვდი კიდეც და ჩემმა კოლეგებმაც „ეგზომ ტაქტიანად" ამიხსნეს, რომ კვარტეტის ჩაცმულობაზე ზრუნვა ჩემი საქმე არ არის. ამიტომ თავი დავანებე ამ საქმეს და მას შემდეგ ჩაცმის ასპექტში მხოლოდ სხვათა უტყუარ ინტუიციაზე ვარ მინდობილი.

***

კვლავ უკრაინა, ლუგანსკი, ორშაბათი დღეა და პირველ კონცერტს ფილარმონიის დარბაზში ვატარებთ. გარეთ მინუს ათი გრადუსია. შაბათ-კვირას ფილარმონიის ცეცხლფარეში არ მუშაობდა და შენობა ორი დღის გაუმთბარი იყო. ეტყობა, მოსახლეობამ ეს ამბავი იცოდა, რადგან ვიღაც გერმანელი ტურისტების გარდა (ასე ათიოდე კაცი იქნებოდა), დარბაზში არავინ იჯდა. ოთარ ჩუბინიშვილმა ხელთათმანები ჩაიცვა. ის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ჩელოს სიმები ვიოლინოს სიმებზე ბევრად სქელია და ისე იყინება, შეიძლება თითები ზედ დაგრჩეს. ძალიან სერიოზულ პროგრამას ვუკრავდით თითქმის ცარიელი დარბაზისათვის. ამასობაში ვიღაც კაცი შემოსულა, თავისთვის მიმჯდარა კუთხეში და ტკბილად ეძინა, ეტყობა, გარედან გასათბობად შემოვიდა, ან შეიძლება თავად ცეცხლფარეში იყო. ვებერნის პიესას ვუკრავდით, იქ ბევრი პაუზაა და ერთი მახვილი, ხმამაღალი სფორცატო. ეტყობა, ამ სფორცატომ ის მძინარე კაცი შეაღვიძა, პაუზის დროს ბოლომდე გამოეღვიძა და სცენისკენ რომ გაიხედა, აღტაცებით შესძახა: „ოი, ბლიად... სკრიპკა იგრაეტ". ოთარ ჩუბინიშვილს ისეთი სიცილი აუტყდა, იძულებული გახდა, სახეზე ჩელო აეფარებინა. როგორც იქნა, ჩავამთავრეთ ის ვებერნიც და კონცერტიც.

„მთელი საბჭოთა კავშირი რამდენჯერმე გვაქვს გადასერილი გარდი-გარდმო. კონტრასტები საოცარი იყო. უცხოეთის უმაღლესი რანგის დარბაზებიდან უეცრად ასეთ „კრასნი უგოლოკებში", და კიდევ უფრო სიურრეალისტურ სიტუაციებში მოვხვდებოდით ხოლმე. ეს განსაკუთრებით საბჭოეთის ტერიტორიაზე, მიყრუებულ პატარა ქალაქებში იგრძნობოდა. ასეთ პირობებში უკრავდნენ როსტროპოვიჩი, რიხტერი, ოისტრახი და სხვებიც".

თუ გინდათ, კეთილი ინებეთ და ფული გადაიხადეთო. მერე, ეტყობა, შეეშინდათ, ამათ შევარდნაძესთან (მაშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო) არ გვიჩივლონო და ერთი ღამე მაინც დაგვაძინეს საელჩოს სასტუმროში. მერე ერთი კონცერტიც გავმართეთ ლიმაში. მეორე დღესვე გადავფრინდით საპორტო ქალაქ გუაიაკილში. გასაგებია, რომ იქ კონცერტისთვის მაყურებელს არავინ მოამზადებდა, ამიტომ იმპრესარიოს ინიციატივით გადაწყდა, რომ კონ-ცერტის წინ კვარტეტს ერთი-ორი ნაწარმოები ტელევიზიაში უნდა დაეკრა. ტელევიზიაში რომ მივედით, იქ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკელი, 190 სმ სი-მაღლის ულამაზესი ქალისგან იღებდნენ ინტერვიუს. იმ წელს იაპონიაში მას „მის სამყაროს" ტიტული მიუღია და ახლა საქველმოქმედო აქციებით დამოგ-ზაურობდა მსოფლიოს გარშემო. იმპრესარიომ ამ ქალს სთხოვა, ერთი-ორი თბილი სიტყვა კვარტეტზეც თქვიო. იმას ჯერ გაუკვირდა, კვარტეტზე რა უნდა ვთქვაო, შემდეგ დიდხანს არკვევდა, სად მდებარეობდა საქართველო. ამ გარ-კვევა-გაცნობაში ძალიან გამხიარულდა და ბოლოს პირდაპირ ეთერში განაცხა-და, საქართველოს კვარტეტს როცა ვუსმენ, არაჩვეულებრივ გუნებაზე ვდგებიო. ეს იყო და ეს — მეორე დღეს დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა.

***

მთავრობა სახელმწიფო მოღვაწეების პანაშვიდებზე კლასიკური მუსიკის დაკვრას გვავალებდა ხოლმე. ძალიან არ გვიყვარდა ეს, მაგრამ პატივისცემა აბა როგორ უნდა გამოგვეხატა, ამიტომ ბედს ვეგუებოდით, თუმცა — ძნელად. პა-ნაშვიდებზე დაკვრა განსაკუთრებით ოთარს უჭირდა და როგორც კი მომენტი ჩაუვარდებოდა, „ითესებოდა" ხოლმე. ერთხელ ასე „დაითესა" ოთარი, მე უკან მივყევი, მე თამაზი მომყვა და საწყალმა კოტიკამ „ავე მარია" მარტომ შეასრულა — სოლო!

ერთ-ერთ ასეთ პანაშვიდზე ისე კარგად დავუკარით, ხალხმა უნებლიეთ ტაში დაგვიკრა.

***

ნაფარეულში ნოდარ ჟვანიას მეუღლის სალომე გაბუნიას გვერდით ერთი პატარა ბიჭი იჯდა. იგი სულგანაბული უსმენდა კლასიკურ მუსიკას და ყოველი ნაწარმოების შემდეგ გამალებით უკრავდა ტაშს. სალომემ ჰკითხა, მოგწონსო, იმან უპასუხა — ძალიანო. გინდა, რომ ასეთი მუსიკოსი გამოხვიდეო — ჰკითხა სალომემ. იმან კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, აზომ-აწონა და ღირსების ნიშნით მიუგო — „ი... გოგო კი არა ვარ!"

***

მორიგი კონცერტები გვქონდა კახეთის რეგიონში. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ გვიან მოგვიწია ოჯახში სტუმრობა. მაგარი ქეიფი წავიდა და ისე დაგვათენდა, ვერც კი გავიგეთ. წასვლას აღარ ვაპირებდით. მასპინძელი მიგვიხვდა და თავისი პატარა ბავშვები გააღვიძა, ერთი ორი წლის იყო, მეორე-ხუთის. აბა შაქრო, თქვი, რა სიტყვებიც იციო, უთხრა მამამ ორი წლის ვაჟს. შაქრომ დაიწყო კახურად გინება, თქვენი ასეო და ისეო... ხუთი წლის ბავშვი იხვეწებოდა, მეც მათქმევინეთო, მაგრამ მამამ დაუშალა, შენ არა, შენ დიდი ხარო. ჰოდა, სასწრაფოდ დავლიეთ ჩვენი მომავლის სადღეგრძელო და გამოვასწარით იქიდან.

***

„გოსკონცერტისთვის" საჩუქრად 3-4 ყუთი ქართული ღვინო გავამზადეთ — იგონებს ნოდარ ჟვანია — ბიჭები მატარებლით მიდიოდნენ, მე თვითმფრინავით გადავწყვიტე გადაფრენა და მამაჩემს ვთხოვე, ეს ყუთები ბიჭებს სადგურში გაუტანე-მეთქი. კვარტეტს „კურსკის ვაგზალზე" დავხვდი მტვირთავით. ბიჭები ბაქანზე ხელცარიელები გადმოვიდნენ. ღვინო რა უყავით-მეთქი, ვიკითხე და იმათ თავი გაიგიჟეს, რა ღვინო — რის ღვინოო. მამაჩემმა რომ გამოგატანათ-მეთქი ავნერვიულდი, მაგრამ არ შევიმჩნიე, თან გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა. ისინი ერთხმად მარწმუნებდნენ, არც მამაშენი გვინახავს და ღვინოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. მერე, ძალიან რომ „მივაწექი", გამოტყდნენ, ისეთი ჩამოსხმა იყო, როგორ შემოგვესვა, ვერც კი გავიგეთო.

თუ გინდათ, კეთილი ინებეთ და ფული გადაიხადეთო. მერე, ეტყობა, შეეშინდათ, ამათ შევარდნაძესთან (მაშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო) არ გვიჩივლონო და ერთი ღამე მაინც დაგვაძინეს საელჩოს სასტუმროში. მერე ერთი კონცერტიც გავმართეთ ლიმაში. მეორე დღესვე გადავფრინდით საპორტო ქალაქ გუაიკილში. გასაგებია, რომ იქ კონცერტისთვის მაყურებელს არავინ მოამზადებდა, ამიტომ იმპრესარიოს ინიციატივით გადაწყდა, რომ კონცერტის წინ კვარტეტს ერთი-ორი ნაწარმოები ტელევიზიაში უნდა დაეკრა. ტელევიზიაში რომ მივედით, იქ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკელი, 190 სმ სიმაღლის ულამაზესი ქალისგან იღებდნენ ინტერვიუს. იმ წელს იაპონიაში მას „მის სამყაროს" ტიტული მიუღია და ახლა საქველმოქმედო აქციებით დამოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო. იმპრესარიომ ამ ქალს სთხოვა, ერთი-ორი თბილი სიტყვა კვარტეტზეც თქვიო. იმას ჯერ გაუკვირდა, კვარტეტზე რა უნდა ვთქვაო, შემდეგ დიდხანს არკვევდა, სად მდებარეობდა საქართველო. ამ გარკვევა-გაცნობაში ძალიან გამხიარულდა და ბოლოს პირდაპირ ეთერში განაცხადა, საქართველოს კვარტეტს როცა ვუსმენ, არაჩვეულებრივ გუნებაზე ვდგებიო. ეს იყო და ეს — მეორე დღეს დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა.

***

მთავრობა სახელმწიფო მოღვაწეების პანაშვიდებზე კლასიკური მუსიკის დაკვრას გვავალებდა ხოლმე. ძალიან არ გვიყვარდა ეს, მაგრამ პატივისცემა აბა როგორ უნდა გამოგვეხატა, ამიტომ ბედს ვეგუებოდით, თუმცა — ძნელად. პანაშვიდებზე დაკვრა განსაკუთრებით ოთარს უჭირდა და როგორც კი მომენტი ჩაუვარდებოდა, „ითესებოდა" ხოლმე. ერთხელ ასე „დაითესა" ოთარი, მე უკან მივყევი, მე თამაზი მომყვა და საწყალმა კოტიკამ „ავე მარია" მარტომ შეასრულა — სოლო!

ერთ-ერთ ასეთ პანაშვიდზე ისე კარგად დავუკარით, ხალხმა უნებლიეთ ტაში დაგვიკრა.

***

ნაფარეულში ნოდარ ჟვანიას მეულლის სალომე გაბუნიას გვერდით ერთი პატარა ბიჭი იჯდა. იგი სულგანაბული უსმენდა კლასიკურ მუსიკას და ყოველი ნაწარმოების შემდეგ გამალებით უკრავდა ტაშს. სალომემ ჰკითხა, მოგწონსო, იმან უპასუხა — ძალიანო. გინდა, რომ ასეთი მუსიკოსი გამოხვიდეო — ჰკითხა სალომემ. იმან კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, აზომ-აწონა და ღირსების ნიშნით მიუგო — „ი... გოგო კი არა ვარ!"

***

მორიგი კონცერტები გვქონდა კახეთის რეგიონში. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ გვიან მოგვიწია ოჯახში სტუმრობა. მაგარი ქეიფი ნავიდა და ისე დაგვათენდა, ვერც კი გავიგეთ. წასვლას აღარ ვაპირებდით. მასპინძელი მიგვიხვდა და თავისი პატარა ბავშვები გააღვიძა, ერთი ორი წლის იყო, მეორე-ხუთის. აბა შაქრო, თქვი, რა სიტყვებიც იციო, უთხრა მამამ ორი წლის ვაჟს. შაქრომ დაიწყო კახურად გინება, თქვენი ასეო და ისეო... ხუთი წლის ბავშვი იხვეწებოდა, მეც მათქმევინეთო, მაგრამ მამამ დაუშალა, შენ არა, შენ დიდი ხარო. ჰოდა, სასწრაფოდ დავლიეთ ჩვენი მომავლის სადღეგრძელო და გამოვასწარით იქიდან.

***

„გოსკონცერტისთვის" საჩუქრად 3-4 ყუთი ქართული ღვინო გავამზადეთ — იგონებს ნოდარ ჟვანია — ბიჭები მატარებლით მიდიოდნენ, მე თვითმფრინავით გადავწყვიტე გადაფრენა და მამაჩემს ვთხოვე, ეს ყუთები ბიჭებს სადგურში გაუტანე-მეთქი. კვარტეტს „კურსკის ვაგზალზე" დავხვდი მტვირთავით. ბიჭები ბაქანზე ხელცარიელები გადმოვიდნენ. ღვინო რა უყავით-მეთქი, ვიკითხე და იმათ თავი გაიგიჟეს, რა ღვინო — რის ღვინოო. მამაჩემმა რომ გამოგატანათ-მეთქი ავნერვიულდი, მაგრამ არ შევიმჩნიე, თან გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა. ისინი ერთხმად მარწმუნებდნენ, არც მამაშენი გვინახავს და ღვინოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. მერე, ძალიან რომ „მივაწექი", გამოტყდნენ, ისეთი ჩამოსხმა იყო, როგორ შემოგვესვა, ვერც კი გავიგეთო.

***

ავტობუსით სიღნაღში მივდიოდით. ერთ გაჩერებაზე ფუთებით დატვირთულმა თავშალშემოხვეულმა ქალმა ხელი აგვიწია და ავტობუსში ამოვიდა. გამჭოლი მზერით მიყურებდა (ოთარ ჩუბინიშვილი), ისე, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი, მერე კახური კილოთი მკითხა, ვერა მცნობო? ვერა-მეთქი, ვუპასუხე. როგორ ვერა, მე, შენ და ვანო კორკოტაშვილი ერთად არ ვუკრავდით ბრამსის ტრიოსაო?

ქსენია ჯიქიასთან რომ ვმუშაობდი, მაშინ თურმე იქ სწავლობდა, მერე ოჯახს მოჰკიდებია, კოლმეურნე გამხდარა და ხილით დაუწყია ვაჭრობა.

***

ოთარ ჩუბინიშვილი, თამაზ ბათიაშვილი და მანანა დოიჯაშვილი ტრიოში ერთად უკრავდნენ. სამივე ქართლელები არიან და მათ ანსამბლს „ტეტიების ტრიოს" ეძახდნენ.

***

სამტრედიის მუსიკალურ სკოლაში გამართულ კონცერტზე წითელყელსახვევიანმა პიონერმა კვარტეტს სცენაზე დიდ ლანგარზე გაწოლილი, პირშიბოლოკგაჩრილი, შებრაწული გოჭი მიართვა — ყვავილების ნაცვლად. (საქმე ის იყო, რომ კვარტეტმა კონცერტის შემდეგ ბანკეტზე დასწრებაზე უარი თქვა, რადგან იმავე საღამოს ხობში ჰქონდათ კონცერტი გასამართავი. ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ბანკეტზე დაუსწრებლობის დანაკლისი კვარტეტისთვის ამ გზით აენაზღაურებინა. ბოროტი ენები კი ამბობდნენ, რომ ხელმძღვანელობას ეს იდეა ჟენია მაჭავარიანმა მიაწოდაო).

***

თამაზ ბათიაშვილს ქუთაისის კონსერვატორიაში ჰყავდა ერთი ასაკოვანი სტუდენტი ქალი, რომელიც თითქმის არ ესწრებოდა ვიოლინოს გაკვეთილებს.

ერთხელ იგი შემთხვევით შეხვდა თამაზს ქუჩაში, თამაზმა უსაყვედურა, რატომ არ მოდიხარ გაკვეთილებზეო. სტუდენტმა კი მორცხვად უპასუხა, თქვენი შეწუხება მერიდებაო.

***

ქუთაისში ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ თბილისში მოვდიოდით მატარებლით. ზამთარი იყო, მოვიდა დიდი თოვლი და წიფის გვირაბთან მატარებელი გაჩერდა. ორი დღე და ღამე ვერ დავიძარით იქიდან. საკვებს ვერტმფრენებით გვაწვდიდნენ. რიონთან ხაშურში მიმავალი ერთი ქალი დაგვემგზავრა, ჩვენთან დაჯდა, გვიცნო და წამოიყვირა, თქვენ კვარტეტი არა ხართ, ისე მიყვარხართ, ისე მიყვარხართ, ცინცაძის „საჭიდაოს" რომ ასრულებთ, ლამის ტელევიზორში შევძვრე, მაგრამ ჩემი ქმარი არ მანებებს — გადართე, ერთი მაგათი ოხერი დედაც კი ვატირეო.

***

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალის დირექციამ მისი სტუდენტი, ახალგაზრდა, „ნიჭიერი" და „იმედისმომცემი" მევიოლინე სავიოლინე ოსტატობის დასახვეწად თამაზ ბათიაშვილს გამოუგზავნა. თამაზმა მოუსმინა ამ ახალგაზრდას, აწონ-დაწონა და მიხვდა, რომ მისგან არაფერი გამოვიდოდა. ქუთაისელი კოლეგებისთვის უარის თქმა კი მოერიდა, ამიტომ დაიბარა ამ ყმაწვილის მშობელი და აუხსნა, რომ იგი, მისდა სამწუხაროდ, მხოლოდ მეორე ვიოლინოს სპეციალისტია, შესაბამისად, მარტო მეორე ვიოლინოს სწავლება შეუძლია. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთო — იქვე დასძინა — კონსტანტინე ვარდელი პირველი ვიოლინოა და იგი უკეთ მიხედავს თქვენს ვაჟსო. ქუთაისელმა ქალბატონმა თამაზ ბათიაშვილისათვის გასაოცარი ენთუზიაზმით და სიხარულით აიტაცა ეს იდეა. აშკარად შეეტყო, რომ თავისი ვუნდერკინდისთვის მეორე ვიოლინო ნამდვილად ეცოტავა. მაშინვე მიაგელვა თავისი შვილი კოტე ვარდელს და მას მერე მთელი წელი კოტე ვარდელის საკლასო ოთახიდან თამაზ ბათიაშვილის მიმართ ერთობ უხერხული ეპითეტები ისმოდა.

***

გერმანიაში ერთ კონცერტზე შედარებით ცოტა ხალხი მოვიდა. კოტე ვარდელი ცუდ გუნებაზე დადგა, ამრეზით გადახედა პარტერს და თქვა — შეხედეთ, რა პუბლიკაა, რას გვანან, ამათ უნდა მოგვისმინონო? იბურტყუნა, იბურტყუნა და რომ აღარ გაჩერდა, თამაზ ბათიაშვილმა უთხრა: წარმოიდგინე ახლა სცენაზე გერმანელი შემსრულებელი, როგორ გგონია, შენ რომ დაგინახავს დარბაზში შენი მიჭყლეტილი ცხვირით და ბოქსიორის სიფათით, იტყვის, ეს რა დახვეწილი და მუსიკალური აუდიტორია შეკრებილაო?

მოკლედ, ერთხელ გაბრაზდა კოტე ვარდელი პუბლიკაზე და ისიც არ აპატიეს.

***

ცნობილი მუსიკისმცოდნე ევგენი (ჟენია) მაჭავარიანი, როგორც წამყვანი და ლექტორი, ბევრს მოგზაურობდა კვარტეტთან ერთად საქართველოსა და საბჭოთა კავშირში. ჟენია ცნობილი იყო თავისი ენაკვიმატობითა და ფანტაზიით. განსაკუთრებით კარგად ადამიანების გამასხარავება ეხერხებოდა, საოცრად დახვეწილი და ხშირად, დაუნდობელი იუმორი ჰქონდა, მაგრამ ისეთი ენაწყლიანი იყო, ისეთი კეთილი და მომხიბლავი, ყველანაირ იუმორს პატიობდნენ. ერთხელაც ამ უკიდეგანო ნიჭის ბადეში ჩვენი ადმინისტრატორი, ერთობ მკაცრი და უდრეკი ქალბატონი, ფსევდონიმით „ასლი ხანუმ" გაება. ასლი ხანუმი ასაკში იყო შესული. არ გეგონოთ, რომ ვინმეს არ უყვარდა, პირიქით, ყველა მოთმინებითა და შეძლებისდაგვარი იუმორით აღიქვამდა მის დიქტატს და დიდაქტიკას. კვარტეტი კი ამ დროს იყო ახალგაზრდა და „ყალთაბანდი". ჰოდა, მობეზრდა ჟენია მაჭავარიანს ასლი ხანუმის დიქტატურა და გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა მისთვის. მომენტიც ძალიან ხელსაყრელი ჩაუვარდა: კონცერტების გასამართავად კამერულ ორკესტრთან ერთად ზუგდიდში მიდიოდნენ. წინა დღეს მთელი ტელევიზია და პრესა აცხადებდა, ხვალ ამა და ამ საათზე მეტეორი ჩაუქროლებს დედამიწას და წამით მზის დისკოზე აისახებაო. ამას მოჰყვა ჭორები, რომ ამ დროს მზე დაბნელდება, ან პირიქით, უფრო გასხივოსნდება და მისი შეხედვა საშიშია, აბრმავებსო. ჟენიამ გადაწყვიტა, მთელი ამ ინფორმაციის

ეფექტურობა სამოცდაათწელსმიღწეულ ასლი ხანუმზე გამოეცადა და ამაზე სერიოზული მუშაობა გააბა ორკესტრთან. დიდი დრო და ძალისხმევა არ დასჭირვებია, ყველა დიდი ენთუზიაზმით ჩაება ასლი ხანუმის „გაპამპულებისათვის" მზადებაში. განსაკუთრებით ქალები გააქტიურდნენ: ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, დაფუსფუსებდნენ ავტობუსში, ხმამაღლა გამოხატავდნენ შიშს მომავალი კატასტროფის მიმართ და თავსაბურავებს ამზადებდნენ კრიტიკულ მომენტში თვალებზე ასაფარებლად. ასლი ხანუმმა ყურები ცქვიტა და თითოეულისგან მეორედ მოსვლის სულ სხვადასხვა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ვარიანტი ბოლომდე მოისმინა. როგორც პროფესიონალი ადმინისტრატორი, მაშინვე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, ესე იგი, მთელის მონდომებით დაიწყო ხალხის დამშვიდება — ჭორებს ნუ აყვებით, სისულელეა, ასეთი მოვლენები ხშირად ხდება, ნუ გეშინიათ, არაფერი მოხდებაო. ამასობაში ჟენია მაჭავარიანი ავტობუსის მძღოლს მოელაპარაკა, ნიშანს რომ მოგცემ, ავტობუსი გააჩერეო. ორკესტრი უკვე მზად იყო. კაცებმა თავზე პალტოები წამოიხურეს, ქალებმა — თავშალები. ასლი ხანუმი გაოგნებული ადევნებდა თვალყურს ამ პროცესს. მერე უცებ ავტობუსი ბორბლების ჭრიალით გაჩერდა, ორკესტრის მონაწილეები თავპირისმტვრევით გადაცვივდნენ იქიდან და გზის სავალ ნაწილზე კივილ-წივილით პირქვე დაემხნენ. საბრალო ასლი ხანუმი ახლაღა მიხვდა, ესენი არ ხუმრობენო, რაღაც თავშალს დაავლო ხელი და ავტობუსის კარებს მიაწყდა, ისეთი დაბნეული იყო, ვერ ჩადიოდა, კვარტეტელები დაეხმარნენ. მერე ისიც დაემხო მიწაზე და გაირინდა. ერთხანს ასე იყვნენ, მერე ჟენიამ დაიძახა, ადექით! მადლობა ღმერთს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, კომეტამ ჩაიარა და არავინ დაშავებულაო. ხალხმა ფეხზე წამოდგომა დაიწყო, საბრალო ასლი ხანუმი ისეთი შეშინებული იყო, ადგილზე ველარ ინძრეოდა, და ამ დროს მოხდა ყველასათვის მოულოდნელი და დაუგეგმავი რამ, რასაც თავად ჟენია მაჭავარიანიც ვერ გათვლიდა. კამერული ორკესტრის ერთ-ერთმა მევიოლინემ ალექსანდრე სკარგამ უცებ დაიყვირა, ვაიმე, მიშველეთ, მზეს თვალი გავუსწორე და მგონი, დავბრმავდიო! ამაზე ასლი ხანუმი კი არა, ერთი მომენტი, თურმე მთელი ავტობუსი თავის მძღოლიანად ადგილზე გაშეშდა. ასლი ხანუმმა კი ყველას დაასწრო, ალიკასთან მიხოხდა, გულში ჩაიკრა და

გულისმომკვლელი სათნოებით დაუწყო დამშვიდება — ალიკ-ჯან, ცავატანემ, ნუ გეშინია, ახლავე გაგივლისო. და ყოველივე ეს მოხდა დღისით, მზისით, შუა გზაზე, სადაც ხალხი მიდი-მოდიოდა, თავისი საქმით იყო გართული და უცებ ასეთი სანახაობა: შუა გზაზე ვიღაც თავწაკრული გიჟები კივილ-წივილით ცვივიან ავტობუსიდან და მიწას ერთხმიან, თანაც გაითვალისწინეთ, რომ ეს არ ხდება არც რაჭაში, არც კახეთში ან საქართველოს რომელიმე, შედარებით ნაკლებემოციურ კუთხეში. ეს ხდება სამეგრელოში, ემოციებისა და განსაკუთრებით — ტრაგიკული ემოციების საუფლოში, ჰოდა, რა უნდა ეფიქრათ ამის თვითმხილველებს იმ სიტუაციაში? წარმოგიდგენიათ, რა კარგ გუნებაზე დადგებოდნენ, ვიდრე რამე გაირკვეოდა? ერთი მომენტი ალბათ თავადაც ყოყმანობდნენ, მიებაძათ ამ გადარეული ბრბოსთვის, თუ თავი შეეკავებინათ. რა იცი, რა ხდება?! ჰოდა, ვიდრე ეს ხუმრობა დამძიმდებოდა და გადაიქცეოდა ტრაგედიად, სახელწოდებით „მზის დაბნელება სამეგრელოში", სპექტაკლის მონაწილეებსაც და მის რეჟისორსაც სიცილი წასკდათ, აკისკისდნენ მაყურებლებიც, არ იცინოდა მხოლოდ ასლი ხანუმი, რომელსაც ძალიან ეტკინა გული და ტირილი დაიწყო. ძალიან დიდხანს ეხვეწებოდნენ ასლი ხანუმს ყალთაბანდი მუსიკოსები, შეგვირიგდიო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ამას მთელი თვეები დასჭირდა თურმე.

***

ჟენია მაჭავარიანის ფანტაზიის შედეგრია, ასევე, „ფოთის პორტის ამბავიც". მან გამოიყენა ერთი პოლიტიკური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გემი დაუკავებიათ და ამაზე ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ნოტების მიწერ-მოწერა მიმდინარეობდა. მაშინ კვარტეტს გეზი ფოთისკენ ჰქონდა აღებული და ჟენიამ ადმინისტრატორს უთხრა, ის გემი ფოთის წყლებშია დაკავებულიო. ადმინისტრატორი ჯერ ვერ მიხვდა, რაზე მიანიშნებდა ჟენია და სმენად გადაიქცა. ჟენიამ კი შესთავაზა, ჯობია თადარიგი ახლავე დავიჭიროთ და პროგრამა ამერიკულ ყაიდაზე გადავაკეთოთო. მოკლედ, რაღა გავაგრძელოთ და ფოთში ჩასვლის-

თანავე ადმინისტრატორმა პორტის უფროსს მოახსენა, ამერიკელებისთვის შესაბამისი პროგრამა გვაქვს მომზადებული და ახლა მითითებებს თქვენგან მოველითო. ფოთის პორტის უფროსი, მართალია, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ იმ-დენი ზრდილობა ეყო, ადმინისტრატორისთვის არ ეკითხა, გზაში ძალიან ხომ არ დაგცხათო. მოკლედ, ამ ჟენია მაჭავარიანისგან მშვიდ ცხოვრებას ვერ ეღირსე-ბოდი თურმე.

***

ბუდაპეშტში იყვნენ კონკურსზე, გაიმარჯვეს, ფული ჰქონდათ და ძალიან კარგ გუნებაზე იყვნენ. ქუჩაში, ერთ ვიტრინაში საათებს მოჰკრეს თვალი. ნახეს, ია-პონური საათი ჭიქაში, წყალში იდო. არც დაფიქრებულან, ისე უყიდეს საჩუქრად ბიჭიკო ბარნაბიშვილს. მერე მატარებელში ჩასხდნენ და მოსკოვს გაემგზავრნენ. დრო ბევრი ჰქონდათ, საქმე — ცოტა. გადაწყვიტეს, საათი გაესინჯათ. ჩააგდეს წყლიან ჭიქაში და მოკვდა საათი.

იმედია, ცოტა იცინეთ და გამხიარულდით. თუ კიდეც იცინეთ და კიდეც იმ-ხიარულეთ, დროა უფრო სერიოზულ საქმეებზე გადავიდეთ და მოვისმინოთ, რა შეფასებას აძლევენ „სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" შემოქმედებას ნამდვილი ხელოვანები.

თავი III

მაესტროს ოქროს სიტყვა

ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი

სულხან ცინცაძე

1977 მარტი

ესაა მაღალი კლასის, ჭეშმარიტად თანამედროვე ანსამბლი, რომლის შემოქმედება აღბეჭდილია არტისტიზმით, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით, ოსტატობითა და პროფესიონალიზმით. ყოველივე ეს საქართველოს დამსახურებული არტისტების, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების — კონსტანტინე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიას და ოთარ ჩუბინიშვილის დამსახურებაა. სწორედ მათი წყალობით მიაღწია საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა მაღალ შემოქმედებით დონესა და გაქანებას.

საკვარტეტო მუზიცირების ასეთ აღმავლობას ხელი შეუწყო ეროვნულმა საშემსრულებლო ტრადიციებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაეყარა საძირკველი. პროფესიული საკვარტეტო შემსრულებლობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს იმ გამოჩენილმა მუსიკოსებმა, 20-იან წლებში რომ გამოვიდნენ შემოქმედებით სარბიელზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი კვარტეტის, შალვა და გიორგი თაქთაქიშვილების, ლეო შიუკაშვილის და სხვათა ღვაწლი.

ეროვნული საკვარტეტო სტილის დამკვიდრებაში დიდი როლი შეასრულა ინსტრუმენტალისტების შემდეგმა თაობამ — ბორის ჭიაურელმა, გივი ხატიაშვილმა, ალექსანდრე ბეგალიშვილმა და გიორგი ბარნაბიშვილმა, რომლებიც ათეული წლის მანძილზე წარმოადგენდნენ საქართველოს სიმებიან კვარტეტს და დიდ პროპაგანდას უწევდნენ კლასიკურ საკვარტეტო მუსიკას, ხელს უწყობდნენ ამ ჟანრში ქართველი კომპოზიტორების მოღვაწეობასაც.

საკვარტეტო ხელოვნების მწვერვალების დაპყრობა კი საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის დღევანდელი შემადგენლობის დამსახურებაა. ამ კოლექტივის დაარსება კი, ცნობილი მუსიკოსისა და კვარტეტისტის გიორგი ბარ-

ნაბიშვილის ინიციატივით მოხდა. სწორედ მან მოუყარა თავი კ. ვარდელს, თ. ბათიაშვილს, ო. ჩუბინიშვილს და ნ. ჟვანიას და შეუქმნა მათ პირობები ზრდისა და დაოსტატებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელსაც საკვარტეტო მუზიკირების სპეციფიკა მოითხოვს. უპირველესად აღსანიშნავია, ამ კოლექტივის შემოქმედებითი ერთსულოვნება, ანსამბლურობას რომ ვუწოდებთ ხოლმე. ამასთან, ანსამბლის ყოველი წევრი გამოირჩევა დამოუკიდებელი სახით, თავისი არტისტული ინდივიდუალობით, რაც ნიჭის წყალობა გახლავთ.

ამ კოლექტივის დიდ ღირსებად მიმაჩნია, აგრეთვე, შემოქმედებითი ინტუიცია, რომელსაც ჩვენი კვარტეტისტები ამჟღავნებენ მუსიკალური სტილის განსაცვიფრებელი შეგრძნებით. ესეც ტალანტის თვისება გახლავთ, რადგან ამ თვისების (სტილის შეგრძნება) აღზრდა, ისევე შეუძლებელია, როგორც ადამიანს ასწავლო მუსიკის წერა, კომპოზიტორობა. დიახ, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს გამახვილებული აქვს მხატვრული ალღო, ამიტომაა, რომ იგი ძალდაუტანებლად ეუფლება ნებისმიერი სტილის ნაწარმოებს, ღრმად სწვდება კომპოზიტორთა რთულსა და ძალზე თავისებურ სამყაროს. ყველაფერს, რასაც კი ხელს მოჰკიდებს ჩვენი კვარტეტი, უკრავს ღრმა გააზრებით, არტისტული გზნებითა და შთაგონებით, სტილის უტყუარი შეგრძნებით, უკრავს ბრწყინვალედ! ასე ასრულებენ ჩვენი კვარტეტისტები კლასიკოსთა ნაწარმოებებს, თანამედროვე კომპოზიტორთა ურთულეს ქმნილებებს, ასე უკრავენ ჩემს ნაწარმოებებს, სულხან ნასიძისა და თემო ბაკურაძის კვარტეტებს.

სადღეისოდ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ფლობს მდიდარსა და მრავალფეროვან რეპერტუარს. შესწავლილი აქვთ ბეთჰოვენის ჩვიდმეტივე კვარტეტი, რაც უაღრესად დიდი მონაპოვარია. იშვიათად შეხვდებით ისეთ კოლექტივს, ბეთჰოვენის ყველა კვარტეტს რომ უკრავდეს. ეს ფაქტიც თვალსაჩინოდ მეტყველებს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის შემოქმედებით პოტენციაზე, გაქანებაზე, მასშტაბებზე.

ბეთჰოვენის საიუბილეო დღეებში, დიდი კომპოზიტორის 150 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი გვპირდება ჩვიდმეტივე

სულხან ცინცაძე (შუაში) და საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. თამაზ ბათიაშვილი, კონსტანტინე ვარდელი, ნოდარ ჟვანია, ოთარ ჩუბინიშვილი

კვარტეტის შესრულებას. ეს იქნება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, არამარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბითაც.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის რეპერტუარში დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე კამერულ მუსიკას, რომელიც მოითხოვს მაღალ საშემსრულებლო ტექნიკას, შემოქმედებითი ენერგიის დიდ დაძაბვას, რთული და ხშირად, უჩვეულო ტექნოლოგიური ხერხების საფუძვლიან ცოდნას. ამ თვისებებს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ამჟღავნებს ბარტოკისა და შოსტაკოვიჩის კვარტეტების შესრულებისას, რითაც მან მოიხვეჭა თანამედროვე მუსიკის ბრწყინვალე ინტერპრეტატორის სახელი. ამას ჩვენმა კვარტეტისტებმა მარტო ნიჭიერების წყალობით როდი მიაღწიეს. ეს გახლავთ ბეჯითი შრომის, მომთხოვნელობის, თავიანთი პროფესიისადმი დიდი სიყვარულის შედეგი.

სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებთ არამარტო საქმე, არამედ მეგობრობაც. კარგად ვიცნობ მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, აღტაცებული ვარ იმ წრფელი სიყვარულით, რომელსაც ისინი ამჟღავნებენ ერთმანეთის მიმართ.

ათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მოპოვებული აქვს ბრწყინვალე გამარჯვებები. ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსზე მას მიენიჭა მეორე პრემია, თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორის სერვანსკის კვარტეტის მაღალმხატვრული შესრულებისათვის კი პირველი პრემია და სპეციალური პრიზი.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს უდიდესი წარმატება ხვდა ბრატისლავაში, თანამედროვე მუსიკის ფესტივალზე, სადაც პირველად სრულდებოდა ჩემი მერვე კვარტეტი, რომელიც ჩვენმა კვარტეტისტებმა მართლაც რომ ბრწყინვალედ შეასრულეს. ფესტივალის აუდიტორიამ მათ მხურვალე და ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა. მერვე კვარტეტი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს ვუძღვენი. ასეთივე წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ საარბრიუკენში, ქართული ხელოვნების კვირეულზე, სადაც სრულდებოდა ბეთჰოვენის ერთ-ერთი კვარტეტი, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მათ შორის, ჩემი VI კვარტეტიც.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს, ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ კოლექტივის ინტენსიურსა და უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას. მათ კონცერტებს ყოველთვის ესწრება მსმენელი, ესწრება ის, ვისაც ნამდვილად უყვარს მუსიკა.

შარშან საავტორო კონცერტებით გამოვდიოდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამაოცა და გამახარა იმ მხურვალე დამოკიდებულებამ, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამჟღავნებდნენ საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მიმართ. მათ ყველგან სიხარულით ეგებებოდნენ, აღმოჩნდა, რომ ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის წყალობით ამ კოლექტივს კარგად იცნობდნენ მთელ საქართველოში. დიდი წარმატებით გამოვიდა კვარტეტი ჩემს საავტორო კონცერტებზე ბალტიისპირეთშიც.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს მიენიჭა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია. ეს საპატიო წოდება მან მოიპოვა თავისი ნიჭის, ოსტატობის, თავდადებული შრომის წყალობით.

გული სიხარულით მევსება ხოლმე, როდესაც აუდიტორიის წინაშე, განსაკუთრებით უცხოეთში, წარმადგენენ ხოლმე, როგორც ზაქარია ფალიაშვილის

პრემიის ლაურეატს. ამ სიხარულს მალე ჩვენი კვარტეტიც შეიგრძნობს. მთავარი კი ისაა, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელი ამ გზითაც გავიდა საერთაშორისო სარბიელზე. მით უფრო, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს უკვე იცნობენ მრავალ ქვეყანაში, ხშირად იწვევენ თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების დიდ ცენტრებში.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი სტიმულს აძლევს ქართული კამერული მუსიკის განვითარებას. ამჟამად ამ კოლექტივისათვის ვწერ მუსიკას სიმებიანი კვარტეტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ვმუშაობ მეცხრე კვარტეტზე, რომელსაც ვუძღვნი დიმიტრი შოსტაკოვიჩის ხსოვნას. ამ ნაწარმოების პირველი შემსრულებელი, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი იქნება.

ვუსურვებ ამ სახელოვან კოლექტივს მომავალ წარმატებებს, მისი ყოველი გამარჯვება ქართული კულტურის გამარჯვებაა, პირადად ჩემი გამარჯვებაცაა.

კვარტეტთან ორი დაუვიწყარი მოგონება მაკავშირებს

გია ყანჩელი

2005 წელი, სექტემბერი

ბუნებრივია, რომ მაღალი რანგის სიმფონიური ორკესტრის, სხვადასხვა შემადგენლობის კამერული ანსამბლების, საგუნდო კაპელის საშემსრულებლო ხარისხი ქვეყნის მუსიკალური კულტურის დონეზე მეტყველებს. მომავალში მკვლევარები სწორედ მათ მოღვაწეობაზე დაყრდნობით იმსჯელებენ დღევანდელობის საშემსრულებლო კულტურაზე, რა თქმა უნდა, შესაბამისი აუდიო ჩანაწერების მეშვეობით. საბედნიეროდ, მიხეილ კილოსანიძის დამსახურებით ამგვარი ნიმუშები საკმარისად მოგვეპოვება. მათ ჩამონათვალში ჩვენი კვარტეტის ჩანაწერები შესრულების საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა.

არ იქნება ურიგო, თუ გავიხსენებთ, რომ მოქანდაკის დადგმულმა ცუდმა ქანდაკებამ თავისი კონსტრუქციის, მასალის სიმკვრივისა და სიმაგრის გამო შეიძლება

საუკუნეებს გაუძლოს, უბრალოდ, არ დაინგრეს. მდარე, უღიმღამო მუსიკა საბიბ-ლიოთეკო თაროების საკუთრებად იქცევა და დავიწყებას მიეცემა. რჩება ის, რაც ჭეშ-მარიტად მარადიულია. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენი კვარტეტის მოღვაწეობა და არსებობა განსაკუთრებით დასაფასებელია. და თუ ბეთჰოვენის, ჰაიდნის კვარტეტებს ჩვენს მუსიკოსებზე არანაკლები შემსრულებლები მსოფლიოში მოეძებნება, ქართული კვარტეტების შესრულებაში მათ ბადალი არა ჰყავთ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი არის სულხან ცინცაძის, სულხან ნასიძის, ნოდარ გაბუნიას და იოსებ ბარდანაშვილის კვარტეტების შექმნის ინიციატორი, მათი პირველი შემსრულებელი და ამ კომპოზი-ტორთა ხელოვნების პოპულარიზატორი საერთაშორისო ასპარეზზე.

თავის დროზე კვარტეტის შექმნით გიორგი ბარნაბიშვილმა ჩვენს საშემსრუ-ლებლო ხელოვნებას დიდი სამსახური გაუწია. ეს იყო საქართველოში საკვარ-ტეტო მუზიცირების ახალ ეტაპზე აყვანის მცდელობა, რამაც საბოლოოდ შესანიშნავი შედეგი გამოიღო — მისი ახალი სისხლით შევსება, რაც იმ ვითარე-ბაში საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. გიორგი ბარნაბიშვილმა ახალი, ახალ-გაზრდა კვარტეტი შექმნა, რომელმაც შემდეგ, ბევრად განაპირობა არაერთი ქართველი კომპოზიტორის შემოქმედებითი გზა.

სამწუხაროდ, მუსიკალურ სამყაროში დღეს ასეთ მაგალითებს ნაკლებად ვხე-დავთ. 90-იანი წლების არეულობა ახალი კამერული ანსამბლების ასპარეზზე გამოსვლას ნოყიერ ნიადაგს ვერ შეუქმნიდა. დასანანია, რომ სიმებიან საკრავე-ბზე სწავლის მსურველთა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. ეს არ მოხდა თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც სამსახიობო ხელოვნების დაუფლების მსურველთა ნაკადი არ შემცირებულა. იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდა პი-ანისტების საკმაოდ ძლიერ თაობაზე. ამ მხრივ, სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის სამშობლოში დაბრუნება და მოღვაწეობა, უდავოდ, შეუწყობს ხელს სიმებიან საკრავებზე დაკვრის მსურველთა რაოდენობის ზრდას.

სახელმწიფო კვარტეტის წევრებთან მრავალი მოგონება მაკავშირებს. ორ მათგანზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო. ერთი ჩემში სინანულის გრძნობას იწვევს, მეორე — სასიამოვნოსა და უცნაურს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სახელგანთქმულმა ამერიკულმა „კრონოს" კვარტეტმა შე-

მომთავაზა მათთვის ნაწარმოების დაწერა. ასე შეიქმნა „ღამის ლოცვანი". შემდგომში ეს ნაწარმოები ჩვენმა სახელმწიფო კვარტეტმა შეისწავლა და რამოდენიმეჯერ შეასრულა. თუ არ ვცდები, ეს 1994 წელს მოხდა, როცა საქართველოში არც სინათლე იყო და არც გათბობა. თბილისის მუსიკალურ ცენტრში გენერატორის შუქზე მიმდინარეობდა ჩემი კვარტეტის ჩაწერა. სწორედ იმ საღამოს თავს დაესხნენ კოტე ვარდელს და გუარნერის საკოლექციო ვიოლინოსთან ერთად, ნოდარ ჟვანიას ალტიც გაიტაცეს. საზღვარგარეთ მყოფს, ამ ამბავმა თავზარი დამცა. შემდგომ ხშირად ვფიქრობდი, რა მოხდებოდა, ეს კვარტეტი საერთოდ არ დამეწერა ან იგი სადმე სხვაგან ან სხვა დროს ჩაეწერათ. ასეა თუ ისე, მე გარკვეულწილად თავს დამნაშავედ დღესაც ვგრძნობ, ვინაიდან ეს სამარცხვინო ფაქტი ჩემი კვარტეტის ჩაწერისას მოხდა.

რაც შეეხება მეორე მოგონებას, იგი უფრო მისტიკურ მოვლენას ჰგავს: 1994 წელს ლევ მარკიზის თაოსნობით, ამსტერდამის ერთ ყველაზე დიდ და ცნობილ ეკლესიაში, სახელად Oudekerk (ოუდეკერკ), ჩემი საავტორო კონცერტი გაიმართა. ამ კონცერტზე სრულდებოდა ოთხნაწილიანი ციკლი „სიცოცხლე შობის გარეშე", რომელიც ოთხი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება: „დილის ლოცვები", „შუადღის ლოცვები", „საღამოს ლოცვები" და „ღამის ლოცვები". ეს ნაწარმოებები ცალ-ცალკეც სრულდება და ერთადაც. პირველი სამი ნაწარმოები სხვადასხვა შემადგენლობისათვისაა დაწერილი, „ღამის ლოცვები" კი — სიმებიანი კვარტეტისათვის. ლევ მარკიზმა ამ ნაწარმოების შემსრულებლებად ინგოლშტატიდან ჩვენი სიმებიანი კვარტეტი მოიწვია, რამაც ძალიან გამახარა. მაგრამ მთავარი წინ მელოდა. „დილის ლოცვანის" დამთავრებისას გაისმა ოუდეკერკის ზარების რეკვა. როდესაც ეს პირველი ნაწარმოების დამთავრების დროს მოხდა, რა მშვენიერი დამთხვევაა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ როცა ოთხივე ნაწარმოების დასასრული ეკლესიის ზარებს შეერწყა, ვიფიქრე, რომ განგებამ მაპატია და ასეთი უცნაური დამთხვევა იმის მომასწავებელია, რომ ჩემი „დანაშაული" ჩემი მეგობრების, განსაკუთრებით კი კონსტანტინე ვარდელის და ნოდარ ჟვანიას მიმართ, ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდე.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი საერთაშორისო კლასის კოლექტივი გახდება

როსტისლავ დუბინსკი

1974 ნოემბერი

საქართველოს სიმებიან კვარტეტს მაშინ გავეცანი, როცა იგი ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსისთვის ემზადებოდა. ეს იყო შარშან გაზაფხულზე. ჩვენი შეხვედრის ინიციატივა ეკუთვნოდა ამ კოლექტივის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს, ჩემს ძვირფას კოლეგას გიორგი ბარნაბიშვილს. სიამოვნებით აღვნიშნავ იმასაც, რომ გ. ბარნაბიშვილთან ჩემი ურთიერთობა დღეს უკვე გასცდა პროფესიულ საზღვრებს. მისი სახით შევიძინე მეგობარი, თანამოაზრე, რომლის ნებისმიერ გამოვლინებაში მჟღავნდება ნამდვილი მუსიკოსი, მე ვიტყოდი — ჭეშმარიტი ხელოვანი. სიმართლე რომ ვთქვა, კოლეგის მხრიდან იშვიათად ვყოფილვარ ასეთი მხარდაჭერისა და ნდობის მოწმე. მაშინ კი ჩვენ



როსტისლავ დუბინსკი და გიორგი ბარნაბიშვილი (1973 წ.)

მხოლოდ შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მოუცლელობის მიუხედავად, შეავასრულე მისი თხოვნა და მოვუსმინე ახალგაზრდა ქართველ ინსტრუმენტალისტებს — კ. ვარდელს, თ. ბათიაშვილს, ნ. ჟვანიას, ო. ჩუბინიშვილს. გამოგიტყდებით, განსაკუთრებულს არაფერს ველოდი, რადგან უკანასკნელი წლების მანძილზე ახალგაზრდულ კოლექტივებში არ შემინიშნავს რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე, მაგრამ შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა მაშინვე მომხიბლა სიმკვეთრით, ორიგინალობით, თავისებური არტისტიზმით. მით უფრო, რომ ისინი ასრულებენ რთულსა და მრავალფეროვან პროგრამას — მოცარტის სოლ-მაჟორულ, ბარტოკის მეოთხე და ბრამსის ლა-მინორულ კვარტეტებს.

მოცარტის ნაწარმოების შესრულებისას კვარტეტმა გამომაჟღავნა სინატიფემდე დახვეწილი საშემსრულებლო სტილი, ნათელი აზროვნება და, რაც მთავარია, ანსამბლის გასაოცარი შეგრძნება. მაშინვე დამებადა აზრი, რომ ეს შესანიშნავი თვისება სათავეს იღებს ქართული ხალხური სიმღერის უნიკალური ბუნებიდან, მისი განუმეორებელი საშემსრულებლო სტილიდან. მართლაც, მე ყოველთვის მაცვიფრებდა ვოკალური ინტონირების სირთულე და სიზუსტე, აგრერიგად რომ გამოარჩევს უმდიდრეს ქართულ ხალხურ პოლიფონიას. არსად არ მღერიან ისე, როგორც საქართველოში. ჩემი აზრით, სწორედ ამ დიდი მემკვიდრეობიდან მომდინარეობს ინტონირების ის მაღალი და დახვეწილი კულტურა, საქართველოს კვარტეტის დიდ ღირსებას რომ წარმოადგენს. ინტონაციური სიწმინდისა და სახიერებისაკენ ლტოლვა — ეს უკვე მათი მოთხოვნილებაა, ამ კოლექტივის არსების განუყოფელი ნაწილი.

ინტონაციური სიზუსტე თანდაყოლილი მონაცემია. შეუძლებელია მისი აღზრდა, მიუხედავად იმისა, რომ დაძაბული მუშაობით ხერხდება ხოლმე სმენისა და რიტმის გამომუშავება. მაგრამ ანსამბლური მუზიცირების დროს ყოველთვის მკაფიოდ მჟღავნდება გამომუშავებულიცა და თანდაყოლილიც. პირდაპირ რომ ვთქვათ, გამომუშავებული თვისებები ვერ უძლებენ ანსამბლური შემოქმედების რთულ სპეციფიკას. ისიც მგონია, რომ ინტონირების ხელოვნება საუკუნეთა მანძილზე ვითარდება და მემკვიდრეობით გადაეცემა ხოლმე თაობიდან თაობას.

ბარტოკის მეოთხე კვარტეტში კი კოლექტივმა ანსამბლური ხელოვნების სხვა მხარეებიც გამოავლინა. ამ ნაწარმოების შესრულების დროს ქართველი მუსიკოსები ლაღად გრძნობდნენ თავს, შეზრდილნი იყვნენ მასთან. მას კი საფუძვლად უდევს უაღრესად რთული რიტმული კონსტრუქცია, გამსჭვალული ნაირგვაროვანი რიტმული კომბინაციებით. საქართველოს სახელმწიფო კვარტეტისათვის არც ეს სირთულე არსებობდა. ამასაც გააჩნია თავისი მტკიცე საფუძველი. ვფიქრობ, რომ რიტმის გრძნობაც კვარტეტმა მემკვიდრეობით მიიღო ხალხური ტრადიციებიდან. შესანიშნავი ქართული ხალხური ცეკვების რიტმული სტიქია ხომ საოცრად მრავალფეროვანი, მკვეთრი და ელვარეა. აქედან ჩანს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გენეტიკური კავშირი მრავალსაუკუნოვან ეროვნულ მუსიკალურ კულტურასთან.

არასოდეს დამავიწყდება ბარტოკის კვარტეტის, განსაკუთრებით მისი მესამე ნაწილის შესრულება (ჩელოს სოლო აკორდული თანხლების ფონზე), რომელსაც ქართული ინტონაციის ელფერი დაჰკრავდა, რაც უჩვეული სიახლეს სძენდა დიდი უნგრელი კომპოზიტორის მუსიკას. ამიტომ იყო, რომ ბარტოკის კვარტეტის შესრულება ყუმბარის გასკდომას ჰგავდა და მოსკოვის მთელი მუსიკალური საზოგადოება აღაფრთოვანა. საერთოდაც, ამ კონცერტმა, რომელიც ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსის წინა დღეებში გაიმართა და რომელზედაც ქართველი მუსიკოსები პირველად მოევლინენ მოსკოვს, დიდი წარმატება მოუტანა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს. მასზე დიდხანს ლაპარაკობდნენ მუსიკოსთა წრეებში.

რაც შეეხება ბრამსის კვარტეტს — მისი შესრულება არ იყო უნაკლო. მაგრამ ეს იყო მაშინ, შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟზე, როცა კვარტეტი ჯერ არ იცნობდა ბეთჰოვენის შემოქმედებას. ბრამსთან მისვლა კი შეუძლებელია ამ მწვერვალის დაძლევის გარეშე. ბეთჰოვენიდან ბრამსამდე — ასეთია გზა, რომელსაც დღეს წარმატებით მიჰყვება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი.

საერთოდაც, ბეთჰოვენის კვარტეტების — ამ „მუსიკალური ბიბლიის" შესრულების შემდეგ გზა ხსნილია ყველა მიმართულებით. ამჟამად საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ერთდროულად სამი ფლანგიდან უტევს და იპყრობს ამ მწვერვალს. მჯერა, რომ ბეთჰოვენის ყველა კვარტეტის შესრულება უდიდესი

მხატვრული მნიშვნელობის მოვლენა იქნება, ამით ახალი ფურცელი გადაიშლება საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ისტორიაში.

ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება. მას შემდეგ ეს კოლექტივი დღითიდღე იზრდება. ყოველი ნაწარმოები ახალი საფეხურია, წინსვლაა. მაცვიფრებს ამ ნიჭიერი მუსიკოსების უსწრაფესი რეაქციები, ინტუიცია, შემეცნების ალღო. ისინი უმალვე ითვისებენ ნებისმიერ მითითებას, საოცარი გატაცებით მუშაობენ, მაღალ დონეზე წყვეტენ ურთულეს შემოქმედებით პრობლემებს. მათ დიდი მომავალი აქვთ. საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი საერთაშორისო კლასის კოლექტივი გახდება. ამის წინამძღვარი უკვე არსებობს — ესაა ის დიდი გამარჯვება, რომელიც ქართველმა მუსიკოსებმა იზეიმეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — საკვარტეტო ხელოვნების კანონმდებელთა ქვეყანაში.

მე კულისებიდან მონუსხული მივჩერებოდი ამ ოთხ ჯადოქარს

ანზორ ერქომაიშვილი

2006 წელი, მარტი

ჩვენ თითქმის ერთად დავიწყეთ მოღვაწეობა. ამიტომ კვარტეტის შემოქმედებითმა გზამ ჩემს თვალწინ ჩაიარა და მისი უდიდესი წარმატების მოწმე გავხდი.

ვოკალურ და ინსტრუმენტულ ანსამბლებს ბევრი რამ აქვთ საერთო. მე, როგორც მომღერალთა წარმომადგენელი, მთელი ცხოვრება შევტრფოდი ჩვენი კვარტეტის ანსამბლურობას, შეუდარებელსა და სათაყვანებელს. საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად იმართებოდა ქართული კულტურის დღეები, სადაც ჩვენი სახელმწიფო კვარტეტი და „რუსთავი" ერთად მონაწილეობდნენ. კვარტეტის გამოსვლა, მართლაც, გამაოგნებელი იყო მსმენელისათვის. მეც კულისებიდან მონუსხული მივჩერებოდი ამ ოთხ ჯადოქარს, რომელთა მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება უცხოელ მაყურებელს ამაღლებულ წარმოდგენას უქმნიდა ქართულ კულტურაზე. ჩემი აზრით, ჩვენი ბიჭე-

ბის მთავარი დამსახურება მაინც ისაა, რომ მათ შორს გაუთქვეს სახელი ქართულ პროფესიულ მუსიკას. გარდა ამისა, მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებებს ქართული სული შთაბერეს და მსმენელს სულ სხვანაირად წარუდგინეს მანამდე აღიარებული მსოფლიო შედევრები.

ქართულ სულთან ერთად, ჩვენმა ბიჭებმა თავიანთ ინსტრუმენტებს ქართული ტემბრული ფერადოვნებაც შესძინეს, მათ შესრულებაში ქართული სასიმღერო პოლიფონიის სიდიადე იგრძნობა. ის კი არა, თუ ჩაუკვირდებით, ჩვენი შესანიშნავი მომღერლების ჰამლეტ გონაშვილის, ვანო მჭედლიშვილის, ნიკო ხურციასა და სხვათა ხმების ტემბრალური შეფერილობასაც შეამჩნევთ.

კოტე ვარდელი, ნოდარ ჟვანია, თამაზ ბათიაშვილი და ოთარ ჩუბინიშვილი — ცალ-ცალკე შესანიშნავი მუსიკოსები არიან, მაგრამ ერთად რაღაც გასაოცარსა და დაუვიწყარ ანსამბლს ქმნიან.

გარდა მაღალი ხელოვნებისა, ისინი დაჯილდოებულნი არიან იშვიათი ადამიანური თვისებებით. ვისაც მათი ქეიფი არ უნახავს, ვისაც მათი მუსიკალური ხუმრობები არ მოუსმენია, გარწმუნებთ, ბევრი რამ დაუკარგავს ცხოვრებაში.

ამ შესანიშნავ ანსამბლს არ აკლია არც ერთი დიდი ჯილდო, რაც კი საქართველოში არსებობს. თუმცა, მე მგონია, ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ხალხის სიყვარულია და მათ ეს სიყვარული დამსახურებულად მოიპოვეს.

მივესალმები ჩემს ძმებს და, გარდა კეთილი სურვილებისა, მინდა მუხლმოდრეკით მადლობა გადავუხადო იმ სიკეთისათვის, რომელიც მათ ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას მოუტანეს.

მეამაყება, რომ საქართველოში არსებობს მაღალი კლასის სიმებიანი კვარტეტი

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მეც მხვდა წილად ბედნიერება ამ არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან შემოქმედებითი კონტაქტისა. მათ შეასრულეს და აუდიო ფირზე ჩაწერეს ჩემ მიერ შექმნილი სიმებიანი კვარტეტი.

ვახტანგ კახიძე

2006 წლის 17 მაისი

„სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" ორმოცწლიანი მოღვაწეობა უდავო დასტურია იმისა, რომ ამ კოლექტივში გაერთიანებული მუსიკოსები ჭეშმარიტად გამორჩეულნი არიან მაღალი პროფესიონალიზმით, საკუთარი საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებითა და სამაგალითო პიროვნული თვისებებით.

მეამაყება, რომ საქართველოში არსებობს მაღალი კლასის სიმებიანი კვარტეტი, რომელიც რეპერტუარის მრავალფეროვნებითა და ინტერპრეტაციის ორიგინალობით გვერდზე უდგას მსოფლიოს მრავალ გამოჩენილ კამერულ ანსამბლს. მის მიერ შესრულებული კლასიკური, რომანტიკული, თანამედროვე თუ ქართული მუსიკის შედევრები ყოველთვის გამოირჩევიან დახვეწილი ესთეტიკითა და მუსიკალური სტილის უბადლო შეგრძნებით. კვარტეტის წევრებმა შეძლეს ეპოვნათ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი უნიკალური ხმოვანება და მუსიკალური აზრის გადმოცემის თვითმყოფადი მანერა, რაც კამერულ მუსიკაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. გარდა იმისა, რომ სარგებლობენ უდიდესი წარმატებით, მათი კონცერტები ყოველთვის ქმნიან უჩვეულოდ თბილ და მეგობრულ ატმოსფეროს.

განსაკუთრებით დასაფასებელია მათი ღვაწლი ქართული კამერული მუსიკის პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. სწორედ ამიტომ ბევრმა ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა მათ თავისი თხზულებები მიუძღვნა. არანაკლებ ყურადსაღებია კოტე ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნოდარ ჟვანიასა და ოთარ ჩუბინიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. მათ აღზრდილი ჰყავთ

არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. პირადად მე ბედნიერი ვარ, რომ საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას და პროფესიული მუსიკოსების ახალ თაობას გაზრდიან.

მჯერა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მშვენიერი მომავლისა

ბუდაპეშტის XIII საერთაშორისო კონკურსზე
საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი,
ცნობილი ჩელისტი, პროფესორი ბ. დობროხოტოვი
1973 წელი

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს ბუდაპეშტის XIII საერთაშორისო კონკურსის მღელვარე დღეებში გავეცანი. ჩვენმა ურთიერთობამ სულ ორი კვირა გასტანა, მაგრამ ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კარგად გამეცნო ეს მშვენიერი მუსიკოსები, გულთბილი და მომხიბლავი ადამიანები.

კვარტეტის წევრები — კ. ვარდელი, თ ბათიაშვილი, ნ. ჟვანია და ო. ჩუბინიშვილი კამერული მუსიკის მხურვალე სიყვარულმა გააერთიანა. ამ კეთილშობილ ხელოვნებას ისინი მთელ ძალას, მთელ ცხოვრებას სწირავენ. აღმაფრთოვანებელია კოლექტივის ტექნიკური ოსტატობა, ანსამბლური შესრულების სიზუსტე და, რაც მთავარია, ერთსულოვანი ემოციურობა, კვარტეტი გამოირჩევა მკვეთრი მუსიკალური სახითა და შემოქმედებითი ხელწერით. ამიტომაც შეუძლებელია მისი აღრევა სხვა რომელიმე საბჭოთა კოლექტივთან.

მსმენელთან კონტაქტის დამყარება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ძვირფასი თვისებაა. აუდიტორია განსაკუთრებული სიმპათიით იმსჭვალება მისდამი. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ კონკურსში მონაწილე ის კვარტეტები, რომლებმაც II ტურზე პაექრობის უფლება დაკარგეს, სპეციალურად დარჩნენ ბუდაპეშტში, რათა ფინალურ გამოსვლაში მოესმინათ და თანაგრნძობა გაეწიათ

ქართველი ინსტრუმენტალისტებისათვის. კონკურსანტებმა ასე გამოხატეს თავიანთი მეგობრული დამოკიდებულება.

ძალიან რთული და სერიოზული აღმოჩნდა ეს პაექრობა. მასში რვა ქვეყნის (საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გდრ, გფრ და ფინეთი) 14 კოლექტივი მონაწილეობდა. მსგავსი შეჯიბრებისთვის ეს რიცხვი უპრეცედენტოა. იმის გამო, რომ მოპაექრე კოლექტივების დონე ძალიან მაღალი აღმოჩნდა, ჟიურიმ II ტურზე 10 კოლექტივი დაუშვა. ფინალში კი 5 კოლექტივი გავიდა. კონკურსში თავიდანვე დაწინაურდნენ და ბოლომდე ლიდერობდნენ მოსკოვის საოლქო ფილარმონიის (დღევანდელი შოსტაკოვიჩის სახელობის კვარტეტი) და საქართველოს სახელმწიფო კვარტეტები.

კონკურსის პირობების მიხედვით მხოლოდ 2 პრემია იყო დაწესებული. ფინალის შემდეგ პრემიები ასე განაწილდა: პირველ ადგილზე გავიდა მიუნჰენის კონკურსის ლაურეატი, მოსკოვის საოლქო ფილარმონიის კვარტეტი, მეორეზე — საქართველოს კვარტეტი. გარდა ამისა, საქართველოს კვარტეტს თანამედროვე უნგრული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის კიდევ ერთი პრემია მიენიჭა. დამატებითი მესამე პრემია კი უნგრულმა და პოლონურმა კოლექტივებმა გაინაწილეს.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. შესრულების ორიგინალური ინტერპრეტაციით განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ბარტოკის მეოთხე, ბრამსის მეორე, ცინცაძის მეექვსე და თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორის სერვანსკის კვარტეტებმა. მსმენელი მოხიბლა რომანტიკულმა მღელვარებამ, ჟღერადობის სილამაზემ, სტილის ფაქიზმა შეგრძნებამ, მუსიკის სახოვანებამ.

ყველამ შეიყვარა ეს კოლექტივი. ბუდაპეშტში შეძენილი მეგობრები გულითადად ემშვიდობებოდნენ ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს და ხელმეორედ ჩამოსვლას სთხოვდნენ.

მჯერა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მშვენიერი მომავლისა, ვუსურვებ მას ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს!

აქვე გთავაზობთ „სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის" მიერ გერმანიაში, 1982 წელს გამართული საკონცერტო

ტურნეს ამსახველ მასალას, რომელიც გერმანიის სხვადასხვა ქალაქის პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა. ეს სტატიები თავის დროზე გერმანულიდან რუსულად ითარგმნა. სამწუხაროდ, მათი ქართული თარგმანი არ არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კვარტეტის ჩემზე უკეთესი „მემატიანე" ამ რთულ საქმეს აუცილებლად თავს მოაბამს. რთულს რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმას, რომ რუსულ ტექსტებს აშკარად ეტყობა მაღალპროფესიონალ მუსიკალურ კრიტიკოსთა ხელი, ამასთან ერთად, სტატიები გერმანული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვაკაზმულობითაა დაწერილი. ამ ტექსტების მთარგმნელს მარტო დახვეწილი ქართულის კი არა, მუსიკალური ლიტერატურის ყველზე სპეციფიკური მომენტებისა და ასპექტების ცოდნაც ესაჭიროება. ამიტომ ამ სამუშაოს ჩემზე გამოცდილ მუსიკისმცოდნეს დავუტოვებ და სტატიებს პირვანდელი თარგმანის ფორმით მოგაწვდით. ამით დასახულ მიზანს, იმედია, მაინც მივაღწევ. მიზანი კი ის არის, რომ ასეთი გამოხმაურებების უჯრაში ჩაკეტვა და მათი ფურცელზე გაყვითლება, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულად მიმაჩნია, დანაშაულად შესანიშნავი კოლექტივის და საერთოდ, ქართული მუსიკალური სამყაროს წინაშე.

Грузинский струнный квартет исполняет Чайковского в Ост-хауз-музее

Westfalenpost, Hagen
17.11.82

Московский струнный квартет не смог приехать. Хагенцы тоже отсутствовали. Посещаемость на втором вечере камерной музыки в Ост-хауз-музее, организованном совместно с Немецким радио, была тоже не бог весть какая. Однако участники второго вечера, — Грузинский струнный квартет из Тбилиси, который совершал турне, вызвал несомненный интерес: артисты проявили себя как хорошие музыканты и самобытные исполнители многообразной программы; при исполнении «на бис», они великодушно исполнили народную музыку своей Родины, которая вызвала бурю восторга.

Темпераментные скрипачи К. Вардели и Т. Батиашвили, альтист Н. Жвания и виолончелист О. Чубинишвили исполнили программу, которая начиналась со

струнного квартета соль-минор Гайдна (её можно будет послушать 1 декабря в 18.05 по третьей программе Немецкого радио). Первая часть отличалась массивно-красочной широтой, которая только в конце перешла в танцевально звучащую тему; следующая за этим медленная часть наложила на игру несколько затянутую тихую эмоциональную грусть.

Ещё лучшее впечатление создалось при исполнении грузинами квартета Шуберта до-минор. Популярной и красивой песенной теме музыканты отдали всю свою романтическую страсть, демонически вторгаясь в тему романса, вызывая мелодичное беспокойство слушателя этой знаменитой камерной музыки.

При исполнении пяти маленьких частей А. Веберна, сложность которого трудно доступна слушателю, артисты показали свой ансамблевый дар: своеобразное исполнение гармонически отчуждённых частей, постукивающие щипковые ритмы, бурные Пицикато напоминали мозаичные музыкальные афоризмы, которые артисты искусно объединяли в композиционное единство.

Артисты стилистически чувствовали себя в своей стихии при исполнении квартета Чайковского ре-мажор. В его знакомой мелодике внезапно возникали те русские народные музыкальные звуки, которые затем квартет из Тбилиси прямо-таки оживил в энергичных грузинских танцах.

Естественная музыкальность Грузинского струнного квартета (четыре равноправных партнера), принявшего участие в многолюдном утреннем концерте, вызвала заметный интерес

Badisches Tagblatt, Baden-Baden
09.11.82.

Игра струнного квартета, — это искусство, которое требует от четырёх великолепных музыкантов немного большего, чем технически отличная игра. Лучшие квартеты часто заботятся о мастерски блестящей индивидуальной подготовке или о холодном рассудительном проникновении квартетной партитуры, что зачастую оставляет слушателя безучастным к исполнению произведений.

Грузинский струнный квартет (К. Варделиа-первая скрипка, Т. Бараташвили — вторая скрипка, Н. Жвания — альт, О. Чубинишвили — виолончель), который выступил вместо Московского струнного квартета во втором камерном концерте

в Обществе любителей музыки, обладает хорошим качеством передачи своих намерений через исполнение. Его однородность происходит из «взаимного слушания» и «совместного молчания» сочетаемого с естественной музыкальностью.

Это подтвердилось уже при исполнении первого пункта программы: так называемого Галопного квартета Гайдна, опус 74, №3. Назвать игру грузин «романтической» было бы ошибочным. Безусловно, это было не гибкое, а больше пастозное звучание Гайдна, однако серьезность и последовательность, с которым четыре музыканта донесли внутреннюю напряженность, переубедили нас. Их очень индивидуальное понимание предмета выявило целый ряд нюансов и динамических оттенков, которые особенно созвучно обнаружились в элегантно сыгранном «Largo» и в «Менуете» с чередованием резко контрастных Legato-Stakato. Здесь происходила действительно остроумная беседа, совершенная и естественная, четырёх равноправных партнеров.

Мозаичный, эпиграмматически уплотнённый опус 5 А. Веберна, — свидетельство консолидации «свободной атональности», достигнутой с опусами 3 и 4, подкупило не чистой структуральной ясностью сверхсложной музыкальной готики и не калькулированной игрой резких интервальных скачков, а только лишь превращением рациональности в эмоциональное исполнение. Отсюда понятно, что Баден-Баденская концертная публика, которая противостоит Новой Венской Школе, вместо того, чтобы сбилась с толку из-за непонятности, наоборот, ответила аплодисментами.

И в заключение, в первом квартете ре-мажор Чайковского, «чистокровные музыканты» были опять в своей стихии. С роскошным звучанием они «допели» сильно фольклорную мелодику и показали радость при разрядке накопленных ритмических потенциалов.

Длительные и сердечные аплодисменты Грузинский квартет отблагодарил деликатной миниатюрой, сыграв Andante «Серенадного квартета», опус 3 (приписываемое Гайдну и принадлежащее Роману Гофштетеру).

Грузинский струнный квартет в Трирском курфьюршеском дворце дал красивое и стилистически достоверное звучание

Trierischer Volksfreund

13.11.82.

Как уже было упомянуто, Московский струнный квартет отказался от предложения, на которое положительно ответил Грузинский струнный квартет. С организационной точки зрения это, разумеется, подмена. С точки зрения искусства, ни о какой подмене не может быть и речи, поскольку Грузинский струнный квартет проявил себя исполнителем камерной музыки высшего ранга: прелестное звучание отдельных инструментов, округлённое, прозаичное без хрупкости и всё-таки не насыщенное общее звучание, превосходная интонация (исключение, — начало), которую не омрачили ни «затягивание» первой скрипки, ни слишком большое экспрессивное вибрато. И к этим техническим качествам приплюсовывается непосредственная и эффективная музыкальность исполнителей.

Квартет Чайковского, опус 11, звучный и интимный, труднодоступный и всё же простой, ритмический деликатный и мелодический изобретательный, — несомненно более лёгкая композиция для слушателя, чем для интерпретатора. Слишком быстро переходит певучесть в слащавую банальность, очень легко выделяется изолированно фольклёристический элемент. Интерпретация должна в общем смысле походить на ребристое перемещение между пропастями абстрактной конструктивности и плоской сентиментальности. Интерпретацию Грузинского струнного квартета можно назвать просто правильной. Здесь всё верно: звучно-чарующее раскрытие отдельного инструмента (и отдельных музыкантов), великолепные переходы (третья часть), превосходное соединение искуственной чувствительности и естественности в щепетильной, плоской средней части, прояснение звука в пользу часто контрапунктирующих средних голосов и, потом, опять благозвучие и полнота (в заглавной части) и музыкальное, особенно в темах двух последних частей, прекрасное, убедительное и пластическое выражение. Чувство стиля, непосредственная музыкальность и художественное превосходство, всё это было соединено весьма слуховоспринимающе.

Рецензент менее определённо может судить об исполнении седьмого квартета Шостаковича: он это слышал впервые (изменение программы создало проблемы для подготовки). Можно всё-таки твёрдо сказать, что Грузинский струнный квартет

блестяще и необычайно виртуозно смастерил фугатто, показав в кантиленах средней части те живучие гибкости, которые выделяли интерпретацию Чайковского в сухой, линеарно-построенной игре, где применение нашла афористика формально закрытой заглавной части, что и сделало выразительной техническую и эмоциональную стороны игры грузин.

От Венской классики к народной музыке: Государственный струнный квартет Грузии в гостях в Юберлингене

Sudkurier

13.11.82.

В гостях у Юберлингского музыкального круга был Государственный грузинский струнный квартет из Тбилиси.

Редко можно услышать более музыкальное, более тонкое и чувствительное исполнение квартета Бетховена ре-мажор, опус 18/1. Это выглядело так, как будто музыканты во время игры хотели вновь ощутить самые нежные нюансы композиции и звучания. Это вызвало плавное музицирование, эстетизирование которого продвинулось почти до определённой ломкости формы, не угрожая целостности произведения, и именно это было экстраординарным в данной интерпретации.

Более того, — это был триумф одухотворённой техники. Подвижность, лёгкость и элегантность игры выделяла всех четырёх музыкантов: К. Вардели, Т. Батиашвили (скрипки), Н. Жвания (альт), О. Чубинишвили (виолончель). И уже нельзя было понять, что больше впечатляло: услада адажио из «affettuoso ed appassionato» или сказочное мастерство музыкантов, чьи смычки так легко и нежно «прыгали» на струнах в скерцо, что каждый звук оставался мягким и эластичным. Раннего Бетховена можно воспринять и по-другому, твёрже, богаче контрастами, более стремительно, настоятельно в композиционном развитии. Но исполнение грузин было цельным от внутреннего и бережно оформленного начального аллегро до смелого и в то же время изысканно-сыгранного аллегро-финала, целиком в Венской традиции и одновременно на их уровне стоящего Бетховена.

Грузины могут ещё по-другому и многое другое. Например, струнный квартет Шостаковича (№ 7, фа-диез-минор, опус 108) приподнести так, что очень трудно

поспевать или следовать ему. Их исполнение упрямо и, одновременно, решительно. Оно обращается к конфронтациям между скрипками и виолончели в первой части. Во второй, — к интенсивно концентрированной игре почти до яростной атаки и усилению темпа. Увлекающаяся длинным мелодическим соло первая скрипка в конце поднимается до блестящей скрипичной ловкости и плавности. Это был фейерверк мотивированных содержаний, ритмических контрастов и технических трюков.

Струнный квартет № 1, опус 11 Чайковского было очень «русским»: с фольклористическими отголосками, сдержанный и всё же напряженный в первой части, почти тоскливо-эллегический во второй адажио — части, ритмическо-танцевальный в скерцо и страстный в финале. Мельчайшие интонационные осадки надо, по всей вероятности, приписать аккустике зала.

Длительные аплодисменты и, в знак благодарности, — менует Шуберта, сыгранный с грацией и чувством и после, на радость публике, преподнесённая темпераментно Грузинская народная танцевально-стремительная и радостно-мелодичная музыка.

Грузинский квартет восхитил Вирсен:
энергичное музицирование с звучной элегантностью

Kulturelle Chronik, Viersen
16.11.82.

Вирсен — Струнный квартет "on the rocks" — останется длительным впечатлением о гастролях Грузинского государственного струнного квартета в Городской галлерее в Вирсенском парке. Слушатели приняли очень близко к сердцу музыкальное событие вместе с четырьмя грузинами. Интимная среда полностью заполненного конференцзала была свободной от мешающей дистанции между сценой и партером: музыкальная искра проскакивала непосредственно от музыкантов к слушателям. Эти искры вылетали от струнного квартета с первого же исполнения: с начала же концерта создалась невероятно убедительная форма выражения.

Квартет Моцарта ре-минор исполнители начали весьма мощно, местами облегчая игру до веса пера, — именно так, как этого требует партитура. За каждым

звуком квартета стояла захватывающая интенсивность. Что касается сыгранности, то Грузинский струнный квартет показал высочайший ранг, который ни в чем не уступает всемирно известным квартетам, как например, квартет Ла-саль, который уже бывал в Вирсене. Кроме того, исполнение квартетом Моцарта, подтвердило наличие в Грузинском струнном квартете великолепной первой скрипки в лице К. Вардели.

Музыкальный огонь был разожжён грузинами при исполнении квартета Шостаковича, опус 73, № 3. Животворящее действие музыки Шостаковича исполнители подтвердили необычайно мощным владением инструментов при колоссальной энергии исполнения, что всецело очаровало слушателей: увлекающие, выразительные Стокатто и Пицикатто, пассажи и почти чеканное созвучие в средней части (Аллегро нон Тропо), а рядом изысканные мелодичные народные темы в крайних частях, сыгранные с любовью. Кроме виртуозности, необходимо отметить оптимальную звучную аккуратность до мельчайших согласованных тонкостей.

Широкий диапозон шкалы динамических нюансов был преподнесён музыкантами в квартете Шуберта до-минор: очаровательно звучная элегантность грузин.

С квартетом № 6 Сулхана Цинцадзе струнный квартет познакомил слушателей с современным грузинским композитором. Они восхитительным исполнением раскрыли внешне контрастную музыкальную дикцию автора. Две эффективно инструментированные обработки народных песен Цинцадзе, как добавки к программе, не смогли успокоить волны восхищения.

Шелкообразный музыкальный блеск (лоск): Грузинский струнный квартет из Тбилиси в Кильском замке

19.11.82.

Первый вечер камерной музыки концертного руководства Шрайбер, в Большом зале Кильского замка, преподнёс сюрприз: вместо московского прибыл Грузинский струнный квартет. Кавказцы из Тбилиси, прибывшие как замена, показали себя как выдающийся квартет тончайшего звучания и технического мастерства. Первоначально предусмотренная программа не была изменена.

При игре раннего Бетховена, стилем и формой похожего на предшествующих мастеров, но всё же имеющего свой собственный тон (квартет № 1, опус 18) уже

вначале показали холёную культуру игры скрипачи К. Вардели и Т. Батиашвили, альтист Н. Жвания и челист О. Чубинишвили. Шелкообразный блеск, результат чувствительной интонации, однородного исполнения и ценных старых инструментов, как, например, драгоценная скрипка Иозефа Гуарнери К. Вардели (первая скрипка) придал вечеру квартетной музыки особый блеск.

При этом, музыканты превосходно преподносят скрытый в аппасионато-адажио жест страха, угрожающего несчастья, мотивы взволнованного стиля.

То же самое было удивительным и при игре 7-го квартета Шостаковича, который он сочинил в 1960 году, опус 108 (а не опус 1, как было указано в программе). С тональной выразительностью было связано не противостоящее современному восприятию музыкальное высказывание, которое, рядом с виртуозностью и игривостью, напоминающей раннего Шостаковича, и мощной, бурной ритмикой, содержит и выражение славянской меланхолии.

Чайковский, со своим первым струнным квартетом, опус 11, мог, напротив, удовлетворить потребность в развлекательно-лёгкой музыке, хотя здесь весьма убедительными были разнообразные звуковые события: плотная сеть голосов и певучие и вкрадчивые или фолклёрно-танцующие фазы.

Грузинский струнный квартет из Тбилиси в маленьком доме Дельменхорста

Виртуозность и душа, Вернер Матес, 20.11.82.

Счастливый случай представился музыкальной жизни Дельмерхорста: Грузинский струнный квартет из Тбилиси гостил в третьем камерном концерте. Ансамбль, впервые находившийся в ФРГ, показал высочайшее техническое и музыкальное мастерство. Его стиль, — великолепно ясный, решительный, спонтанный, его техника такая подкупающая и отточенная как только можно представить, совместная игра, настроенная до мельчайших нюансов, превосходная без недостатков,что лучшего желать невозможно.

Ранний квартет Бетховена фа-мажор, опус 18, квартет № 1 был сыгран в начале программы: мощно акцентированное и целиком основанное на контрастах и техническом освещении, в адажио с нежной, мягкосияющей одухотворённой

певучестью, из которого развивается органически нежная элегика и бурлящая боль. Открыть именно эти пласты и преподнести их при игре раннего Бетховена, — вот что характеризует интерпретаторов высшего ранга и такими были гости из Тбилиси.

В середине программы был квартет № 7 Шостаковича, опус 108, который с толкованием импонированной сплоченности, последовательности и возбуждающей жизненности, буквально «переигрывал» всё шаблонное, все мотивные мелочи потрескивающей моторной атакой и моментами мягким погружением в детали: мгновения полные задушевности, закулисности и гротескного, загадочного отчуждения. Шостакович, что касается по-меньшей мере этого произведения, более многослойный и глубокий, чем относятся к нему многие западные критики.

Струнный квартет Чайковского №1, ре-мажор, опус 11, был сыгран последним и был преподнесён в невероятно виртуозной и чувствительной игре, которая передала громадный симфонический импульс и точную, всё ещё идущую к сердцу, лирику. Такие тревожно-прямые, интенсивные от наплыва чувств мгновения, пианиссимо, редко можно пережить в квартетной игре. Публика должна была быть из камня, чтобы не поддаться такому музыкальному внушению.

Спонтанные, огромные аплодисменты гости отблагодарили исполнением менуета Шуберта и Грузинского народного танца. Нужно восхищаться ансамблем, который так правдиво, так проникновенно и захватывающе музицирует — даже там, где между произведениями, как например, были дополнения, такая большая «разница».

Великолепный струнный квартет, Грузинская неделя, Камерная музыка Цинцадзе, Бартока и Бетховена

"Saarbrucker Zeitung", Тройца 1974.

Грузинская неделя Советского Союза в Саарлендском городском театре приносит неожиданности: то, что в этой стране, на Юге Кавказа, имеются выдающиеся певцы и прекрасные танцоры, у нас знают, но об их камерной музыке, об одной из лучших её форм, мы не имели представления. Уже в вечер открытия, в среду, Государственный струнный квартет Грузии дал послушать себя.

Через день ансамбль выступил на камерной сцене с программой, ставящей самые высокие требования. Мастерство, с которым были преодолены эти требования, не только вызвало восхищение многочисленных слушателей (которые топали ногами и кричали «браво»), но удивили и восхитили знатоков.

Четверо музыкантов из Тбилиси, превосходно образованные, владеют инструментальной техникой в совершенстве. Несмотря на то, что у К. Вардели, Т. Батиашвили, Н. Жвания и О. Чубинишвили отмечаетсч четкая индивидуальность, они, в сравнительно короткое время, довели совместную игру в ансамбле до совершенства: тонкое звучание и культура их игры не боится никаких сравнений. Этот квартет соединяет музыкальный импульс со строжайшей дисциплиной, свежестью, темпераментом и страстностью. Если эти четверо, ещё молодых струнных виртуоза, останутся вместе и в дальнейшем также серьезно продолжат работу, то на их пути в высший квартетный мир не будет никаких препятствий.

Второй неожиданностью вечера был 6-ой струнный квартет С. Цинцадзе, какая огромная разница с простыми фольклорными «пятью миниатюрами» грузин, которые были прослушаны в предидущий вечер. 6-ой квартет высоко экспрессивен, черпает основы из народной музыки, прекрасен в ритме и в полифонической обработке. Белла Бартока можно узнать, но Цинцадзе идёт дальше великого венгра в применении современных технических приёмов игры.

Исполнение было прекрасно в динамике и в звучании.

Прекрасной и напряженной была интерпретация 4-го квартета Бартока, написанного в 1928 году, в которой соединены гармония и демоническое звучание.

Захватывающе удался и многокрасочный Бетховенский квартет, прозвучвший безошибочно и великолепно. Благородный искренний звук и быстрые звуковые перемены в игре без малейшего изъяна, в игре высокой культуры.

Восхищение слушателей соответствовало исполнению.

თავი IV

კვარტეტის მასნავლებლები და მეგობრები

უნდა ითქვას, მეგობრებშიც და პედაგოგებშიც ბედი გვწყალობდა. ისე გამოვიდა, რომ ყველა პედაგოგი ჩვენი მეგობარი იყო. ბევრ გამოჩენილ მუსიკოსთან გვქონდა თანამშრომლობის და მეგობრობის ბედნიერება, პატივი, რომ მათთან ერთად ქართული მუსიკალური ისტორია გვეშენებინა.

თამაზ ბათიაშვილი

შოთა შანიძე — ნახევარი კვარტეტის შემქმნელი

„ჩემი პედაგოგი შოთა შანიძე გახლდათ, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა, გაკვეთილზე მოუმზადებელი არასოდეს მივსულვარ. მაშინ ვიოლინოზე ვუკრავდი. 11 წლისას ჩემმა პედაგოგმა მის მიერ ჩამოყალიბებულ საბავშვო კვარტეტში ალტზე დამაკვრევინა. საერთოდ კი, ალტზე ჩემი არჩევანი კონსერვატორიის ბოლო კურსზე შეჩერდა"

ნოდარ ჟვანია

„ანსამბლურობის სიყვარული შოთა შანიძემ ჩაგვისახა. ანსამბლის სიყვარულის ორმოცდაათი პროცენტი მასზე მოდის"

თამაზ ბათიაშვილი

ვიდრე კვარტეტის დიდ პედაგოგებს გაიხსენებდნენ, თამაზ ბათიაშვილი და ნოდარ ჟვანია იგონებენ ადამიანს, რომელმაც პირველად ააღებინა ხელში ვიოლინო და ურომლისოდაც მათ შემოქმედებით ცხოვრებაში არაფერი დაიწყებოდა. ეს იყო შოთა შანიძე, მათი მასნავლებელი პირველი კლასიდან ბოლომდე, ადამიანი, რომელიც პედაგოგად იყო დაბადებული, იმდენად მკაცრი, რომ ბევრი მასთან მუშაობას ვერ უძლებდა, მაგრამ ვინც უძლებდა, ყველას „შოთა შანიძის

სკოლის" ხელი ეტყობოდა — სხვა იყო მისი მოსწავლეების დაკვრის კლასი. სიმკაცრის მიუხედავად, შოთა შანიძე სკოლის კედლებს გარეთ ფაქიზი და ძალზე მოყვარული ადამიანი იყო. თავისი მოწაფეების მომავალზე ისე ზრუნავდა, როგორც საკუთარ შვილებზე, მიმართულებას აძლევდა მათ ნიჭს და ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, გზას უკაფავდა წარმატებებისაკენ. თამაზ ბათიაშვილი ბატონმა შოთამ თავად წაიყვანა მოსკოვში ასპირანტურაში ჩასაბარებლად, მაგრამ თამაზი მაშინ ასპირანტურაში ვერ მოეწყო და თავის მასწავლებელს უკან დაუბრუნდა, რისთვისაც ***ბედს დღეს მადლობას უხდის***. ასე რომ არ მომხდარიყო, შეიძლება თამაზის ცხოვრება სულ სხვა გზით წასულიყო. „შოთა შანიძის სიმკაცრემ მე და ნოდარ ჟვანია ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემისგან დაგვიფარა" — ამბობს თამაზ ბათიაშვილი. მოგვიანებით შოთა შანიძე ტრაბახით აღნიშნავდა ხოლმე, ნახევარი კვარტეტი ჩემი შექმნილიაო. ნოდარ ჟვანიამ რომ ვიოლინო ალტში გაცვალა, ესეც შოთა შანიძის დამსახურება ყოფილა. მისი შექმნილია საქართველოში უნიკალური მევიოლინეთა ანსამბლი და ანსამბლურობის სიყვარულიც მან ჩაუსახა დღევანდელი კვარტეტის ორ წევრს. შოთა შანიძეს არასოდეს ჰქონია იმის ამბიცია, რომ მისი აზრი ერთადერთი იყო და განუმეორებელი, ყოველთვის აინტერესებდა მისი მოწაფეების შესრულებაზე რა აზრის იყვნენ მასზე მაღალი კლასის მუსიკოსები, ცდილობდა მეტი მოესმინა იმის თაობაზე, თუ რა აკლდათ მის შეგირდებს, რის დახვეწას და განვითარებას საჭიროებდნენ. ამ მიზნით ხშირად დაჰყავდა ხოლმე ისინი მაესტროებთან მოსასმენად.

გიორგი (ბიჭიკო) ბარნაბიშვილი

1983 წლის 30 მარტს თბილისში საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა გიორგი ბარნაბიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გამართა. „კონცერტზე უბადლოდ შესრულებულ ყოველ ნაწარმოებში გამოსჭვიოდა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელიც კვარტეტის თითოეულ წევრს თავის მასწავლებელთან აკავშირებდა. სწორედ გიორგი ბარნაბიშვილის

დამსახურებაა ის, რომ ოთხი ნიჭიერი შემსრულებელი ერთ ანსამბლშია გაერთიანებული, ანსამბლში, რომელმაც სახელი მოიხვეჭა არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც... მასწავლებლისადმი მიძღვნილ კონცერტზე კვარტეტმა დიდი აღმაფრენით შეასრულა შუბერტის რე-მინორული კვარტეტი „ქალიშვილი და სიკვდილი". ამ კონცერტზე შედგა ნოდარ გაბუნიას II კვარტეტის პრემიერაც. კონცერტის დასასრულს ბისზე შესრულდა ბეთჰოვენის კავატინა. ამ ნაწარმოების შესრულება კვარტეტმა გიორგი ბარნაბიშვილის ხსოვნას უძღვნა. შემსრულებელთა თხოვნით, საზოგადოებამ თავი შეიკავა აპლოდისმენტებისგან და კონცერტიდან თან გამოიყოლა ბეთჰოვენის მწუხარე მელოდიით გასხივოსნებული სევდა კვარტეტის გარდაცვლილ ხელმძღვანელზე", — წერდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" 1983 წლის 31 მარტის გამოშვებაში.

გიორგი ბარნაბიშვილი დღევანდელი კვარტეტის წევრებთან შედარებით 25 წლით უფროსი იყო. ახალგაზრდა მუსიკოსებს ჯერ კიდევ მაშინ იცნობდა, როცა თავად წინამორბედ კვარტეტში უკრავდა — სამოციანი წლების დასაწყისში. ქართული კულტურის ყველა სფეროში უკლებლივ ამ დროს საოცარი ძვრები — სულიერი რეფორმა დაიწყო. მოდიოდა ახალგაზრდა, ნიჭიერი, გემოვნება და მსოფლმხედველობაშეცვლილი თაობა, რომელსაც თან სრულიად განსხვავებული, ნოვატორული, ავანგარდული ხელოვნება მოჰქონდა. ამის დანახვას და აღქმას განსაკუთრებით მახვილი თვალი, ყური და გონება სჭირდებოდა. გიორგი ბარნაბიშვილს ღმერთმა არც ერთი დაამადლა, არც მეორე და არც მესამე, მას ზედ ნოვატორობის ამბიციაც დააფრქვია და ახლის ძიებისაკენ დაულოცა გზა. „დრომ თავისი კორექტივები შეიტანა საშემსრულებლო ხელოვნების ყველა დარგში და მათ შორის საკვარტეტო ხელოვნებაშიც. ეს ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა ტემპების გადააზრებაში, უფრო მეტად კი კლასიკოსთა ჩქარი ნაწარმოებების რიტმულ ინტერპრეტაციაში, რომელიც ჩვენი დროის პულსაციით, დინამიკითაა გამსჭვალული. დღეს უკვე შეუძლებელია არა მარტო ავტორისეული ტემპებით ხელმძღვანელობა, არამედ იმ ტემპების აღება, რომლებსაც სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის წინ მიმართავდნენ შემსრულებლები. ამ მხრივ, საშემსრულებლო ხელოვნება მართლაც რომ გიგანტურ ცვლილებებს განიც-

დის", — ამით ხსნის გიორგი ბარნაბიშვილი თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნებაში ახალი მიდგომის აუცილებლობას 1974 წელს, მანანა ახმეტელისთვის მიცემულ ინტერვიუში.

თამაზ ბათიაშვილი:

— ბიჭიკომ დაგვიძახა და ბეთჰოვენის მეათე კვარტეტი ფურცლიდან დაგვაკვრევინა. ასე აჟღერდა პირველად ჩვენი კვარტეტი. ბიჭიკო მაშინვე მიხვდა, რომ ერთმანეთს შევეწყობოდით, ჩვენ კი, იმ წუთებში ისეთი რამ განვიცადეთ, ყველაფერზე თანახმა ვიყავით. საოცრად მოგვინდა მასთან ერთად დაკვრა. მალე დავიწყეთ სულხან ცინცაძის მეექვსე კვარტეტზე მუშაობა და 1966 წელს იგი პირველად გავიტანეთ ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე. ეს ჩვენს ცხოვრებაში დიდი გარდატეხის პერიოდი იყო. მუსიკალური საზოგადოება აღაფრთოვანა სულხან ცინცაძის ნოვატორულმა მუსიკალურმა ენამ და ახალი კვარტეტის დაბადებამ. ბეთჰოვენის მეათე კვარტეტი და ცინცაძის მეექვსე კვარტეტი იყო სტიმული, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა.

კვარტეტის ოთხივე წევრი გიორგი ბარნაბიშვილზე თითქმის ერთნაირი სიყვარულით და სევდიანი იუმორით ლაპარაკობს. მათ ნაამბობში იგრძნობა, რომ ყოველ მათგანს ბიჭიკოს გამორჩეულ მეგობრად მიაჩნია თავი. ამ მცირე განსხვავების გარდა, მათი ნაამბობი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ თავს უფლებას მივცემ და ოთხივეს სახელით ვიტყვი, რომ ბიჭიკო ბარნაბიშვილი საოცრად სულგრძელი, გამორჩეულად ხელგაშლილი და მუდამ ყველა გაჭირვებულის დამხმარე ადამიანი ყოფილა. ახალგაზრდა კვარტეტელები იმდენად ახლოს იყვნენ მასთან, რომ ბიჭიკოს თურმე თავისი და მათი საიდუმლოებები ერთმანეთში ერეოდა, სევდა და სიხარული ერთი ჰქონდათ. მას შეეძლო რეპეტიციაზე მოსულიყო დაღლილი, გამოუძინებელი და ეთქვა, დღეს პოკერი ვითამაშე და წავაგეო, ან მოსულიყო დღისით, კარგად გამოძინებული და მოგებული. და იწყებოდა მერე ხელგაშლილობის ზეობა: რა მნიშვნელობა ჰქონდა, ემთხვეოდა თუ არა იმ დღეს, იმ თვეს რომელიმეს დაბადების თარიღი, მაშინ დამავიწყდაო, — იტყოდა და თითოეულს ას-ას მანეთს ჩუქნიდა. ასი მანეთი, სამოციან წლებში, სტუდენტისთვის დიდი ფული იყო. გასტროლებზე ნოტების ან წიგნის მაღაზიაში

ერთად როცა შევიდოდნენ, დააკვირდებოდა რის ყიდვას ცდილობდნენ ახალგაზრდა „კოლეგები" თავიანთი კაპიკებით, ეტყოდა, რაც გინდათ აარჩიეთო და იმ წიგნების თუ ნოტების თანხას თავად იხდიდა. კვარტეტელები ამბობენ, ეს დიდი პედადოგიური ჟესტი იყოო. ბიჭიკო ბარნაბიშვილი ამას მარტო მაშინ აკეთებდა, როცა საქმე წიგნს ან ნოტებს ეხებოდა, იცოდა, რა ჭირდებოდა ხელოვანს, კვარტეტს, და თუ მუსიკალური ლიტერატურის შესაძენად ახალგაზრდებს ხშირად ფული არ ჰყოფნიდათ, ამის გამო გულს მათ არასოდეს დასწყვეტდა.

ბიჭიკო ბარნაბიშვილს კვარტეტის წევრები თურმე თავიანთი ოჯახებიანად უყვარდა. გიჟდებოდა მათ შვილებზე. „მისმა ჩვენდამი ასეთმა სიყვარულმა, ტაქტმა და სიბრძნემ კვარტეტი სწორ გზაზე დააყენა" — ამბობენ კვარტეტელები.

როდესაც ჰორიზონტზე ოთარ ჩუბინიშვილი გამოჩნდა, გიორგი ბარნაბიშვილმა თავისი უნიკალური ინტუიციით განსჭვრიტა, რომ სწორედ იგი იყო ის მუსიკოსი, რომელსაც მშვიდად დაუთმობდა თავის ადგილს კვარტეტში, საოცარი თავისუფლება იგრძნო და გამოაცხადა, ჩემი წასვლის დრო დადგაო, არადა, ორმოცდათხუთმეტი წლის იყო მაშინ — მეტის კი არა.

ასე დიდსულოვნად მოიქცა იგი, როცა სულხან ცინცაძემ ბუდაპეშტის კონკურსის წინ, მოსამზადებლად, კვარტეტს და მის ხელმძღვანელ გიორგი ბარნაბიშვილს როსტისლავ დუბინსკის კანდიდატურა შესთავაზა. „ეს არც ისე ადვილი პროცესია, როცა მოდის ვიღაც უცხო, შენზე ძლიერი, მაგრამ საოცრად საჭირო და როცა შენს კვარტეტს მასთან მეცადინეობა უნდა", — ამბობს თამაზ ბათიაშვილი. გიორგი ბარნაბიშვილი ამ დროს თავად უკავშირდება როსტისლავ დუბინსკის და დროებით კვარტეტის ხელმძღვანელობას სთავაზობს. იგი ესწრებოდა ყველა რეპეტიციას, მერე ერთად არჩევდნენ ხოლმე რა ითქვა რეპეტიციაზე, რა არის მისაღები, რაზე შეიძლება დაფიქრება, მოუხდება ეს კვარტეტს თუ არა. „საქართველოს სიმებიანი კვარტეტი თავისი სულისკვეთებით თანამედროვე კოლექტივია. ამაში ვლინდება ამ ნიჭიერი შემსრულებლების ინტუიცია, რომელსაც, რა თქმა უნდა, გამაგრება და განმტკიცება სჭირდება. სწორედ ამ თვალსაზრისითაც დუბინსკი საიმედო საყრდენია. მაგრამ ჩვენ ზოგჯერ ვეკამათებით და ვეწინააღმდეგებით მას. ამით კვარტეტი თანდათან იძენს დამოუ-

კიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს, მით უფრო, რომ ჩვენი შემსრულებლები თავის მხრივაც ამჟღავნებენ ამ ლტოლვას. ღმერთმა დაგვიფაროს მორჩილებისგან. ამავე აზრისაა დუბინსკიც, რადგან კარგად იცის, რომ სწორედ პასიურობა, მორჩილებაა შემოქმედებითი ორიგინალობის პირველი მტერი. ამიტომაა, რომ ჩვენი კვატრეტი ბევრს ითვისებს როსტისლავ დუბინსკისგან, მაგრამ რაღაც-რაღაცეებს უარყოფს კიდეც" (*ნაწყვეტი მანანა ახმეტელის დიალოგიდან გიორგი ბარნაბიშვილთან, საბჭოთა საქართველო, 11, 1974, გვ. 45*).

1982 წელს გასტროლებიდან ჩამოსულებს, მოსკოვში ოჯახის წევრებმა შეატყობინეს, რომ ბიჭიკო გარდაიცვალა. „ჩვენთვის ეს პირველი დიდი ტრაგედია იყო", — ოთხივე ერთსა და იმავეს მეუბნება.

როსტისლავ დუბინსკი (როსტიკა)

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კვარტეტმა შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარა ცნობილი საშემსრულებლო კოლექტივის ბოროდინის სახელობის სახელმწიფო კვარტეტის პირველ მევიოლინესთან როსტისლავ დუბინსკისთან. კავშირი თავის მეორე დიდ პედაგოგთან კვარტეტს არასოდეს გაუწყვეტია, თუმცა დუბინსკი მას მხოლოდ სამი წელი ამეცადინებდა. როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ამ თანამშრომლობას ხელს თავად ბიჭიკო ბარნაბიშვილი უწყობდა. კოლეგიალობის ასეთ უიშვიათეს გამოვლინებას ზოგი ეჭვის თვალითაც უყურებდა, თუმცა ბიჭიკო ბარნაბიშვილისთვის მთავარი იყო, რომ როსტისლავ დუბინსკი არამარტო ძალზე გამოცდილი კვარტეტისტი, არამედ უაღრესად ერუდირებული და ფართოდ განათლებული მუსიკოსიც იყო. მისი წვლილი ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსისათვის კვარტეტის მომზადების საქმეში ფასდაუდებლად მიაჩნდა, რადგან როსტისლავ დუბინსკი იყო ის მევიოლინე, ის მუსიკოსი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა თანამედროვე საკვარტეტო საშემსრულებლო პროცესში და იდგა იმ სიახლეების შუაგულში, რომელსაც სინამდვილე ავითარებდა. აქედან წარმოიშვა იმედი, რომ საქართველოს კვარტეტი სწორედ იმ სიმაღლეებს დაიპყრობდა, რომლებიც თანამედროვე

საშემსრულებლო ეტალონებად იქცნენ. დუბინსკისა და კვარტეტის ურთიერთობაში ყველზე მიმზიდველი იყო პოზიცია, რომელიც ამ მშვენიერ, უსაზღვროდ წარმატებულ თანამშრომლობაში თავიდანვე განსაზღვრა ბიჭიკო ბარნაბიშვილმა: „ყური მიუგდე და პატივი ეცი სხვის აზრს, მაგრამ ყოველთვის გქონდეს საკუთარი თავის იმედი. გახსოვდეს — ის, რაც შენი ბუნებისთვის უცხოა და მიუღებელი, არასოდეს გახდება შენთვის ახლობელი".

ოთარ ჩუბინიშვილი: დუბინსკი, უნიჭიერესი მევიოლინე, რომელმაც ჩვენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კვარტეტის დაკვრა გვასწავლა. სწორედ მან მოგვამზადა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსისთვის, სადაც დიდი წარმატება მოვიპოვეთ. მაშინ ჩვენ უკვე გვეგონა, რომ მაღალი დონის შემსრულებლები ვიყავით, მაგრამ დუბინსკის სკოლის მერე ჩვენი პროფესიონალიზმი ერთიათად ამაღლდა.

ბუდაპეშტის კონკურსისთვის ბორჯომში ვემზადებოდით. რეპეტიციები ბორჯომის სამუსიკო სასწავლებელში იმართებოდა. სასწავლებლის დირექტორს და ანსამბლის სრულუფლებიან მასპინძელს სახელად კუკური ერქვა, გვარად — კალმახელიძე. „გდე კუკურა, ტამ კულტურა, ნეტ კუკურა — ნეტ კულტურა", — ამბობდნენ სტუმრები და კუკური კალმახელიძე მართლაც სასწაულებს ახდენდა იმისთვის, რომ როსტიკას (როგორც მას კვარტეტის ნევრები ეძახდნენ) ბორჯომში თავი ლაღად და თავისუფლად ეგრძნო, მუშაობა სიამოვნებად გადაქცეოდა. ბორჯომში კვარტეტის მოსასმენად მალე ბიჭიკო ბარნაბიშვილი და ლევ მარკიზი ჩამოვიდნენ. სამი მაესტრო წყვეტდა მაშინ კვარტეტის ბედს, იმათ სიტყვას ჰქონდა ყველაზე დიდი ფასი და მნიშვნელობა. ბიჭიკო ნერვიულობისაგან კინაღამ მომკვდარა, ლევ მარკიზი ბეთჰოვენის მეათე კვარტეტის მოსმენის დროს ატირებულა.

ერთ ზაფხულს, სოხუმთან ახლოს — დაბა გულრიფშში, პატარა ზღვისპირა სახლში, კვარტეტი დუბინსკის ხელმძღვანელობით ბეთჰოვენის კვარტეტებს სწავლობდა. ამავე სახლში ანსამბლის ოჯახები და მეგობრებიც დაბინავდნენ. ისინი სულმოუთქმელად ელოდნენ დაღამებას, რათა შრომაში გათანგული მათი მეუღლეები, მამები თუ მეგობრები, უბრალო ყოფითი ცხოვრებისკენ და დამსახურებული დასვენებისკენ მოებრუნებინათ. რეპეტიციები თურმე დილიდან

იწყებოდა და საღამომდე გრძელდებოდა. თითოეული მათგანი ჯერ ორი საათი ცალკე მუშაობდა, შემდეგ ხუთი საათი ერთად უკრავდნენ. თვითმხილველნი (ამ შემთხვევაში მანანა ახმეტელს დავიმოწმებ) აღნიშნავდნენ, რომ „ეს იყო შემოქმედებითი ენერგიისა და არტისტიზმის ისეთი გამოვლინება, რომელიც გამორიცხავს საშემსრულებლო ძალების ეკონომიას, გულგრილობას, სიმშვიდეს, ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი ბრძოლა, სადაც თითოეული მათგანი თავდაუზოგავი მღელვარებით გასცემდა მთელ თავის შესაძლებლობებს, ისწრაფოდა მაქსიმალური თვითგამოვლენისკენ".

თავად კვარტეტელები ამბობენ, რომ მეცადინეობასთან ერთად ისინი გართობასაც მშვენივრად ახერხებდნენ. თითქმის ყოველდღე ქეიფობდნენ. დუბინსკი ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო, ისე შეუსისხლხორცებია ქართული სუფრის ტრადიციები, რომ ერთ დღეს კვარტეტმა გამოუცხადა, ხვალ ამისა და ამის დაბადების დღეა და თამადა შენ უნდა იყოო. მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო, მაგრამ რამაც ყველას გაოცება გამოიწვია. დუბინსკი საოცრად აღელდა. მან, როგორც თხემით-ტერფამდე ინტელიგენტმა და მაღალმა პროფესიონალმა ეს დიდ პატივად მიიღო, აფორიაქდა, საღამოს, რეპეტიციის შემდეგ ყველას განერიდა, წავიდა სანაპიროზე და ბოლთას სცემდა, მთელი ღამე ფიქრობდა, ემზადებოდა. მეორე დილას ყველაზე ადრე ადგა, შეასრულა იოგას ასანები, იცურავა და ბევრი ისეირნა სანაპიროზე. საღამოს სუფრაზე ისე ეჭირა თავი და ისე თამადობდა, ქართველები აღტაცებას ვერ მალავდნენ, გარინდული უსმენდნენ. იმ სუფრის ვერც ერთი წევრი დღემდე ვერ ივიწყებს, როგორ შესვა როსტისლავ დუბინსკიმ საქართველოს სადღეგრძელო. დიდი ხნის შემდეგ, ემიგრაციაში წასულ დუბინსკის თამაზ ბათიაშვილმა ჰკითხა, არ გენატრება შენი ყოფილი სამშობლოო, იმას კი უპასუხია, ყველაფერი დამავიწყდა, მარტო საქართველოს ვერ ვივიწყებო.

კვარტეტს ბოლომდე მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დუბინსკისთან. თუ რომელიმე ახალი ნაწარმოების შესრულება უნდოდათ და კონცეფციას ვერ იმუშავებდნენ, უკავშირდებოდნენ „როსტიკას" და იგიც დაწვრილებით უხსნიდა თავის მოსაზრებას, უგზავნიდა ნოტებს მის მიერ დამუშავებული აპლიკატურით და შტრიხებით, ხანდახან მთლიან მუსიკალურ კონცეფციასაც კი აწვდიდა ტე-

ლეფონით. მან ცხოვრების ბოლომდე ძალიან დიდი როლი შეასრულა კვარტეტის თითოეული შემსრულებლის პროფესიულ და შემოქმედებით ზრდაში.

სულხან ცინცაძე

სულხან ცინცაძესთან კვარტეტს ყველაზე დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. მან ბიჭიკო ბარნაბიშვილზე ათი წლით მეტი იცხოვრა და ამ ათი წლის განმავლობაში კვარტეტს, ფაქტობრივად, ბიჭიკოს მაგივრობა გაუწია. ის ჩვენი კვარტეტის წევრი იყოო — ამბობენ კვარტეტელები. სულხან ცინცაძე მათთან ერთად მუშაობდა, ქმნიდა მუსიკას, რომელის პირველი შემსრულებელი კვარტეტი იყო — მეექვსედან მეთორმეტე კვარტეტის ჩათვლით (მეთერთმეტეს გარდა, რომელიც მატილდა ტელეზის კვარტეტმა შეასრულა).

სულხან ცინცაძის ცნობილი საკვარტეტო მინიატურები ყოველ ათ წელიწადში განახლებული და შევსებული სახით გამოდიოდა. პირველი კრებული ორმოციან წლებში დაიწერა. ეს მინიატურები სამუსიკო ხელოვნების შედევრებადაა აღიარებული. მთელმა მსოფლიომ იცის „სულიკო", „საჭიდაო", „ინდი-მინდი" — ეს უკვე საკვარტეტო რეპერტუარის კლასიკაა. მინიატურების მეორე კრებული, ასევე, ხალხურ თემებზეა შედგენილი. აქ შესულია მსოფლიოს ხალხური მუსიკის თემებზე შექმნილი საკვარტეტო მინიატურების ციკლიც — სლავური, ალბანური, პოლონური, ესპანური, ტიბეტური, ჩინური მინიატურები.

სულხან ცინცაძეს მუსიკოსებთან მუშაობის და ურთიერთობის საოცარი ნიჭი ჰქონდა. ყველა მუსიკოსი, რომელიც მის ნაწარმოებს ასრულებდა, მისი უახლოესი მეგობარი ხდებოდა. ასეთი მეგობრობა აკავშირებდა მას მედეა ფანიაშვილთან, კვარტეტის თითოეულ წევრთან. იგი ყოველთვის დიდ პატივს სცემდა შემსრულებლის აზრს, წვრილმანებამდე ამუშავებდა ნაწარმოებს, მაგრამ ეს არ იყო დოგმა და თუ მისაღებ ვარიანტს შესათავაზებდი, ამაზე ყოველთვის წამოგყვებოდა, იგი ამაზე არ დაფიქრდებოდაო, ამბობენ კვარტეტის წევრები. ეს თვისება შემსრულებლებს სულხან ცინცაძესთან მუშაობას ძალიან უადვილებდა, თავად კომპოზიტორის მაღალ ნიჭსა და პროფესიონალიზმს კი მეტ ელვარე-

ბას და მომნუსხველობას სძენდა. კვარტეტის თითოეული წევრი სამართლიანად ამაყობს, რომ სულხან ცინცაძესთან ძალიან აქტიური მუშაობის პატივი ხვდა წილად, რომ კვარტეტი დღეს ამ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის სახელს ატარებს. ეს მათი დიდი ხნის სურვილი და მისწრაფება იყო.

თავისი 50 წლის საიუბილეო საღამოზე სულხან ცინცაძე ოთარ ჩუბინიშვილის მაგივრად ჩაჯდა კვარტეტში და „სულიკო" შეასრულა. ამით მან ყველას დაანახა, რომ ის და კვარტეტი ერთი ორგანიზმია, რომ ისინი განუყრელი მეგობრები არიან. ეს იუბილე მთელმა საქართველომ აღნიშნა. კვარტეტი სულხან ცინცაძეს საქართველოს ყველა კუთხეში ახლდა. კონცერტებით გამოდიოდნენ ქუთაისში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ხონში, ზუგდიდში. სულხანის დანახვაზე აღფრთოვანებული ხალხი ფეხზე დგებოდა. ამ თაყვანისცემას დიდ კომპოზიტორთან ერთად კვარტეტიც სრულად იზიარებდა. ბატონი სულხანი მოგზაურობის დროს ძალიან მსუბუქი და მხიარული ყოფილა, მასთან ურთიერთობა — სასიამოვნო და სახალისო. ოინების მოწყობის დიდოსტატი იყო ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში. ეს კვარტეტის წევრებმა კარგად იცოდნენ, გამეცადინებულები ელოდნენ რაღაც ხრიკებს ნებისმიერ დროს და ყოველი მხრიდან, მაგრამ სულხან ცინცაძის ფანტაზია ამ სფეროშიც ისეთი ფართო იყო, რომ წინასწარ მომზადებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. გაიხსენეთ, მეორე თავში — „მუსიკოსები იცინიან" — შუა კონცერტზე კოტე ვარდელის ხემის დამალვის ამბავს რომ გიყვებოდით?

1991 წლის ნოემბერში კვარტეტი აფხაზეთში მიდიოდა გასტროლებზე. სულხან ცინცაძე უკვე ძალიან ავად იყო და მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ცდილობდა კვარტეტთან ერთად წასვლას, ექიმებმა მის გაშვებაზე თავი შეიკავეს. აფხაზეთიდან დაბრუნებულ კვარტეტს სულხან ცინცაძე ცოცხალი არ დახვდა. მერე აფხაზეთიც დაიკარგა და ის კონცერტები კვარტეტისათვის აფხაზეთში ბოლო აღმოჩნდა. დაძაბულობა უკვე იგრძნობოდა, გალში კონცერტს თურმე მარტო ქალები ესწრებოდნენ, ზრდილობისათვის — ერთი კაცი. კვარტეტი გალის აუდიტორიას სულხან ცინცაძის სახელით მიესალმა და მისი ნაწარმოები შეასრულა. კონცერტის შემდეგ მუსიკოსებს გარს შემოეხვივნენ, ისეთი მადლიერები იყვნენ, ოდნავ დათრგუნულები, ეტყობა უჭირდათ უკვე იქ

ცხოვრება, აფხაზებსა და ქართველებს შორის დაძაბულობა უკვე ძალიან აშკარა იყო. არ ვიცით მერე რა ბედი ეწიათ იმ ქალებსო — ამბობენ კვარტეტის წევრები და იხსენებენ, რომ კონცერტის შემდეგ იქაურებს სამეგრელოსთვის ჩვეული სტუმარმასპინძლობა გაუწევიათ და საგზლად უზარმაზარი სითბო და სიყვარული გამოუტანებიათ, სამწუ-ხაროდ — უკანასკნელად.

სულხან ცინცაძეს ერთი აფხაზი მეგობარი ჰყავდა, 50 წლის იუბილე აფხაზეთში იმან გადაუხადა. ამ კაცს კვარტეტელებიც კარგად იცნობდენენ, ხშირად ჩამოდიოდა სულხანთან თბილისში. ასეთივე მეგობარი ჰყავდა სამაჩაბლოშიც. ისე გარდაიცვალა, აფხაზეთიც ადგილზე იყო, სამაჩაბლოც და მისი იქაური მეგობრებიც. „კიდევ კარგი, ამ საშინელებას არ მოსწრებია", — ამბობს თამაზ ბათიაშვილი. მერე კვარტეტიც გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად.

სულხან ნასიძე

სულხან ნასიძემ სპეციალურად საქართველოს სახელმწიფო კვარტეტისთვის ხუთი სიმებიანი კვარტეტი დაწერა. იგი ანსამბლის ყველა წევრის მეგობარიც იყო და თაყვანისმცემელიც, ეუბნებოდა ჩემი კვარტეტები თქვენმა არსებობამ განაპირობაო. კვარტეტელები საოცრად ამაყობენ ამ სიტყვებით და უზომო სინანულით იგონებენ იმ დაუვიწყარ წუთებს, რომელიც სულხან ნასიძესთან შრომასა და უბრალო ურთიერთობის დროს გაუტარებიათ. ბატონი სულხან ნასიძე საოცრად თვითკრიტიკული შემოქმედი ყოფილა. იგი გულმოდგინედ უსმენდა კვარტეტის შემსრულებელთა ყოველ შემოთავაზებას, ყველა დეტალში ახედებდა და მიუხედავად იმისა, რომ კვარტეტის წევრებს მის ნაწარმოებში უმცირესი კორექტივების შეტანა უხდებოდათ, კომპოზიტორი განსაკუთრებული ინტერესით უგდებდა ყურს ამ კორექტივებს. ეს ყველასთვის — კომპოზიტორისთვისაც და შემსრულებლებისთვისაც ერთობლივი მუშაობის უდიდესი სიამოვნება იყო. საათობით ერთობლივ მუშაობას სიმსუბუქესა და ხალისს ბატონი სულხანის მეტად თავისებური იუმორი ანიჭებდა. თავად ძალიან უყვარდა ეს პროცესი და ამიტომ შემსრულებელთან ერთად ბოლომდე ხვეწდა თავის

ნაწარმოებს. სამწუხაროდ, ეს საოცრად ჰარმონიული თანამშრომლობაც სევდიანად დასრულდა. გერმანიაში წასვლის შემდეგ კვარტეტსა და სულხან ნასიძეს შორის შემოქმედებითი და პირადი ურთიერთობა თავისთავად გაწყდა. ბატონი სულხანი ისე გარდაიცვალა, კვარტეტის წევრებს იგი აღარ უნახავთ — ძალიან, ძალიან არეულ დროს.

ნოდარ გაბუნია

კვარტეტის მეგობრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი პიანისტი, კომპოზიტორი და საოცარი ხიბლის ადამიანი ნოდარ გაბუნია. იგი 15 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის კონსერვატორიას და იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე. ნოდარ გაბუნია ასაკით თითქმის კვარტეტელების ტოლი იყო და ამ მხრივაც მათი მეგობრობა კიდევ უფრო ღრმა შემოქმედებით პლასტებში და საერთო ადამიანურ ინტერესებში აისახებოდა. ნოდარ გაბუნია ცნობილი იყო თავისი პედაგოგიური ღირსებებით. კვარტეტელები ამბობენ, რომ მასთან სწავლა ბედნიერება იყო. თავისი ინტელექტით, საოცარი მუსიკალური განათლებით, შრომისუნარიანობით მას ბადალი არ ჰყავდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე სწავლობდა, იზრდებოდა, საოცარი ენთუზიაზმით ეწაფებოდა სიახლეს, გამუდმებით ავსებდა საკუთარ შესაძლებლობებს, სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე უცხო ენას და როცა დასჭირდა, ორმოცდაათი წლის ასაკში, ინგლისური ენის სწავლა დაიწყო და იმასაც სულ მალე სრულყოფილად დაეუფლა. „ნოდარ გაბუნიამ შექმნა ორი სიმებიანი კვარტეტი და ორივეს პირველი შემსრულებელი ჩვენი ვიყავით. მეორე კვარტეტი ნოდარ გაბუნიამ ჩვენ გვიძღვნა" — მითხრეს კვარტეტის წევრებმა. ისევე, როგორც სულხან ცინცაძეს, ნოდარ გაბუნიასაც ძალიან ჰყვარებია შემსრულებლებთან ერთად მუშაობა. იგი კვარტეტს პატიჟებდა სახლში, უჩვენებდა ესკიზებს, უზიარებდა საკუთარ ვარიანტებს და როგორც ყველა მაღალი პროფესიონალი, გულდასმით უსმენდა სხვათა აზრს. ობიექტურობის საოცარი გრძნობა ჰქონია, როგორც ყველა ნიჭიერ ადამიანს, არ ღრღნიდა იმის ამბიცია,

რომ ყველაფერი მისი სიტყვით მთავრდება — მან თქვა და მორჩა! ასე იყო თურმე შოსტაკოვიჩიც, მუდამ რჩევას სთხოვდა დირიჟორს, შემსრულებელს.

ზეიმს ჰგავდა ნოდარ გაბუნიასთან გატარებული ყოველი დღე. იყო უზომოდ მხიარული, ფენომენალურად უკრავდა ფორტეპიანოზე შლაგერებს, ჰქონდა უნივერსალური სმენა და რომელ მელოდიასაც მოისურვებდი, იმას აგიწყობდა, რომელ ტონალობაშიც გინდა იმაში. განუმეორებელი იყო მისი და ალეკო ნიჟარაძის დუეტი. ისინი ოთხ ხელში უკრავდნენ „ჩემო ჩიტუნიას" და ეს იყო ფეიერვერკი — როიალი ორკესტრივით ჟღერდა. მას ყველაფრის დაკვრა შეეძლო — გინდა ჯაზი, გინდა შლაგერი. ძალიან ხალასი ნიჭის პატრონი იყო — უზომოდ საინტერესო მუსიკოსი და ადამიანი.

სახელმწიფო კვარტეტს ნოდარ გაბუნიას მეორე კვარტეტი დიდი წარმატებით აქვს შესრულებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სრულიად განსხვავებულ კონცერტებზე და აუდიტორიაში (ფინეთში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში). მისი მუსიკა მოსწონდა ყველას, რადგან არავისას ჰგავდა. ჰქონდა თავისი მუსიკალური ენა და ხელწერა. ნოდარ გაბუნია კვარტეტისთვის მარტო კომპოზიტორი არ ყოფილა, ისინი იყვნენ ალფრედ შნიტკეს საფორტეპიანო კვინტეტის პირველი შემსრულებლები. შნიტკესი, რომლისთვისაც მაშინ საბჭოთა კავშირის ყველა სხვა დარბაზი დაკეტილი იყო. ამ შემთხვევისთვის შნიტკე სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ტატიანა გრინდენკომ და გიდონ კრემერმაც. დღეს შნიტკეს ეს საფორტეპიანო კვინტეტი მსოფლიო კამერული მუსიკის სარეპერტუარო ნაწარმოებია. ნოდარ გაბუნია და საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი კი ამ ნაწარმოების პირველ შემსრულებლებად მიიჩნევიან. ნოდარ გაბუნიასთან ერთად კვარტეტს სხვა კვინტეტებიც ჰქონდა შესრულებული. კოტე ვარდელი და ოთარ ჩუბინიშვილი მასთან ერთად შოსტაკოვიჩის ტრიოს უკრავდნენ. კვარტეტის შემოქმედებასა და ცხოვრებაში ნოდარ გაბუნიამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა და დაუვიწყარი კვალი დატოვა.

კვარტეტის ურთიერთობა ნოდარ გაბუნიასთან კიდევ იმით იყო გადაჯაჭვული, რომ მისი ქალიშვილი, ნატო, კოტე ვარდელის და თამაზ ბათიაშვილის მოწაფე იყო. მასწავლებლები ამბობენ, რომ ნატო ძალიან კარგი პროფესიონალი

თავისი შვილის ყოველ ნაბიჯს მუსიკაში, თუმცა მისი განათლებისთვისა და პროფესიული ზრდისათვის არაფერს იშურებდა. ნოდარ გაბუნია უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. კვარტეტს იგი დიდ პიანისტად და შესანიშნავ კომპოზიტორად მიაჩნია, მასთან ურთიერთობა კი — ცხოვრების საჩუქრად.

ჯანსუღ კახიძე

— კვარტეტის შესახებ გადაღებულ ფილმში, რომლის რეჟისორი დიმიტრი ბათიაშვილია, სამწუხაროდ, არ შევიდა საუბარი ჯანო კახიძესთან. ჩვენ გვინდოდა ოჯახურ სიტუაციაში ჯანოსთან მუსიკაზე საუბარი. ჯანო ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო. საოცარი იყო მისი მუსიკალური ტერმინოლოგია — ასე მუსიკაზე არავინ მეტყველებდა და ჩვენ ამის გაცოცხლება ეკრანზე ბუნებრივ სიტუაციაში გვინდოდა. დიმამ ჯანო ბლომად გადაიღო, მაგრამ რატომღაც ფილმში აღარ შეიტანა. საერთოდ შეცვალა ფილმის კონცეფცია. კვარტეტის შეფასება, მის შესახებ საუბარი, საჭიროდ აღარ მიიჩნია და ამიტომ, ბევრ შესანიშნავ კადრთან ერთად, რომელსაც ახლა დიდი ისტორიული და კულტურული ღირებულება ექნებოდა, ის კადრებიც დაიკარგა, რომლებშიც ჯანსუღ კახიძე მონაწილეობდა. აღარ არის მოსკოვის უმაღლესი რანგის მუსიკოსებთან ჩვენი შეხვედრების ამსახველი კადრებიც... — ასე დაიწყო დიდ ქართველ მაესტროსთან ჯანსუღ კახიძესთან კვარტეტის მეგობრობის ამბის თხრობა თამაზ ბათიაშვილმა.

ჯანსუღ კახიძესთან კვარტეტს დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა და თანამშრომლობა აკავშირებდა და არამარტო მასთან, მის შვილთანაც და ორივესთან ერთად. კვარტეტმა ვატო კახიძის სიმებიანი კვარტეტი ჩაწერა. როცა ამაზე ვმუშაობდით, ჯანო გვერდიდან არ მოგვცილებია, ჩვენთან ერთად მუშაობდაო — იხსებებენ კვარტეტელები. ჯანსუღ კახიძე კვარტეტის ყველა წევრს, როგორც მუსიკოსს, დიდად აფასებდა და ამას ყოველთვის, ყველგან დაუფარავად გამოხატავდა.

გუარნერის ვიოლინოს გატაცების გახმაურებული ამბავი (რომელსაც ოდნავ მოგვიანებით გიამბობთ) სწორედ ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში მოხდა,

გია ყანჩელის კვარტეტის ჩაწერის დროს. „ჯანო მაშინ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოვიდა მილიცია და აქეთ მოგვდო შარი, ცუდად იყო დარბაზი დაცულიო. რომ გაიგეს, ვიოლინო დაიკარგაო, მერე, რა მოხდაო გაიკვირვეს. ძალიან ძვირფასი იყო და სახელმწიფოს ეკუთვნოდა-თქო. რომ ვუთხარით, გვიპასუხეს — იასნია, რომელიღაცა თქვენგანის გაკეთებულია, თორემ მე და ჩემ ძმაკაცებს სკრიპკა აბა რა ჩემ ფეხებად გვინდაო?! ამაზე ჯანო კინაღამ შეიშალა, მაგრამ რა უნდა ექნა, იმ მილიციელს ზუსტად ასეთი შეხედულება ჰქონდა ადამიანებზე და საერთოდ — ცხოვრებაზე", — იგონებს ამ ამბით ყველაზე მეტად დაზარალებული და სასოწარკვეთილი კოტე ვარდელი.

ოთარ თაქთაქიშვილი

სამწუხაროდ, არც მე და არც კვარტეტის რომელიმე წევრს არ მოგვეპოვება რაიმე ისეთი დოკუმენტური მასალა, რომელიც საქართველოს გამოჩენილი კომპოზიტორისა და ყოფილი კულტურის მინისტრის ბატონი ოთარ თაქთაქიშვილის დამოკიდებულებას ასახავდეს ჩვენი კვარტეტის მიმართ. მაგრამ არის დაუვიწყარი მოგონებები და ზეპირი ისტორია, რომელსაც კვარტეტის წევრებისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც მოგვითხრობს იმ აუწონავ ღვაწლზე, ოთარ თაქთაქიშვილმა კვარტეტის საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბით „ექსპორტირების" საქმეში რომ გაიღო. დღიდან დაარსებისა ახალგაზრდა კვარტეტი განსაკუთრებულ სითბოს, ნდობას და ხელშეწყობის სურვილს გრძნობდა კულტურის მინისტრის, ბატონი ოთარ თაქთაქიშვილისაგან და ეს, უდავოდ, წინსვლის სტიმულს მატებდა ახალგაზრდა კოლექტივს. ამის დასტურად, საკმარისია გავიხსენოთ, რომ მოსკოვში ბუდაპეშტის კონკურსის შესარჩევ მოსმენაზე წასვლის წინ, სახელმწიფო კვარტეტზე ადრე იქ კულტურის მინისტრი ჩაბრძანდა და გადამწყვეტი სიტყვის მქონე მაღალ მუსიკალურ საზოგადოებას მოახსენა; რომ საქართველო დიდი იმედს ამყარებს გასინჯვაზე თბილისიდან ჩამოსულ კვარტეტზე, რომ ეს ანსამბლი ნამდვილად არის მათი ყურადღების ღირსი და არ უნდა დაიჩაგროს. ასეთი ჟესტის გაკეთება მაშინ ძალიან სარისკო და საპასუხის-

მგებლო საქმე იყო. ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა და მოსკოვიდან იმართებოდა. თანაც, იმ დროს ბევრი ძლიერი ანსამბლი უკრავდა, კონკურენცია დიდი იყო და საუკეთესოთა შორის საუკეთესო უნდა ყოფილიყავი, ვინმეს რომ ყურადღება მოექცია. „ოთარ თაქთაქიშვილი ასი პროცენტით რომ არ ყოფილიყო დარწმუნებული, რომ ჩვენი დაჩაგვრა მართლა არ ღირდა, ამ განცხადებას ვერ გააკეთებდა. იმასაც ხედავდა, რომ ფორმაში ვიყავით და ჩვენი დაჩაგვრა მაშინ არც ისე იოლი საქმე იყო", — სიამაყით და ბატონი ოთარის მიმართ დიდი მადლიერებით ამბობენ კვარტეტელები. მართლაც საუკეთესო ფორმაში იყვნენ: ამ გასინჯვისთვის მთელი წელი როსტისლავ დუბინსკისთან ემზადებოდნენ, საინტერესო პროგრამა ჰქონდათ შედგენილი და პირველობის მოსაპოვებლად ბრძოლისთვის მზად იყვნენ. ოთარ თაქთაქიშვილის დიდსულოვანმა ჟესტმა მოსკოვის მუსიკალურ სამყაროში ყველა მნიშვნელოვან ფიგურას ქართული კვარტეტის მიმართ აშკარა ინტერესი აღუძრა. ფაქტია, რომ იმ გარდამტეხ გასინჯვაზე კვარტეტს არც ოთარ თაქთაქიშვილისთვის და არც საქართველოსთვის იმედი არ გაუცრუებია, საუკეთესოდ დაუკრეს ბარტოკის მეოთხე კვარტეტი, მაღალი შეფასება დაიმსახურეს და ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის საგზურიც მოიპოვეს.

„ოთარ თაქთაქიშვილთან ძალიან ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა გვქონდა როცა მის კვარტეტზე ვმუშაობდით, ეს კვარტეტი არაერთხელ დავუკარით თბილისშიც და მოსკოვშიც. ბატონი ოთარი აღდრთოვანებული იყო ჩვენი შესრულებით. ოთარ თაქთაქიშვილს ძალიან უნდოდა, რომ ჩვენი კვარტეტი შოსტაკოვიჩის მე-15-ე კვარტეტის პირველი შემსრულებელი ყოფილიყო", — იგონებენ კვარტეტის წევრები. ამისათვის ბატონ ოთარს შოსტაკოვიჩისთვის ნოტებიც კი გამოურთმევია, მაგრამ თავად შოსტაკოვიჩმა, უპირატესობა მაინც ლენინგრადის ცნობილ, ტანეევის სახელობის კვარტეტს მიანიჭა. იგი თავს ლენინგრადელად მიიჩნევდა და მისი ყველა კვარტეტის პირველი შემსრულებელი ლენინგრადის სწორედ ის კოლექტივი იყო.

ოთარ თაქთაქიშვილის სახელსა და დამსახურებას უკავშირდება საქართველოს კულტურული ურთიერთობა გერმანიასთან, საარლანდის მიწასთან. 1974 წელს საარლანდში გაიმართა ქართული კულტურის დღეები, რომელსაც ხელოვნების მუშაკები დღემდე ლეგენდარულ პერიოდად და მოვლენად მოიხსე-

ნიებენ. საარბრიუკენში სპექტაკლებს თამაშობდა რუსთაველის თეატრის დასი, ცეკვავდა სუხიშვილების ანსამბლი, მღეროდნენ და უკრავდნენ ყველაზე გამოჩენილი ქართველი სოლისტები, დაიდგა თაქთაქიშვის ოპერა „მინდია", კვარტეტმაც საარლანდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონცერტები გამართა.

მიშა კილოსანიძე — უნივერსალური ყური

ბევრ შემსრულებელს და მათ შორის თამაზ ბათიაშვილს, მაგალითად, არ უყვარს ფირფიტაზე ჩაწერა. მიაჩნია, რომ ფირფიტაზე ძალიან ბევრი იკარგება, წმინდა მუსიკალური კუთხით. ჩაწერის პროცესში ბევრი შემსრულებელი კარგავს ემოციურობას, ვერ იტანს მიკროფონს, იგი მისთვის სტიმული არ არის და ამიტომ პირდაპირ დარბაზიდან ჩაწერა ურჩევნია. მაგრამ არიან მუსიკოსებიც, მაგალითად გლენ გულდი, რომელიც სცენაზე აღარ გამოდიოდა და ფირფიტებს წერდა — გენიალურ ფირფიტებს. ბევრი მუსიკოსის აზრით, ფირფიტაზე ჩაწერა საკონცერტო შესრულებასთან შედარებით ნაკლებ სასიამოვნოა, ზოგიერთი მუსიკოსის „დანაკარგი" ჩაწერისას უმნიშვნელოა. თუმცა, მუსიკოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ყოველი ახალი ჩანაწერი

პროფესიული თვალსაზრისით კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

მიშა კილოსანიძე სწორედ ის ხმის რეჟისორი აღმოჩნდა, რომელმაც ფირფიტაზე ჩაწერისადმი ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მუსიკოსების „მოთვინიერება" შესძლო, მათ შორის, კვარტეტის წევრებისაც და აღიარებინა, რომ მიშა კილოსანიძის ჩანაწერში მუსიკოსის „დანაკარგი" საერთოდ არ არსებობს. კვარტეტის და არამარტო კვარტეტის, ყველა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის საუკეთესო ფირფიტა მიშა კილოსანიძის ჩაწერილია.

„დღეს ჩანაწერის გაკეთება ადვილია, ყველაფერი კომპიუტერზე მუშავდება, 60-იან წლებში კი მაკრატლით მონტაჟდებოდა. მიშა კილოსანიძეს ცხოვრებაში ერთი შეცდომა არ დაუშვია. დღეს ყველა ცდილობს კონცერტიდან ჩაიწეროს, რომ მუსიკალობა და ხასიათი არ დაიკარგოს. მიშა არასოდეს არაფერს გიკარგავს. ყველას აღაფრთოვანებს, არაჩვეულებრივი მუსიკალური ყური აქვს", —

ამბობს ნოდარ ჟვანია. ოთარ ჩუბინიშვილი ჰყვება, ერთ-ერთი ქართველი კომ-პოზიტორის სიმფონიის შესრულების დროს მიშამ აღმოაჩინა, რომ მეორე ვიო-ლინოებში ვიღაცა ჩუმად „ჩიჟიკ-პიჟიკს" უკრავდაო. ვერავინ შეამჩნია, ავტორმაც კი, ისე ოსტატურად „მასხრობდა" თურმე ის მეორე ვიოლინო. მოკ-ლედ, მიშა კოლოსანიძის უნივერსალური ყური რომ არა, სიმფონია უთუოდ „ჩიჟიკ-პიჟიკის" თანხლებით ჩაიწერებოდა. რას იზამ, ყველა დარგს თავისი „მავნე ხუმარები" ჰყავს, ამიტომ მიშა კილოსანიძის ნიჭისა და პროფესიონალ-იზმის დარ ოსტატებს თვალისჩინივით გაფრთხილება უნდა, რადგან არავინ, არსად, არაფრისგან დაცული არაა.

ევგენი (ჟენია) მაჭავარიანი

კვარტეტის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და საეტაპო პერიოდი ჟენია მაჭავარიანთან ურთიერთობას უკავშირდება, რომელიც არამარტო ამ ანსამბ-ლისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის ერთ-ერთი ღირსეული და დაუვი-წყარი პიროვნება გახლდათ. იგი გამორჩეული იყო თავისი უნიკალურობითა და კოლორიტულობით — ადამიანი, რომელმაც იცოდა ყველაფერი არამარტო მუსიკის, არამედ თავისი ქალაქის, ხელოვნების შესახებ; რომელთან ურთიერ-თობა ყველა სფეროს ადამიანს უხაროდა. მას ჰქონდა ბრწყინვალე იუმორის გრძნობა და იყო თხემით ტერფამდე ინტელიგენტი. სამწუხაროდ, უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ჟენია წლების მანძილზე წარმართავდა კვარტეტის კონცერტებს. მოვლილი ჰქონდა მასთან ერთად მთელი საქართველო და „დიდი საბჭოეთი". არაჩვეულე-ბრივი წარდგენა იცოდა, აუდიტორიას ყოველმხრივ ამზადებდა იმ სერიოზული პროგრამისათვის, რომელსაც კვარტეტი სთავაზობდა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროვინციებში, სადაც ჟენია მსმენელს ყოველი ფრაზის მნიშვნელობას, სიმბოლიკას და შინაარსს ისე უხსნიდა, რომ აუდიტორია კიდევ უფრო მეტი გატაცებით და ინტერესით უსმენდა კლასიკას. შეიძლება ითქვას, რომ აყვარებდა მას. ჟენია მაჭავარიანი მთელი ცხოვრება სცენაზე იყო

და ამ საქმის დიდი პროფესიონალი გახლდათ, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. იგი შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, კიდევ უფრო კარგად ყვებოდა ამბებს, ანეკდოტებს, იყო გამოუსწორებელი ოპტიმისტი და სამყაროს კეთილი იუმორით აღიქვამდა. ალბათ სწორედ ზედმეტი ემოციურობა გახდა მისი ავადმყოფობის მიზეზიც, რომელსაც არასგზის ეპუებოდა და მასთან ვაჟკაცურ ბრძოლაში დალია სული. გარდაცვალების წინა ღამეს კვარტეტის წევრები ჰყავდა სტუმრად. იქეიფეს, იმხიარულეს, ისაუბრეს. ღამის 3 საათზე თამაზ ბათიაშვილს დაურეკა, გული ცუდად მაქვს და მოდიო. თამაზმა თან გულის ექიმი მიუყვანა. ექიმმა უთხრა, სერიოზულად ხართ ავად (ინსულტის გამო ცალი მხარე პარალიზებული ჰქონდა), თავს უნდა გაუფრთხილდეთო. ჟენიას თავი დაუხრია და ავადმყოფობის შესაბამისი სერიოზულობით უკითხავს, რომელ მხარეს გავუფრთხილდე, ჯანმრთელს თუ ავადმყოფსო. ექიმს გასცინებია, რა უნდა გელაპარაკო, შენ მაინც შენ ჭკუაზე ივლიო. 1997-ში, დილას კარგად ჩაიცვა, გამოეწყო ღირსების ორდენის მისაღებად და კარებში ჩაიკეცა. ასე ზეზეურად გარდაიცვალა.

ჟენია მაჭავარიანი გარდაცვალების შემდეგ კვარტეტის ლექცია-კონცერტების წარმმართველის ფუნქცია მუსიკისმცოდნე **მანანა გედევანიშვილმა** იტვირთა. იგი განსაკუთრებით უყვარდათ რაიონებში სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს, რომლებსაც საოცარი ოსტატობით და სისადავით უხსნიდა ურთულეს მუსიკალურ ასპექტებს. მანანა გედევანიშვილის და კვარტეტის ურთიერთობა კვარტეტის ისტორიის კიდევ ერთი მშვენიერი ფურცელია. კვარტეტელები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ საღამოებს, რომლებიც მანანა გედევანიშვილის სახლში იმართებოდა, სადაც საქართველოს საზოგადოების ნაღები იკრიბებოდა და ფაქტობრივად თანამედროვე ქართული კულტურა ჩქეფდა. ამ ადამიანებიდან ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის და კვარტეტი მადლიერია მანანა გედევანიშვილის იმისთვისაც, რომ მან კვარტეტის წევრებს ამ ადამიანებთან მეგობრობის, ახლო ურთიერთობის ატმოსფერო შეუქმნა, მათთვის სიხარულისა და სიამოვნების მინიჭების საშუალება მისცა.

ერთ ზაფხულს კვარტეტი ბეთჰოვენის კვარტეტებზე სამუშაოდ აფხაზეთში, დაბა გულრიფშში გაემგზავრა. იქირავეს ერთი სახლი და იქ დასახლდნენ ოჯახე-

ბით, მეგობრებით, მათი ოჯახებით. იქვე ცხოვრობდა კვარტეტის სამეცადინოდ სპეციალურად მოწვეული როსტისლავ დუბინსკი მეუღლითურთ. მეცადინეობა მეცადინეობად, მაგრამ არც მეგობრები ისხდნენ თურმე გულხელდაკრეფით. **ირა ბეგიზოვამ,** კვარტეტის ამ მშვენიერი პერიოდის „კინომატიანე" შექმნა. მან მაშინდელი ტექნიკური საშუალებებით გადაიღო ამ პროცესის ამსახველი ფილმი. 25 წლის შემდეგ, გერმანიიდან დაბრუნებულმა ნოდარ ჟვანიამ, თამაზ ბათიაშვილმა, ოთარ ჩუბინიშვილმა და კოტე ვარდელმა კიდევ ერთხელ დაატრიალეს ეს ფირი. „ჩვენს თვალწინ თავიდან გაირბინეს იმ ფანტასტიკურმა წუთებმა, იმ საოცარმა „წვრილმანებმა", რომლებიც ისე ღრმად ყოფილა ჩამარხული ცნობიერებაში, რომ ეს გადაღებები რომ არა, ვინ იცის, როდის ან საერთოდ ამოტივტივდებოდნენ თუ არა ისინი ჩვენს მეხსიერებაში", — ამბობენ კვარტეტელები.

თბილისის კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალი და მისი რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე

10 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა ძალიან ნაყოფიერად ითანამშრომლა თბილისის კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალთან. ქუთაისის ფილიალი თავისი საოპერო თეატრისთვის საუკეთესო კადრების მომზადებას ცდილობდა და ამიტომ ყოველთვის ვოკალური შესრულების და სიმებიანი ინსრუმენტების ძლიერი ფაკულტეტები ჰქონდა. იქ ასწავლიდა ნოდარ ანდღულაძე, მედეა ამირანაშვილი, ჩვენი კვარტეტის ოთხივე წევრი და ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი მუსიკოსი. ქუთაისის ფილიალის რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე ძალას არ იშურებდა, რათა განსაკუთრებული სამუშაო პირობები შეექმნა პედაგოგი მუსიკოსებისათვის. რაც შეეხება კვარტეტს, მისი წევრები სესიებზე ორი-სამი კვირით ჩადიოდნენ ქუთაისში და ადგილობრივ სტუდენტებს თავისი სპეციალობით ამეცადინებდნენ — ყველა თავისი ინსტრუმენტის კლასში. ამ ხნის განმავლობაში ორი კვარტეტიც შეკრიბეს, მაგრამ გერმანიაში გამგზავრების შემდეგ, ამ კვარტეტებს, სამწუხაროდ, დიდხანს აღარ უარსებია.

1991 წლის შემოდგომაზე ქუთაისის ფილიალმა სახელმწიფო კვარტეტს შემოქმედების 25 წლის იუბილე გადაუხადა. მაშინ თბილისში ძალიან არეული დრო იყო და კვარტეტმა თავისი დაბადების დღე ქუთაისში, უახლოესი ადამიანების გარემოცვაში, ერთი გალაკონცერტით აღნიშნა. ქუთაისმა კი, თავის მხრივ, ძალიან „მოკრძალებული" ზეიმი გაუმართა. ასე მოხდა 10 წლის შემდეგაც. 2001 წელს რუსუდან ლორთქიფანიძე არ დაელოდა „ცენტრს" და სახელმწიფო კვარტეტს 35 წლის იუბილე ქუთაისის კონსერვატორიის ფილიალში გადაუხადა. კონცერტს და ბანკეტს იმერეთის მთელი კულტურული ელიტა და კვარტეტის მეგობრები დაესწრნენ.

კვარტეტი და კინო

თამაზ ბათიაშილი:

1976 წელს ნიჭიერმა ქართველმა რეჟისორმა დიმიტრი ბათიაშვილმა, რომელიც ამავე დროს ჩემი ბიძაშვილი და ჩვენი კვარტეტის დიდი მოყვარულია, კვარტეტის შესახებ ფილმის გადაღება გადაწყვიტა. ჩვენ დიდი ენთუზიაზმით მოვეკიდეთ ამ საქმეს, რადგან გვწამდა, რომ დიმა სადა, მართალ და გაწონასწორებულ ფილმს გადაიღებდა, ზედმეტი ატრიბუტიკის გარეშე.

ფილმის გადაღების პროცესში ბევრი რამ გადაგვხდა, დიმას თავგადასავლების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია და ჩვენც, სერიოზული მუსიკოსები ძალაუნებურად ამ თავგადასავლების მონაწილენი თუ არა მოწმეები მაინც ვხდებოდით ხოლმე. გადამღებ ჯგუფთან ერთად ბევრი ვიმოგზაურეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გადაღებები მოსკოვშიც გვქონდა. დიმას უნდოდა, რომ ფილმში აესახა ჩვენი ურთიერთობა მოსკოველ კოლეგებთან. თუმცა, არც ერთი მოსკოვური კადრი შემდეგ ფილმში აღარ შეუტანია.

პირველ ხიფათს მოსკოვში გამგზავრების დღეს გადავაწყდით. აეროპორტში უამინდობის გამო ჩვენი რეისი რამდენიმე საათით გადაიდო. რა უნდა გვექნა, შევედით რესტორანში... დიმამ დალია. გაჩერება უჭირს ხოლმე, მაგრამ ეგ არაფერია — ნასვამი საჯაროდ ანტისაბჭოთა ლოზუნგებს აფრქვევდა გაგანია „ზასტოის" პერიოდში. ჰოდა, მოეკიდა დიმას კონიაკი და დაიწყო პარტიის და

ხელისუფლების სხვადასხვა ბრუნვაში ტრიალი, მერე მიაყოლა ამ თემაზე არსებული ფუნაგორიების კასკადი. მოვიდა საბჭოთა მილიცია, გვითხრა, ამას თვითმფრინავში არ ავუშვებთო. ჩვენ ავუხსენით, ეს კაცი რეჟისორია, ამის გარეშე ჩვენს მოსკოვში წასვლას აზრი არ აქვსთქო. მერე ჩავრიეთ მთელი აეროპორტის ადმინისტრაცია. დიმას ყველა პატივს სცემდა და ყველამ იცოდა მისი გამოხტომები, ამიტომ საშუალება მოგვცეს დაგვეძინებინა და ისე „ჩაგვესვა" თვითმფრინავში — „იქ კი კისერიც გიტეხიათო" — გვითხრეს. დიმა ზუსტად ისეთი კაცია, თავის ფილმში რომ ჰყავს დახატული „არასერიოზული კაცი" — დახვეწილი, გემოვნებიანი, სადა, ნიჭიერი, განათლებული, სევდიანი და „არასერიოზული". კვარტეტზე ფილმიც თავისებურად სევდიანი გამოუვიდა, ზუსტად ისეთი სადა და ლამაზი, როგორიც წარმომედგინა. ფონად ბეთჰოვენის კავატინა მიჰყვება მე-13-ე კვარტეტიდან. საოცარ განწყობას ქმნის, ზედმიწევნით ასახავს თითოეული ჩვენგანის ხასიათს. მაშინ სულ ახალგაზრდები ვიყავით, სერიოზული ჯერ არაფერი გვქონდა გაკეთებული. რეჟისორმა სულში ჩაგვხედა, ფსკერიდან ამოიღო ჩვენი ფარული ადამიანური პოტენცია და მთლიანად წარმოაჩინა თავის ფილმში. ჩვენთვის საოცრად საინტერესო აღმოჩნდა ჯერ დიმასთან და მერე მთელ გადამღებ ჯგუფთან მუშაობა. დაუვიწყარია ოპერატორის, მაშინ სულ ახალგაზრდა თამაზ ბიჭიკაევის შემოქმედებითი აღმაფრენა, ენთუზიაზმი და მონდომება. ფილმის სისადავე და სილამაზე სწორედ იმ დიდმა სიყვარულმა განაპირობა, რომელიც დიმა ბათიაშვილმა და მისმა გუნდმა დაუზოგავად გამოხატეს კვარტეტის მიმართ.

დიმიტრი ბათიაშვილმა კვარტეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდის მხატვრულ-დოკუმენტური ისტორია შექმნა და გვისახსოვრა. როცა ჩვენს შთამომავლებს მოვენატრებით, ამ ფილმის საშუალებით ჩვენს სულებს გამოიძახებენ და ტკბილად მოგვიგონებენ.

მერაბ კოსტავა ფილარმონიის „წითელ ოთახში"

თამაზ ბათიაშვილი:

მერაბ კოსტავა ჩემი კლასელი იყო. მერე მე და მერაბი კონსერვატორიაში კურსზეც ერთად ვსწავლობდით. ზვიადიც ჩვენთან სწავლობდა. მე და მერაბი ძალიან ვმეგობრობდით. მერაბს ჩემს მიმართ მენტორული დამოკიდებულება ჰქონდა. სულ ჭკუას მარიგებდა, მეუბნებოდა, გადახრები გაქვს, ძალიან კომპრომისული ხარ და უნდა გამოიცვალოო. მასწავლიდა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანი პიროვნებად. მერაბი დისიდენტური ლიტერატურით მამარაგებდა. ამ წიგნებს სახლში, ლოგინის ქვეშ ვმალავდი, რადგან მამაჩემი გულანთებული კომუნისტი იყო და რომ წაწყდომოდა გული გაუსკდებოდა. მერაბმა გაიგო, რომ ჩვენთვის ბეთჰოვენის ბოლო კვარტეტების შესასწავლად როსტისლავ დუბინსკი იყო მოწვეული. მოგეხსენებათ, ბეთჰოვენის ბოლო კვარტეტები როგორც თავად ბეთჰოვენის შემოქმედებაში, საერთოდ მთელ მუსიკალურ ისტორიაში განსაკუთრებული ფენომენია. ბეთჰოვენმა ისინი დაწერა მაშინ, როცა სრულიად დაყრუებული იყო და კრიტიკოსები ამ მუსიკას დიდხანს გიჟის ნაბოდვარს ეძახდნენ. ეს კვარტეტები ძალიან რთული შესასრულებელია. საქართველოში მაშინ მათ არავინ ასრულებდა, არც ადრე შეუსრულებია ვინმეს. როსტისლავ დუბინსკიმ გვითხრა, შეგასწავლით ამ კვარტეტებს და თავად შეიგრძნობთ მათ სიღრმესო. მოკლედ, სულმოუთქმელად ველოდით დუბინსკის ჩამოსვლას, რათა ბეთჰოვენის XII, XIII, XIV და XV კვარტეტები გვესწავლა.

მერაბმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, შეგვეხვენა მეცადინეობას დამასწარით, მინდა ეს კვარტეტები ცოცხლად მოვისმინოო (ფირფიტაზე მოსმენილი ჰქონდა ამერიკული კვარტეტის შესრულებით). რეპეტიციები ძველ ფილარმონიაში მიმდინარეობდა, „წითელ ოთახში" ლენინის ბარელიეფით. მერაბი ქვემოთ იჯდა პარტერში და სულგანაბული გვისმენდა ერთი საათი, მეორე, მერე შევისვენეთ. მერაბი ადგა. ვეკითხები, როგორ მოგეწონამეთქი. მერაბმა ჯერ ამოიოხრა, მერე თქვა — ვახ! ახტა, მუშტი მოიქნია, კიდევ შესძახა —ვახ! შენი დედაო — და ის მოქნეული მუშტი ლენინის პორტრეტს გლიჯა. სურათი ჩამოვარდა. დუბინსკის გული გაუსკდა, „რებიატა, ნას ვსეხ არისტუიუტ" — წამოიძახა. სასწრაფოდ დავავლეთ ხელი სურათს და როგორც იქნა უკან ჩამოვკიდეთ კედელზე. როსტიკა გვეკითხებოდა ვინაა ეს კაციო, ჩვენ ავუხსენით ვინც იყო.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზის წინ (1973 წ.)

ბუდაპეშტის ლეო ვაინერის სახელობის კონკურსი. დასკვნითი კონცერტი (1973 წ.)

ბუდაპეშტის კონკურსი. ლაურეატის დიპლომების გადაცემა (1973 წ.)

კვარტეტი და სულხან ცინცაძე (ალმა-ათა, 1974 წ.)

კვარტეტი კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად

კვარტეტი და ლიზა ლეონსკაია

ელისო ბოლქვაძე და კვარტეტი

კვარტეტი და ალექსანდრე კორსანტია კონცერტის წინ (2003 წ.)

მანანა დოიჯაშვილი კვარტეტთან ერთად

გიორგი ქობულაშვილი (მარცხნივ), დავით ცხადაია (შუაში) და კვარტეტი
აუდის ფესტივალზე გერმანიაში (1999 წ.)

კოტე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ჟვანია და ზურაბ შამუგია (ჩელო)
ფესტივალზე შვეციაში (2001 წ.)

კვარტეტი ფესტივალზე შვეციაში (1979 წ.)

კვარტეტი კუჰმოს ფესტივალზე ფინეთში (1978 წ.)

მიხეილ კილოსანიძე (მარცხნივ), კვარტეტი და ვახტანგ კახიძე

მუსიკოსები იცინიან

4
kings

The Georgian String Quartet

კვარტეტის კონცერტის აფიშა შვეციაში



პეტერპოფი. კონცერტი შადრევნის იუბილეზე (1973 წ.)

იუჟნო-სახალინსკის ტელევიზიაში (1972 წ.)

კუპმოს ფესტივალი (ფინეთი, 1985 წ.).
ფესტივალის მონაწილეები საუნაში (ფოტო დაიბეჭდა ფესტივალის კალენდარში)

სახალინზე (1972 წ.)

თავი V

ავტორი და მისი გუნდი

მანანა დუმბაძე

ვუერთდები რა კვარტეტის მეგობართა გუნდს, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ამით ნაწილობრივ „უკვდავყოფას" და ნაწილობრივ საკუთარი თავისადმი ისტორიული ღირსშესანიშნაობის მინიჭებას ვცდილობ. სხვა თუ არაფერი, მე კვარტეტზე დაწერილი ჯერ-ჯერობით პირველი და ერთადერთი წიგნის ავტორი გამოვდივარ. თუმცა, გამოგიტყდებით, პროტექციონიზმის გარეშე არც ეს საქმე მომხდარა. დავიწყოთ იმით, რომ კვარტეტის არც ერთი წევრი ნოდარ ჟვანიას გარდა, ადრე არ მიცნობდა. ნოდარ ჟვანიას მეუღლე, სალომე გაბუნია ჩემი ძალიან ახლო მეგობარია. 2005 წელს მე მას და ნოდარს ჩემი ჟურნალისტური წერილების კრებული გავუგზავნე გერმანიაში. ნოდარს წაუკითხავს, მოსწონებია და იმავე წლის მარტში, როცა საქართველოში მორიგი გასტროლებით ჩამოვიდნენ, ნოდარმა მითხრა, კარგი იქნება, თუ კვარტეტის 40 წლის საიუბილეო წიგნს შენ დაწერო. თავიდან დიდი წინააღმდეგობა გავუწიე, ვუთხარი, ძალიან მიყვარხართ, მომწონხართ, გაფასებთ, მაგრამ ეს ჩემი სპეციალობა არ არის, დიდი ლაფსუსები გამომივა-მეთქი. იმან კი ამიხსნა, რომ ჩემგან მუსლიტერატურის შედევრს არავინ ელოდა, არც ითხოვდა, რომ სწორედ სხვა კუთხიდან და სხვა თვალით დანახული კვარტეტის ცხოვრება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი გენეზისის პროფესიულ-კრიტიკული შეფასება.

ასე იყო თუ ისე, დავთანხმდი და დავიწყე კვარტეტის წევრებთან მუშაობა, მართალია ისე ვერა, როგორც ამას კომპოზიტორები ახერხებდნენ, ყოველდღე და საათობით, მაგრამ მათ ინტერვიუებზე მოწვევას მაინც წარმატებით ვახერხებდი. დრო გადიოდა, თანდათან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს კაცობრიობის ისტორია კვარტეტის ზოგად სტრუქტურაზე ყოფილიყოს აგებული, თითქოს ყველა პილიტიკური თუ სტიქიური კატაკლიზმა კვარტეტის პრინციპიდან გამომდინარეობდეს, მისი სქემის მიხედვით ვითარდებოდეს და მისი ღერძის გარშემო ტრიალებდეს, რომ ყველაფერი იწყება და მთავრდება კვარტეტით თუ მუსიკაში, თუ ლიტერატურაში და თუ, საერთოდ, არსებულ და არარსებულ სინამდვილეში. ამას ისიც დაემატა, რომ კვარტეტის წიგნზე მუშაობის მთელ პერიოდში, თითქოს განზრახ, რაც არ ჩავრთე, ყველა აპარატიდან კვარტეტის ჰანგები გამოდიოდა, ყველა ფილმში ფიგურირებდა კვარტეტი; სადაც არ ფიგურირებდა, სიმბოლურად მაინც გამოსჭვივოდა ხოლმე. მოკლედ, კვარტეტის სინდრომი შემეყარა და ვიდრე ხელში ვიოლინოს, ალტს ან ჩელოს დავიჭერდი, გადავწყვიტე წერისგან პატარა ტაიმ-აუტი ამელო. ავდექი და მეგობრებთან ერთად ზაფხულში დასასვენებლად აჭარაში გავემგზავრე, ის კი დამავიწყდა, რომ ამხანაგთა შემადგენლობაში ჟვანიების ოჯახიც შედიოდა.

ნოდარ ჟვანია ძალზე დამნდობი და დამყოლი რესპონდენტი აღმოჩნდა. ჩვენ მხოლოდ წყნარი საათის დროს ვმუშაობდით. ნოდარი კვარტეტის თავგადასავლებს მიყვებოდა და მე გატაცებით ყველაფერს სიტყვა-სიტყვით ვიწერდი. ამ პროცესმა ისე ჩამითრია, რომ ერთი ექსპერიმენტის ჩატარებაც გადავწყვიტე: ჩემს ახალგაზრდა მეგობარ-ჟურნალისტს, რუსუდან რუხაძეს, რომელიც იქვე, კვარიათში ბინას ქირაობდა, ვთხოვე ნოდარისგან ინტერვიუ აიღე-მეთქი. იგი სიამოვნებით დამთანხმდა. ჩემი აზრით, ინტერვიუ ძალიან საინტერესო გამოვიდა და ამიტომ მას აქვე, უცვლელად გთავაზობთ:

„გერმანიაში საქართველოს საქმე ვაკეთეთ და ვგრუნდებით"

აჭარული წვიმა და აღელვებული ზღვა იმის პირობაა, რომ ნანატრი შვებულებით კვარიათში წასულმა გულდამშიდებით ჩაწერო ინტერვიუ, თუკი ამას ისიც ერთვის, რომ სასურველ რესპონდენტამდე სულ ერთი პატარა ქუჩის გადაჭრა გჭირდება.

...ბატონი ***ნოდარ ჟვანია*** *(აფიშის ენაზე რომ ვახსენოთ, ალტი), ჩვეულად ინსტრუმენტზე უკრავს ანუ ისვენებს, თუმცა ინტერვიუ შეთანხმებულია და თავს უხერხულად არ ვგრძნობ.*

— ბატონო ნოდარ, ბავშვობაში სოლფეჯიო თუ გიყვარდათ?

— სოლფეჯიო გულწრფელად მიყვარდა, განსაკუთრებით კი კარნახის წერა. მუსიკალური ათწლედი დავამთავრე. მართალია, სასწავლებელი თერთმეტწლიანი იყო, მაგრამ მას მაინც ათწლედს ეძახდნენ. ჩემი პედაგოგი შოთა შანიძე გახლდათ, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა და ამიტომაც გაკვეთილზე მოუმზადებელი არასოდეს მივდიოდი. იძულებით თუ ნებით, მთელი ბავშვობა მუსიკაზე დავდიოდი. ძალიან ენერგიული ვიყავი, მეგობრები და გართობა მიყვარდა და ამდენად მთელ დღეს მეცადინეობას ნამდვილად არ ვუთმობდი.ეს ის პერიოდი იყო, როცა ქალაქში უამრავი კონცერტი იმართებოდა და მათზე დასწრება დიდი ბედნიერება იყო. რიხტერი, ოისტრახი და მათი დონის მუსიკოსები ჩამოდიოდნენ. ასე რომ, არამხოლოდ მუსიკალური სასწავლებლის მეშვეობით იღებდი განათლებას.

წელიწადში ორჯერ ათწლედში სასწავლო გეგმის მიხედვით კონცერტები იმართებოდა. მე იმდენად ვღელავდი ხოლმე, რომ მასში მონაწილეობა ჩემთვის დიდ სიამოვნებას ნამდვილად არ წარმოადგენდა. 7 წლიდან ვიოლინოს დაკვრას ვსწავლობდი. სავიოლინო რეპერტუარი ძალიან მრავალფეროვანია, ამიტომ სასწავლად და ინსტრუმენტის დასაუფლებლად დასაწყისში ვიოლინოს არჩევა ამართლებს. ალტზე ჩემი არჩევანი ერთმა შემთხვევამ განაპირობა. საქართველოს კამერული ორკესტრი გასტროლებზე იყო რუსეთის ქალაქებში. მე ორკესტრში ვიოლინოზე ვუკრავდი, მაგრამ ალტისტი ავად გახდა და მისი შეცვლა მომიხდა. სწორედ მაშინ დავუკარი პირველად ალტზე. ჩემი არჩევანი დიდწილად ამ ინსტრუ-

მენტის საოცრად მომხიბლავმა ბგერამ განაპირობა. პროფესიული თვალსაზრისითაც ალტით მეტად შემეძლო წინსვლა, რადგანაც მასზე არც ისე ბევრი მუსიკოსი უკრავს. თავიდან რომ მიწევდეს ინსტრუმენტის არჩევა, ისევ ალტს ვამჯობინებდი.

1966 წელს უკვე კვარტეტის წევრი გავხდი და მას მერე არც დამიტოვებია იგი. სჩვევიათ მუსიკოსებს სხვადასხვა ორკესტრებში გადასვლა, მე კი 40 წელია სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის ერთგული ვარ. 1970 წელს პირველად მომცეს კლასი კონსერვატორიაში. დღესდღეობით კვარტეტის ყველა წევრი კონსერვატორიის პროფესორები გახლავართ და მუსიკოსთა ახალ თაობას ვზრდით. ძალიან საფრთხილოა მოწაფესთან ურთიერთობა, შეიძლება იგი შენზე ნიჭიერი აღმოჩნდეს და არ უნდა შეაფერხო მისი წინსვლა.

— სხვა პროფესიაზე არასოდეს გიფიქრიათ?

— მუსიკალური ათნლედის დამთავრების შემდეგ, სამედიცინო ინსტიტუტში მინდოდა სწავლის გაგრძელება. მეგონა, ჩემგან კარგი ქირურგი გამოვიდოდა. თუმცა, მუსიკისადმი დიდმა სიყვარულმა მაინც სძლია და საბოლოოდ კონსერვატორიაში ჩავაბარე. მამა, არჩილ ჟვანია, შესანიშნავად უკრავდა ჯაზს მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება არ ჰქონია. იგი პროფესიით ინჟინერი იყო. დედა, თინა მაჭავარიანი ექიმი გახლდათ. იგი თავიდან კონსერვატორიაში სწავლობდა, მაგრამ მშობლების გადასახლების შემდეგ კონსერვატორიიდან დაითხოვეს, შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ მამა მთელი ცხოვრება უკრავდა. ასე ვარ მეც.

— კვარტეტში მუშაობა ალბათ გარკვეულ სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. მაინც რა განსაკუთრებულ პროფესიულ უნარს მოითხოვს იგი და რას ნიშნავს კარგი ხმის შეწყობა?

— **ნამდვილად გაგვიმართლა**, რომ კვარტეტის თითოეული წევრი კარგი შემსრულებელია. **ბედმა გაგვიღიმა** იმ თვალსაზრისითაც, რომ გერმანიაში შევძელით მოღვაწეობის გაგრძლება და ამით კვარტეტი შევინარჩუნეთ. ამაში დიდი როლი ჩვენმა ერთსულოვნებამაც შეასრულა.

ოთხივე კარგი მეგობრები ვართ. ერთმანეთის შესანიშნავად გვესმის და არ გვიჭირს ერთმანეთის განწყობის აკომპანირება. კონცერტის შემდეგ ოთხივემ ზუსტად ვიცით, რა ხარვეზი გვქონდა შესრულებისას. ამაში, რა თქმა უნდა, ინ-

ტერპრეტაციას ვგულისხმობ და არა შესრულების ტექნიკას. ჩვენ ვუკრავთ ყოველთვის პროფესიულად, მაგრამ გვაქვს აღმაფრენები. ეს დამოკიდებულია მსმენელზე, ჩვენს განწყობაზე, ხან მე არ ვარ შესაბამის გუნებაზე, ხან რომელიმე მათგანი. თუმცა არის კონცერტები, როდესაც ოთხივე ერთნაირად კმაყოფილები და ნასიამოვნები ვართ. ერთ-ერთი ასეთი კონცერტი, მაგალითად, 31 მარტს გვქონდა. ეს მართლაც აღმაფრენა იყო ოთხივესთვის.

კიდევ რაც გვაერთიანებს არის ის, რომ სამი ბავშვიც რომ იჯდეს დარბაზში, ისეთივე მონდომებითა და პასუხიმგებლობით ვუკრავთ, როგორც სავსე დარბაზის წინაშე წარდგენისას.

— როცა უკრავთ ორკესტრში, რამდენად გრძნობთ თქვენს წილ პასუხისმგებლობას და რამდენად იზიარებთ ორკესტრის წარმატებას?

— როდესაც 40 წელია კვარტეტში უკრავ, ორკესტრში კომფორტულად თავს ნამდვილად ვერ გრძნობ. თუმცა, გულწრფელად გეტყვით, რომ მართლაც სასიამოვნო იყო ჩემთვის საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში მუშაობა. თანაც ამით მატერიალურად გადავარჩინე ჩემი ოჯახიცა და კვარეტეტიც.

აბა დაფიქრდით, კარგი ორკესტრანტი რომ იყო, ცოტა ამბავია?! სულაც არ არის აუცილებელი სოლისტი გამოხვიდე. რაც მეტი მუსიკა გაიჟღერებს, მით უფრო მშვიდობიანი გახდება სამყარო. სოლოც არაერთხელ დამიკრავს ორკესტრთან ერთად და ვაღიარებ, მართლაც განსაკუთრებული შეგრძნებაა, მაგრამ კვარტეტი ჩემი ცხოვრებაა.

— ოჯახში მარტო თქვენ ხართ პროფესიონალი მუსიკოსი?

— ჩემი მეუღლე სალომე გაბუნია, პროფესიით ეთნოლოგი, კომპოზიტორ ნოდარ გაბუნიას ძმისშვილია. იგი ძალიან მუსიკალური ადამიანია, სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიცაა ჩემი გაუთავებელი მეცადინეობის მოსმენა. 29 წელია ერთად ვართ. მეშინია ხმამაღლა რომ ვთქვა გამიმართლა-მეთქი, მაგრამ ეს მართლაც ასეა. რომ არა ჩემი მეუღლე, მე ვერ გავძლებდი გერმანიაში. იგი კარგი მოსაუბრე და შესანიშნავი მსმენელია. ახლა რომ ვიყო დასაქორწინებელი, ისევ მასთან შევქმნიდი ოჯახს. ჩვენ ორი შვილი გვყავს — ელენე და არჩილი. გვყავს შვილიშვილი მიხო. ორივე შვილი დაჯილდოებულია მუსიკალური ნიჭით. არჩილი უკრავს გიტარასა და ფორტეპიანოზე, თუმცა პროფესიად მუსიკა არც ერთს აურჩევია.

— როგორც ოდისეი დიმიტრიადის ქალიშვილი იხსენებს, საბერძნეთში წასვლის წინ მუსიკოსს განუცხადებია „ჩემი წასვლის დროა"... მერე კი საბერძნეთიდან შვილებს წერდა, „მინდა შევეხო ქართულ მიწას, როგორც მითიური ანტეოსი". როგორ გადაწყდა თქვენი კვარტეტის წასვლა გერმანიაში და რამდენად გაგიადვილათ უცხო ქვეყანასთან შეგუება?

— პირადად ჩემი წასვლა ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა, რასაც თან შემოქმედებითი კონტაქტების გაწყვეტა დაერთო. საბჭოთა პერიოდში უამრავი მიწვევა გვქონდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ 90-იან წლებში ჩვენ პრაქტიკულად შემოქმედებით ვაკუუმში აღმოვჩნდით. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ გერმანიაში კვარტეტი კვლავ შეკრებილიყო.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მანამდეც ბევრი შემოთავაზება გვქონდა სხვადასხვა ქვეყნისგან დარჩენის თაობაზე, მაგრამ აზრად არ მოგვსვლია სახლის და მეგობრების დატოვება. გადაწყვეტილება მივიღეთ მაშინ, როცა ძალიან გაგვიჭირდა და დავინახეთ, რომ კვარტეტის ქვეყანაში დარჩენით არავის არაფერი შეემატებოდა. ჩვენ წავედით და საქართველოსთვის გავაგრძელეთ მოღვაწეობა. დღესდღეობით კამერული ორკესტრი და ჩვენი კვარტეტი ისეთი პოპულარულია, რომ გერმანიაში, კერძოდ ბავარიაში ყველა ქართველი მუსიკოსი ჰგონიათ. ყოველთვის საქართველოს სიმებიანი კვარტეტის სახელით გამოვდიოდით, ამას აფიშებიც მოწმობს. ჩვენს კვარტეტს წასვლამდეც იცნობდნენ ევროპაში და გარკვეულწილად ამანაც გაგვიადვილა იქ მოღვაწეობა.

იქ მყოფ ქართველ მუსიკოსებს არც ერთი წუთი უქმად არ დაგვიკარგავს. ავსტრიაში, გერმანიაში, შვედეთში (Firma Sony, Caprice) გამოშვებული გვაქვს რამდენიმე კომპაქტ-დისკი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია იმპრესარიოებთან მუშაობა. პირველი კომპაქტ-დისკი ჩავწერეთ ვენაში ბატონი ლეოპოლდ ბაუსბეკის დაფინანსებით, რისთვისაც კვარტეტი კიდევ ერთხელ უხდის მადლობას. გერმანიაში ყოფნისას არაერთი მუსიკოსი ჩამოვიყვანეთ საქართველოდან ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ბევრ ახალგაზრდას შევუწყვეთ ხელი, კარგი განათლება რომ მიეღო.

— დაბრუნებას თუ აპირებთ?

— ჩვენ ვბრუნდებით. ვაპირებთ საქართველოს სხვადახვა კუთხეში კონცერტების გამართვას. წლების განმავლობაში ჰქონდა ჩვენს კვარტეტს ეს ტრადიცია. გერმანიიდანაც ყოველ წელს ჩამოვდიოდით საქართველოში და ვუკრავდით ბავშვებისათვის. გავიხსენებ, მაგალითად, ახალციხეში მუსიკალური სკოლის დარბაზში რომ ვუკრავდით ხოლმე. მე ვიტყოდი, რომ იქაური პედაგოგები ნამდვილი გმირები არიან. ისინი მთელ ენერგიას და ენთუზმიაზმს ბავშვების აღზრდაში დებდნენ მაშინ, როცა მძიმე მდგომარეობის გამო საქართველოში ხალხს ელემენტარული საარსებო პირობები არ ჰქონდა.

როგორც წესი, შობა-ახალი წლისთვის თბილისში ვგეგმავთ კონცერტს. 2005 წლის მარტში 60 წელი შემისრულდა და ჩემი მეგობრების გადაწყვეტილებით ქუთაისსა და თბილისში გავმართეთ კონცერტი. შარშან სექტემბერშიც ვახტანგ კახიძის მოწვევით თბილისში დავუკარით ფესტივალზე. კიდევ ორი კონცერტი დაგეგმილი გვაქვს.

მინდა გულწრფელად აღვნიშნო, რომ ქართველი მსმენელი საუკეთესო მსმენელია. აქ ყველაზე მეტად ვღელავთ ხოლმე და არა მარტო იმიტომ, რომ მშობლიურ ქალაქში ვუკრავთ, არამედ — კარგად ესმით მუსიკა და აი, ეგ არის მთელი ამბავი. მუსიკოსის ბედნიერება ისაა, რომ მას მსმენელი ჰყავს. ამ ბედნიერებით კი ჩვენი კვარტეტი განებივრებულია. ამიტომაც ქართველი მსმენელის ჩემეული შეფასება ნამდვილად არ არის გადაჭარბებული.

— კონცერტის შემდეგ ვისი აზრი გაინტერესებთ ყველაზე მეტად?

— ყოველი კონცერტის, გასტროლისა თუ ტურნეს შემდეგ ვინახავთ პრესას, ნებისმიერ რეცენზიას თუ გამოხმაურებას. საზღვარგარეთ საკმაოდ კვალიფიციური მიმოხილვები იწერება, ჟურნალისტები მართლაც თავის საქმის პროფესიონალები არიან. ადრე საქართველოშიც მუსიკისმცოდნეები წერდნენ რეცენზიებს კონცერტის შესახებ , დღესდღეობით საქართველოში პრესა ველარ იძლევა პროფესიულ შენიშვნებს. ჩემთვის ხალხის რეაქცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კრიტიკოსის.

ყოველი კონცერტის მერე ოთხივენი ვსხდებით და განვიხილავთ, როგორ დავუკარით, ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს.

— მუსიკალური ჟანრები, რომელთაც უსმენთ...

— ჩვენ სხვა საუკუნიდან მოვდივართ. ისე სწრაფად ვითარდება სამყარო, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი თაობა პრეისტორიული ხანისაა. კლასიკურ ჯაზს ვუსმენ, მიყვარს სამბა, ფრენკ სინატრა, ივ მონტანი, ჩარლი ჩაპლინის მელოდიები...

იყო პერიოდი, როცა ჩემი შვილი ელექტრონულ მუსიკას უსმენდა და, შეიძლება ითქვას, ძლივს გადავიტანე ის პერიოდი. ვერც „ქუინ"-ის მუსიკას ვუსმენდი, მაგრამ ჩემი შვილის წყალობით დღეს მათი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ვარ და ვაღიარე, რომ არჩილს ნამდვილად კარგი მუსიკალური გემოვნება აქვს.

— ამბობენ, ის რაც 20.000 დოლარზე მეტად იყიდება, უკვე ჯაზი აღარაა. შეიძლება თუ არა იგივე ითქვას კლასიკურ მუსიკაზე?

ახლა ყველფერი კომერციაზე გადავიდა, არ შეიძლება 180 კონცერტი ერთნაირად გულით და სულით დაუკრა. ერთ ქალაქში წელიწადში რამდენი კონცერტი შეიძლება რომ გამართო? სამ პროგრამაზე მეტს ხომ ვერ მოამზადებ? ამდენად, ტურნეები და გასტროლები მუსიკოსთა შემოქმედების აუცილებელი ნაწილია.

რაც შეეხება კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, მე ვიტყოდი რომ ეს მუსიკა რჩეულებისთვისაა. კამერული იმიტომაა, რომ მას ხუთასი ადამიანი უსმენს და არა ათასობით. თუმცა, არიან ადამიანები, ვინც დაულალავად იღწვის იმისთვის, რომ კლასიკურ მუსიკას მეტი მსმენელი ჰყავდეს. ამის საუკეთესო მაგალითია, თუნდაც, ელისო ვირსალაძე და მისი ფესტივალი თელავში, ლიანა ისაკაძე და ბორჯომის ფესტივალი, მანანა დოიჯაშვილი, ვახტანგ კახიძე. მე არ ვიცი ამას რამდენად აფასებს საზოგადოება, მაგრამ ისინი უდავოდ დიდ საქმეს აკეთებენ.

— ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში დიდი კომპოზიტორის სურათებთან ერთად კიდია ილიას, აკაკის ფოტოები. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მინიშნებაა, რომ ეს ერთი განზომილებაა, ამიტომ ერთ შეკითხვაში მოვაქცევ — თქვენი საყვარელი კომპოზიტორი, მწერალი, მხატვარი...

— მიჭირს საყვარელი მწერლის გამოყოფა: შეიძლება, რომ ილია არ ვახსენო? ვაჟა, აკაკი?! რომელ მწერალსაც ვკითხულობ, იმ წუთში მისით ვარ გატაცებული. რაც შეეხება საყვარელ კომპოზიტორებს, ისინიც ძალიან ბევრია, მაგრამ მაინც გამოვარჩევ ბეთჰოვენს, ჰაიდნს, მოცარტს, ბახს, შოსტოკოვიჩს.

— როგორია თქვენი მსოფლიო რუკა: ქყვეყანა, რომელმაც თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა არასოდეს დაგავიწყდებათ...

— მართლაც უმარავი ქვეყანა მაქვს მოვლილი როგორც კვარტეტთან, ასევე ლიანა ისაკაძის ორკესტრთან ერთად. შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში სწორედ ორკესტრთან ერთად ვიმოგზაურე, სამხრეთ ამერიკაში კვარტეტი გავემგზავრეთ გასტროლებზე. კვარტეტთან ერთად მოვლილი გვაქვს თითქმის მთელი ევროპა და სამხრეთი ამერიკის ქვეყნები.

უწინ უმეტესად მოსკოვში, კომპოზიტორთა კავშირში ან კონსერვატორიის დიდ ან მცირე დარბაზში ვმართავდით კონცერტებს. მთელი მუსიკალური ელიტა ესწრებოდა ხოლმე ჩვენს გამოსვლებს, პირადად შევხედრივარ შოსტოკოვიჩს. ფესტივალებზე ცნობილ მუსიკოსებთან გიდონ კრემერთან, ნატალია გუტმანთან, ოლეგ კაგანთან, ელისო ვირსალაძესთან, ლიანა ისაკაძესთან და სხვებთან ერთად გამოვდიოდით. მათთან ურთიერთობა მართლაც დაუვიწყარია.

— არამუსიკოსები, როდესაც ვისვენებთ, მუსიკას ვუსმენთ ხოლმე. თქვენთვის რა არის განტვირთვის ყველაზე კარგი საშუალება?

— თავისუფალ დროს ვკითხულობ ან ვუკრავ, სხვა მეტი არაფერი ვიცი. სახლში როცა ვარ სულ ვუკრავ და ასე ვისვენებ ხოლმე. თანაც ხელებს ვავარჯიშებ, სამუშაო ფორმა რომ არ დაკარგონ. მიყვარს ბახის შესრულება, ახალი ნაწარმოებების დაკვრა. მეზობელმა მითხრა, ნოდარ-ჯან, რომ უკრავ ყოველდღე, არ მუშაობ? მოგეხსენებათ, შესრულების ტექნიკა დღეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. ხოლო ინტერპრეტაცია ის ნიჭია, რომლითაც მუსიკოსები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ნაწარმოების ახლებურად დანახვა და შესრულება გულიდან მოდის და არა ტვინიდან. ამოწურული რომ გგონია ნაწარმოები, ნახავ რომ კიდევ დაგრჩა მასში რაღაც აღმოუჩენელი. ამას ყველა მუსიკოსი უნდა ესწრაფოდეს. ამიტომაც დაკვრა ჩემთვის მხოლოდ საქმიანობა არ არის.

გარდა მუსიკისა, ტურიზმი მიტაცებს, თითქმის მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი. იახტა მყავდა თბილისის ზღვაზე. მიყვარს თხილამურები, ცურვა.

გადაღებული ვარ დიმიტრი ბათიაშვილის მხატრულ ფილმში „ცარიელი ბინა", რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ვასრულებ. ეს ისე...

— რას ნიშნავს — ქართველები მუსიკალური ერი ვართ?

— საქართველოში ყველა მღერის — დიდი და პატარა, და მერე, როგორ?! ქართულ ხალხურ სიმღერას ძნელად თუ გაუტოლდება რომელიმე სხვა ქვეყნის მუსიკალური ფოლკლორი, თვით ისეთი ხალხისა, გენიალური კომპოზიტორები რომ ჰყავს. ჩვენი ერის განსაკუთრებულ მუსიკალურობაში ხალხურ მუსიკას ვგულისხმობ. ვიტყოდი, ამ თვალსაზრისით, ბახის დონეზე ვართ.

რუსუდან რუხაძე,

კვარიათი, 2005 წელი

რუსუდან რუხაძე ნოდარ ჟვანიასთან ინტერვიუს შემდეგ ჩვენი კვარტეტის აშკარა თაყვანისმცემელი შეიქნა. რადგან ჩავთვალე, რომ პირველმა ექსპერიმენტმა გაამართლა, შევგულიანდი და რუსიკოს ვთხოვე, ეგებ ოთარ ჩუბინიშვილისგანაც შენ აგეღო ინტერვიუ-მეთქი. კვარტეტის დარჩენილი ორი წევრი იმ დროს ჯერ კიდევ გერმანიაში მოღვაწეობდა. რუსიკო სიამოვნებით დამთანხმდა, მე ბატონ ოთარს შევუთანხმდი ინტერვიუზე და აი ისიც:

— ბატონო ოთარ, თქვენ მოგვიანებით შეუერთდით სახელმწიფო სიმებიან კვარტეტს, რამე სირთულეებს ხომ არ წააწყდით ამის გამო?

— მე მართლაც ყველაზე გვიან შევუერთდი კვარტეტს. მოსკოვში ვცხოვრობდი, იქ დავამთავრე კონსერვატიორია და შემდეგ ასპირანტურა. 1972 წელს, როდესაც დავბრუნდი საქართველოში, ბატონმა სულხან ცინცაძემ მირჩია, კვარტეტში დამეკრა. მე და თამაზ ბათიაშვილი ერთად ვსწავლობდით პირველ სკოლაში, ახლოს ვიცნობდი ნოდარსაც და კოტესაც, ამდენად, ძალიან გამიადვილდა კვარტეტთან შეგუება. ამის მერე მალევე მოგვიწია საერთაშორისო კონკურსებზე გამგზავრება მოსკოვსა და ბუდაპეშტში, სადაც იმ დროისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვეთ. მაშინ კონკურსების ლაურეატობა, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი იყო ჩვენი კარიერისთვის. მის გარეშე წარმოუდგენელიც კი იყო მომავალი გასტროლებისა და ტურნეების დაგეგმვა და სახელმწიფოს მხრიდან ამის ხელშეწყობა. ჩვენ მოსკოვში ჩავდიოდით საკავშირო მოსმენაზე, რომელიც ორ-სამ ტურად იმართებოდა და, ფაქტობრივად, საერთაშორისო კონკურსზე არანაკლებ რთული იყო, თორემ მაშინ საქართველოს მთავ-

რობა არ იყო უფლებამოსილი, კვარეტეტი რომელიმე კონკურსზე წარედგინა. ერთადერთი, რაც კარგი მოიტანა ამ კონკურსებმა, შემოქმედებითი კონტაქტები იყო, რომლებიც დიდხანს გაგვყვა. ახლა ასე აღარ არის. ეს საქმე იმპრესარიოებმა ითავეს, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ კონკურსებზე ახლა უფრო არაობიექტურად იქცევა ხოლმე ჟიური.

— თავიდანვე ჩელოზე უკრავდით?

— დიახ, 7-8 წლის ასაკში მშობლებმა მუსიკალურ სასწავლებელში, ვიოლონჩელოს კლასში შემიყვანეს და მას მერე ამ ინსტრუმენტის ერთგული ვარ.

— თქვენი ემიგრაცია ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, რატომ?

— 1993 საქართველოში შექმნილი მართლაც უმძიმესი მდგომარეობის გამო წავედით გერმანიაში. ნახევარი წელი დამჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო. მარტო ვრჩებოდი საქართველოში. იცით, მანამდე ყოველთვის ვოცნებობდი გერმანიაში ცხოვრებაზე. შეიძლება ითქვას, ეს იყო ჩემი ოცნების ქვეყანა. როდესაც გასტროლებზე ვიყავით ხოლმე გერმანიაში, ჩვენდამი დამოკიდებულება მართლაც განსაკუთრებული იყო. ჩვენ გვხვდებოდნენ ისე, როგორც პირველებს. თუმცა, ერთია ორი-სამი კვირით სტუმრობა, სხვა — ხანგრძლივი ცხოვრება უცხო ქვეყენაში. მეც გამიჭირდა იქაურ ხალხთან შეგუება. ამიტომაც სამ წელიწადში უკან გამოვიქეცი. ჩვენს მაშინდელ გადაწყვეტილებას მაინც ვამართლებ, გერმანიაში წასვლამ შემოქმედებითი კონტაქტების და ახალი კვარტეტის საგასტროლო ცხოვრების აღდგენა განაპირობა. ნებისმიერი გასტროლის თუ ტურნეს დროს, მაქსიმუმ ორი კვირის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მინდებოდა. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოვფრინდებოდი ხოლმე თბილისში. შენს ქვეყენაში უნდა იცხოვრო, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კომფორტი. კვარტეტის დანარჩენი წევრები კი თორმეტი წელია იქ არიან, მათი შვილებიც გერმანიაში გაიზარდნენ. გერმანიაში რომ გავემგზავრე, ჩემი ვაჟი თან გავიყოლე. მე ვერ გავძელი, გერმანიაზე იმედგაცრუებული დავბრუნდი, ის კი დღემდე იქ ცხოვრობს და თავს მშვენივრად გრძნობს.

— საქართველოში დაბრუნების შემდეგ როგორ შეძელით დარჩენილიყავით კვარტეტის წევრად?

— როდესაც გასტროლი დაიგეგმებოდა, ერთი კვირით ადრე გადავფრინდებოდი ხოლმე გერმანიაში, გავივლიდით რეპეტიციებს და ისე გავემგზავრებოდით ხოლმე გასტროლზე. გერმანიასა და სკანდინავიაში იმპრესარიოები გვყავდა და ისინი აგვარებდნენ ყველაფერს. ისე, მინდა გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ უფრო გართულდა გასტროლები და ტურნეები, წალეკეს საზღვრები მუსიკოსებმა. თანაც თუ უწინ ერთი კონცერტი 10,000 დოლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 4-5-ათასია. მართალია, იმ ათი ათასიდან ცხრა „გოსკონცერტის" იყო, მაგრამ, ფაქტია, ფასი განახევრდა.

— კარგი შესრულება მხოლოდ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული თუ განწყობაც მნიშვნელოვანია?

— რა თქმა უნდა, განწყობაც თავის როლს თამაშობს, კვარტეტი ქარხანა ხომ არ არის?! მაგრამ პასუხისმგებლობა უპირველესია. პროფესიონალიზმი ისაა, განწყობის მიუხედავად რომ შეძლებ კარგად დაკვრას. ეს თუ არ შეგიძლია, მუსიკოსობას თავი უნდა დაანებო. თუმცა, იმის უარყოფაც ძნელია, რომ გარკვეულ სიტუაციაში მუსიკოსის გუნება-განწყობა გარკვეულ გავლენას ახდენს მისი შესრულების ხარისხზე. ასეთ შემთხვევაში უბრალოდ გსიამოვნებს ინსტრუმენტთან ურთიერთობა და საყვარელი ნაწარმოების შესრულება. დარბაზის აკუსტიკა, დამსწრე საზოგადოება, ათასი რამ შეიძლება გახდეს ამის მიზეზი.

აი, მაგალითად, გერმანელი მსმენელი საოცრად დისციპლინირებულია, ჩუმად ზის. ქართველი მსენელისგან კი საოცარი უკუკავშირი იგრძნობა კონცერტის დროს. ყოფილ საბჭოთა კავშირში მოსკოველი, პეტერბურგელი და თბილისელი მსმენელი ყველაზე დახვეწილ და გემოვნებიან მსმენელად მიიჩნეოდა. თანაც, ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ რომ ქართველები მაინც ნიჭიერი ხალხი ვართ.

— რას გულისხმობთ?

— ორი ქართველი რომ შეხვდება ერთმანეთს, უკვე ორ ხმაში მღერიან. ჩვენ თამამად შეგვიძლია მრავალხმიანობით ვიამაყოთ. სტრავინსკიმ, იცით, რა თქვა გურული სიმღერების მოსმენის შემდეგ? გასაკვირია, რატომ არ გყავთ მსოფლო დონის კომპოზიტორებიო. ალბათ, ეს იმანაც გამოიწვია, რომ ჩვენთან გვიან შემოვიდა პროფესიული მუსიკა. XIX საუკუნის ბოლოს საგუნდო მუსიკა საკმაოდ

განვითარებული იყო საქართველოში, მაგრამ საკომზიტორო სკოლა სათავეს მხოლოდ 20 საუკუნის დასაწყისში იღებს. რა ვიცი, ძნელი სათქმელია...

— რამდენად გაინტერესებთ მუსიკის კრიტიკოსთა აზრი?

— კარიერის დასაწყისში უდიდეს ყურადღებას ვაქცევდით, თუ როგორი რეცენზია იწერებოდა კონცერტის შემდეგ. შეიძლება ითქვას, ამაზე იყო დამოკიდებული ჩვენი მომავალი გასტროლები. მაშინ კონცერტებს გივი ორჯონიკიძე და მანანა ახმეტელი არჩევდნენ. დღეს კი რეცენზიები ზოგადი ფრაზებით იწერება. ჩვენთან მაინც იმას ცდილობენ, რომ ახლობლები არ გაანაწყენონ, კრიტიკაც შესაბამისია.

— მხატვრები, პოეტები, კომპოზიტორები ხშირად თავიანთ შემოქმედებას მუზებად წოდებულ ახლობელ ადამიანებს უმადლიან, შემსრულებელ მუსიკოსს შეიძლება ასეთი რამ „შეემთხვეს"?

— ალბათ ნაკლებად, ჩემთვის მუზა თავად კარგი ნაწარმოები ან საყვარელი კომპოზიტორია. თუ ის შენს გულში ზის და შენთვის ახლობელია, კი ბატონო, ვუწოდოთ მას მუზა. მეტი შთაგონება რაღად გინდათ, როდესაც საყვარელი კომპოზიცია არ გასვენებს და გინდა ყოველთვის სხვადასხვაგვარად დაუკრა?! ბრამსი, შუბერტი, შუმანი, ბეთჰოვენი,- მათთან სხვაგვარ სიახლოვეს ვგრძნობ.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენს პროფესიაში აზარტულობა?

— შეიძლება ითქვას, აუცილებელიცაა, ერთი ნიჭიერი მუსიკოსი უკრავდა ბოროდინის კვარტეტში და მისი კოლეგა, იცით, რას ამბობდა მასზე? რასაც რეპეტიციაზე აკეთებს, სცენაზე არაფერს ამატებსო, მისი შესრულების დონე სტაბილურად კარგიაო. ეს უკვე არააზარტულობის მაჩვენებელია. თუ ეს თვისება გაკლია, კონცერტზე სასიამოვნო სიურპრიზებს ვერ შესთავაზებ მსმენელს. კონცერტის დროს ხანდახან ხდება ის, რაზეც არ მოგვილაპარაკია, არ შევთანხმებულვართ. ამაში ვგულისხმობ ამა თუ იმ ფრაზის სხვაგვარად დაკვრას. სხვა ნოტებს ვერ დაუკრავ, მაგრამ შეიძლება ინტონაცია გააკეთო განსხვავებულად. ჯაზი და კლასიკური მუსიკა სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისგან. იქ თემაა მთავარია, კლასკურ მუსიკაში კი ნოტები. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან ჯაზი კლასიკური მუსიკის დონეზე აღიქმება. ფონოტეკა სწორედ იმითია საინტერესო, რომ ათი სხვადასხვა შემსრულებლის მიერ დაკრულ ერთი

და იგივე ნაწარმოებს უსმენ და ხვდები, რამდენის საშუალებას გაძლევს ესა თუ ის თხზულება. მაგალითად, როდესაც არტურ რუბინშტეინის და ფრანჩესკატის შესრულებით ბეთჰოვენის V სავიოლინო სონატა მოვისმინე, ბევრად უფრო საინტერესო და იდუმალ სიღრმეებს ჩავწვდი, ვიდრე მაშინ, როცა იმავე ნაწარმოებს სვიატისლავ რიხტერი და ოლეგ კაგანი ასრულებდნენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ასეთი იყო ჩემი აღქმა.

— თქვენი აზრით, მუსიკოსისთვის ასაკს რა მოაქვს?

— ასაკს მუსიკოსისთვის, კარგი გაგებით, სიდინჯე მოაქვს. ამაში იმას არ ვგულისხმობ, რომ ალეგრო ადაჟიოში შეასრულო. ადრინდელ ჩანაწერებს რომ ვუსმენ, ათასი შენიშვნა მიჩნდება. რასაკვირველია, ასაკთან ერთად აზროვნებაც შემეცვალა. წლებია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი გახლავართ, ამანაც ბევრი მომცა. რომ იცოდეთ, რა რთული პერიოდი გავიარე, როდესაც პედაგოგობა დავიწყე! არ არის ადვილი, შენი ცოდნის სხვებისთვის გადაცემის უნარი გამოიმუშავო, თანაც ისე, რომ პრიმიტიულობას აარიდო თავი. ჩემს მოწაფეებთან ერთად მეც ვიზრდები, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის ვეცნობი უახლეს ლიტერატურას.

დღესდღეობით მე სპეციალობას არ ვასწავლი, კამერული მუსიკის და კვარტეტის კათედრას ვუძღვები, ჩემი ცხრა პიანისტიდან ხუთი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია, რაც, როგორც პედაგოგს, ძალიან მეამაყება. ისე ამ ბოლო წლებმა მუსიკალურ ხელოვნებასაც დაასვა დაღი. თუმცა, პიანისტების ქართული სკოლა ერთ-ერთი ძლიერია ევროპაში. ვირსალაძემ და თულაშვილმა 20-იანი წლების დასაწყისში პიანისტთა საკმაოდ ძლიერი სკოლა შექმნეს, ის ფესვები დღემდე ცოცხალია. ასეთი დონის ჩელისტები კი საქართველოს ნამდვილად არ ჰყოლია.

— რამდენად განაპირობებს კარგი მუსიკოსობა კარგ პედაგოგობას?

— იყო კარგი მუსიკოსი, სულაც არ ნიშნავს, რომ შენგან აუცილებლად წარმატებული პედაგოგი გამოვა და პირიქით. უდიდესი მევიოლინეები — იამპოსლკი, აუერი არ ეწეოდნენ საშემსრულებლო კარიერას, მაგრამ მათ უძლიერესი სავიოლონო სკოლა შექმნეს. აიღეთ, თუნდაც, რასტროპოვიჩის მასწავლებელი კაზალუპოვი! აქვე არ შემიძლია არ ვახსენო დუბინსკი, უნიჭიერესი მევიოლინე,

რომელმაც ჩვენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კვარტეტის დაკვრა გვასწავლა. სწორედ მან მოგვამზადა ბუდაპეშტის საერთაშორისო კონკურსისთვის, სადაც დიდი წარმატება მოვიპოვეთ. მაშინ ჩვენ უკვე გვეგონა, რომ მაღალი დონის შემსრულებლები ვიყავით, მაგრამ დუბინსკის სკოლის მერე ჩვენი პროფესიონალიზმი ერთი ათად ამაღლდა.

— მოსკოვის კონსერვატორიაში ვინ იყვნენ თქვენი პედაგოგები?

— მოსკოვში ჩემი პედაგოგი გახლდათ სვიატოსლავ კნუშევიცკი, მას ჩემი წარდგენა არ სჭირდება. იმ პერიოდში მოსკოვის კონსერვატორია მართლაც უნიკალურ განათლებას იძლეოდა. მარტო დერეფანში გავლა რად ღირდა?! ეს იყო ცოცხალი მუზეუმი. უხერხულიც კი იყო, იქ არ გესწავლა. დასწრება თავისუფალი იყო და ამიტომაც მეცადინეობისას ოცდაათამდე ადამიანი მაინც გესწრებოდა. თან როგორი ოცდაათი მსემენელი? ერთმანეთზე დახვეწილი და განათლებული. მართალია, ძალიან ვღელავდი ამის გამო, მაგრამ, სამაგიეროდ, მოგვიანებით სცენასთან შეგუება აღარ გამჭირვებია.

— რა თვისებებია აუცილებელი იმისთვის, რომ იყო კვარტეტში შეძლო დაკვრა?

— კვარტეტის წევრი რომ იყო, უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეს ანსამბლის შეგრძნება. ერთ ამბავს გეტყვით, შეიკრიბა ოთხი უძლიერესი მუსიკოსი, ოისტრახი და მისთანები. ბეთჰოვენის ერთ-ერთი კვარტეტი ჩაწერეს, მაგრამ რომ ვუსმენ, სულაც არ მომწონს. მერე რა, რომ კარგი სოლოშემსრულებელი ხარ?! კვარტეტი სულ სხვა ძალისხმევას და თვისებებს მოითხოვს. ეს განსაკუთრებული ნიჭია, ეს არის ანსამბლური მუსიკის უმაღლესი დონე, ასე მიაჩნიათ მთელ მსოფლიოში. ავსტრიაში კონცერტის მერე ასეთი რამ გვითხრეს, წარმოგვიდგენია, რა სიმფონიური ორკესტრი გყავთო. თუმცა არც ეს ნიშნავს ერთსა და იმავეს. წლებია საჭირო იმისთვის, რომ კვარტეტმა ჰარმონიას მიაღწიოს. ოთხმა კაცმა შესაძლოა ერთსა დ აიმავე რიტმში სხვადასხვა ინტონაციით დაუკრას. ჩვენ კარგა ხანია ერთად არ დაგვიკრავს. მარტში გვქონდა კონცერტი და ისე მოგვნატრებია ერთმანეთი, რომ კონცერტი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა. როდესაც დავბრუნდი საქართველოში, აქ ახალი კვარტეტი ჩამოვაყალიბე, ახლა ჩემს მაგივრად სხვა დავსვი და მე ისევ სახელმწიფო სიმებიან

კვარტეტს ვუბრუნდები. 1 იანვირდან ჩვენ ისევ ერთად შევიკრიბებით. მე, ასევე, ვხელმძღვანელობ კამერული მუსიკის ცენტრს, რომელიც უკვე წელიწადია ეროვნული მუსიკალური ცენტრის წევრი გახდა. გეგმები ბევრია აქეთაც და იქეთაც, მაგრამ ყველაფერს შევათავსებ.

თამაზი და ფეხბურთი

კვარტეტის წევრებს თუ მოვუსმენთ, მათი ნაამბობიდან ჩანს, რომ ცხოვრებაში ყველაფერი მუსიკამდე დადის, ჯერ მუსიკა და მერე — ყველაფერი დანარჩენი, სხვა. როგორც ე.წ. მემატიანეს, ბუნებრივია, მაინტერესებს, სხვა რა გატაცებები აქვთ ჩვენი წიგნის გმირებს ცხოვრებაში. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ იმდენი სხვა გატაცება ჰქონიათ, რომ ამის აღწერას დარგობრივ-ჟანრობრივად და სტრუქტურულად კომპლექსური მიდგომა ესაჭიროება. გადავწყვიტე, ეს საქმეც კვერტეტის უფრო სერიოზულ მემატიანეებს გადავულოცო და ამჯერად, თქვენი ყურადღება თამაზ ბათიაშვილის ისეთ უწყინარ გატაცებაზე შევაჩერო, როგორიცაა სპორტი, კერძოდ კი, ფეხბურთი.

— იყო დრო, როცა სპორტის გარეშე არ შემეძლო. ფეხბურთს გაძლებამდე ვთამაშობდი. მიყვარდა ცურვა. გერმანიაში რომ გადავედი, თავიდან იქ ფეხბურთში პარტნიორი ვერ ვნახე, მარტო დავდიოდი მოედანზე და კარში ვურტყამდი. მერე ახალგაზრდა მოთამაშეები ვიპოვე, ვიკრიბებოდით ბებრები და ახალგაზრდები, გავიყოფოდით და ვასპარეზობდით. მე და ჩემს უმცროს ძმას ლექსოს ახალგაზრდობაში „დინამოს" არც ერთი მატჩი არ გაგვიცდენია. ღმერთმა უწყის, რამდენჯერ გვიტირია წაგების გამო. მერე დაიშალა გუნდი, ფეხბურთმა კვდომა დაიწყო და მე სტადიონზე სიარულის ინტერესი დავკარგე. მართალია, გუნდს მხარდაჭერა სჭირდებოდა ალბათ, მაგრამ ისეთი ახალგაზრდები აღარ ვიყავით და გუნდის კრიზისთან ერთად, ჩვენი ჟინიც ჩაცხრა. 1981 წელი ჩვენი გულშემატკივრობის კულმინაცია იყო, როცა ჩვენებმა ევროპის თასი აიღეს. გერმანიაში სტადიონზე არ დავდივარ. ტელევიზიით ვუყურებ ხოლმე ფეხბურთს. გული საბოლოოდ მაშინ გაგვიტყდა, როცა თბილისის „დი-

ნამო" ავსტრიაში ჩამოვიდა, ინსბრუკში, ევროპის თასზე სათამაშოდ. ჩვენ აქ ავ-ტობუსი ვიქირავეთ, ხალხი შევკრიბეთ და ჩვენების გასამხნევებლად დიდი ყი-ჟინითა და ამბით ინსბრუკში გავემგზავრეთ. პირველი გოლი რომ გაიტანეს, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდით, მაგრამ აზრზე მოსვლაც კი ვერ მოვასწარით, ისე ელვისებურად გაუშვეს საპასუხო და შემდეგ კიდევ სამი გოლი. ოთხით ერთი წავაგეთ. ეს იყო და ეს, სტადიონზე ამის შემდეგ აღარ წავსულვარ.

თავი VI

პირველი კონცერტი, პირველი სპონსორი და დაუვიწყარი ფესტივალები

ფინეთში „კუხმოს" ფესტივალზე, სადაც ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვართ ნამყოფი, ზოგი ჩვენს მოსასმენად სპეციალურადაც კი ჩამოდიოდა. ერთხელ თელავის ფესტივალზე ჩვენს გამო ერთი ციმბირელი ქალი ჩამოვიდა. იქ მან სხვა მუსიკოსებიც მოისმინა. მერე ერთი იქაური პატარა ბიჭი მოიყვანეს, რომელმაც არაჩვეულებრივად იმღერა „წინ წყარო". ციმბირელი ქალი ტიროდა, თვითონ არ იცით, რა ნიჭიერი ხალხი ხართო.

ჩვენი პირველი კონცერტი 1966 წლის აპრილში შედგა, კონსერვატორიის მცირე დარბაზში. სულხან ცინცაძის მეექვსე კვარტეტი, ჰაიდნის სოლ მინორ კვარტეტი, თხზულება 74 № 3 g-moll და ბეთჰოვენის კვარტეტი თხზულება 74 №10 Es-dur შევასრულეთ.

...დანარჩენს მესამე პირში გიამბობთ, რადგან ამბავიც ერთია და თითოეული კვარტეტელის ნაამბობიც ტყუპი ძმებივით წააგავს ერთმანეთს.

1974-1977 წლებში კვარტეტს ხშირი გასტროლები ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში და ევროპაშიც. კვარტეტი ძალიან მობილური ორგანიზმია, კვარტეტი შეიძლება გადაიქცეს კვინტეტად, როცა ემატება ფორტეპიანო ან სექსტეტად, ჩელოსა და ალტის დამატებით. ასეთი ანსამბლების მეშვეობით სახელმწიფო კვარტეტმა არაერთი გამოჩენილი მუსიკოსი გაიცნო და დაიმეგობრა: ლექსო თორაძე, ელიზაბეტ ლეონსკაია, ელისო ვირსალაძე, ალექსანდრე კორსანტია, ელისო ბოლქვაძე ... სვიატოსლავ რიხტერმა კვარტეტი თავის ფესტივალზე „დეკაბრსკიე ვეჩერა" მიიწვია, სხვა ფესტივალებზე კი ედი ბრუნერთან (კლარნეტისტი), ოლეგ კაგანთან და ნატალია გუტმანთან ერთადაც ბევრჯერ დაუკრავთ.

1979 წლიდან 89 წლის ჩათვლით ელისო ვირსალაძის, ნატალია გუტმანის და ოლეგ კაგანის თაოსნობით თელავში ყოველ წელს იმართებოდა ფესტივალი

„ქება ვაზისა". ამ ფესტივალზე ერთმანეთთან შესახვედრად და ერთმანეთის მოსასმენად მსოფლიოს ყველა კუთხიდან საუკეთესო მუსიკოსები ჩამოდიოდნენ. ეს ნამდვილი საერთაშორისო დონის ფესტივალი იყო.

კონცერტები, თელავის გარდა, კახეთის ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებშიც იმართებოდა, მაგალითად, ალავერდში. მსოფლიოს ცნობილი მუსიკოსები იქ შერეულ კონცერტებს მართავდნენ. ქართული სტუმართმოყვარეობითა და დიდი შემოქმედებითი ენერგეტიკით დამუხტული სტუმრები აღფრთოვანებულები და მასპინძლებზე შეყვარებულები ტოვებდნენ ყოველ ფესტივალს.

კვარტეტმა თელავის ათსავე ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და იქ საკუთარი პროგრამის შესრულების გარდა, თითქმის ყველა სოლო მონაწილესთან ერთად დაუკრა. ბოლო ფესტივალზე კვარტეტმა მსოფლიო მუსიკოსთა უმაღლეს გილდიას იმ დროს სულ ახალგაზრდა პიანისტი ელისო ბოლქვაძე წარუდგინა.

1989 წელს კვარტეტმა „კუხმოს" სახელით ცნობილ ძალიან პრესტიჟულ ფინურ ფესტივალში ელისო ვირსალაძესთან, ოლეგ კაგანთან, ნატალია გუტმანთან და მსოფლიოს სხვა საუკეთესო შემსრულებლებთან ერთად მიიღო მონაწილეობა.

კვარტეტელების ნაამბობიდან გავიგე, რომ ბოლო დღეს ფესტივალი „ხურდება" ხოლმე და როგორც წესი, კამერული მუსიკის კავალკადად იქცევა. კონცერტი საღამოს ექვს საათზე იწყება და დილის ექვს საათზე მთავრდება. ხალხი მიდი-მოდის, კონცერტი — გრძელდება. ოლეგ კაგანმა და ნატალია გუტმანმა ჩვენს კვარტეტისტებს სთხოვეს, თქვენთან ერთად რამე ქართული დაგვაკვრევინეთო. ნახევარსაათიანი რეპეტიცია გაიარეს და სცენაზე „სულიკო" დაუკრეს. კაგანი — პირველი ვიოლინო, ოთარ ჩუბინიშვილის მაგივრად ჩელოსთან ნატალია გუტმანი დაჯდა, ოთარმა გიტარა აიღო და ერთად იმღერეს „სულიკო". ოლეგ კაგანს უთქვამს, ამ წუთებს ცხოვრებაში ვერ დავივიწყებო. ეს ნომერი ღამის 3 საათზე შესრულდა. ხალხი, თურმე, აღტაცებული უკრავდა ტაშს. მოხდა ძალიან უჩვეულო რამ: ქართულ მუსიკას მსოფლიოს აღიარებული მაესტროები უკრავდნენ, მღეროდნენ და ამ მუსიკას უცხო ადამიანები უსმენდნენ — ხალხი, რომელსაც ასეთი მუსიკა მანამადე არასოდეს გაუგონია.

ფესტივალებზე ყველაზე ხშირად შვედეთში დადიოდნენ, სანდვიკენში. როგორც კვარტეტელები ამბობენ, ასე ხშირად ქუთაისშიც არ უვლიათ, ხალხი თურმე ქუჩებში ცნობდა, შვედეთში საქართველოს კვარტეტს არაერთი თავგადაკლული თაყვანისმცემელი გასჩენია. კვარტეტმა სანდვიკენის ფესტივალებზეც უამრავ გამოჩენილ მუსიკოსთან ერთად დაუკრა კვინტეტები, სექსტეტები.

ერთ-ერთ ფესტივალზე, რომელზეც სხვა კვარტეტებიც მონაწილეობდნენ, ფინელმა დირიჟორმა არი რასილაინენმა ჩვენს კვარტეტს შესთავაზა, მოდით, აქვე, ერთი კამერული ორკესტრი შევქმნათო. ორ-სამ დღეში სამი კვარტეტი შეკრიბეს, კიდევ რამდენიმე მუსიკოსი დაიმატეს, შეადგინეს პროგრამა, დასხდნენ და შესანიშნავი ორკესტრი შექმნეს. ორკესტრმა მსმენელზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. „ეს იყო ზეიმი, რომელმაც განუზომელი ბედნიერება მიანიჭა როგორც შემსრულებლებს, ისე აუდიტორიას" — სიამაყით იგონებენ სანდვიკენის ექსპერიმენტს კვარტეტელები.

„ფესტივალის ატმოსფერო ყოველთვის განსაკუთრებულია — ამბობს თამაზ ბათიაშვილი — იქ პროფესიონალი მუსიკოსები ერთმანეთის მიმართ დიდ პატივისცემას და მოწიწებას გამოხატავენ. მუსიკოსების დიდი შეხვედრების, მაგალითად, ჯემსეიშენების დროს, საოცრებები ხდება. იმპროვიზებისას, პარტიის ერთიდან მეორე მუსიკოსზე გადაცემის მომენტში ერთმანეთისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგრძნობი ხდება. აქ არ არსებობს კონკურენცია და შური, აქ ყველას ერთად ყოფნა, ერთმანეთის წარმატება და ერთმანეთის ნიჭის წარმოჩენა უხარია. ბოლო წლებში ასეთი ფესტივალები გახშირდა. მიხვდნენ, რომ ფესტივალი კლასიკური მუსიკის მოსმენისათვის ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე კონკურსი, სადაც ყველა ნერვიულობს, იბრძვის და ეჯიბრება ერთმანეთს, სადაც ინტრიგები იხლართება. ჩვენ საკმაოდ განებივრებულები ვართ ამით, **ბედნიერები ვართ** და გვიხარია, რომ ფესტივალებზე ჯერ კიდევ გვპატიუებენ".

კვარტეტის პირველი ქართველი სპონსორი ასოციაცია „კონგლომერატი" იყო.

1989 წელს ძალიან კეთილი ადამიანების ერთმა ჯგუფმა ასოციაცია „კონგლომერატი" ჩამოაყალიბა. იგი სხვა საქმიანობასთან ერთად, შეძლებისდაგ-

ვარად, ქველმოქმედებასაც ეწეოდა. ეს იყო პერიოდი, როცა „სახელმწიფო კვარტეტი" უმძიმეს ეკონომიკურ და მორალურ კრიზისს განიცდიდა. ეს იცოდა ყველამ, ამას ხედავდა ყველა, მაგრამ მაშინ საქართველოში ამის არც დანახვის და არც აღქმის „დრო არ იყო" — ჯუნგლის კანონებით ვცხოვრობდით!.. არ ვიცი, რა სახსრების პატრონი იყო მაშინ ასოციაცია „კონგლომერატი", მაგრამ ფაქტია, რომ მისი წევრები ბევრად უფრო მაღალი კატეგორიის ფასეულობათა მფლობელები აღმოჩნდნენ. მათ იმ განუკითხაობის დროს სახელმწიფო კვარტეტის თითოეულ წევრს ხელფასი დაუნიშნეს.

ასოციაციის მაშინდელი თანაპრეზიდენტი თამაზ ანდღულაძე იგონებს:

— მე ნოდარ ჟვანიასთან ახლო მეგობრობა მაკავშირებს და მისი მეშვეობით ჩვენი კვარტეტის დანარჩენ წევრებთანაც ვმეგობრობდი. როდესაც ასოციაციის წევრებს კვარტეტისათვის ხელფასის დანიშვნის იდეა მივაწოდე, პრეზიდენტმა გიგო ოზბეგაშვილმა და მთელმა კოლექტივმა, ზედმეტი შეკითხვების გარეშე, ერთხმად დაუჭირეს ხმა ამ გადაწყვეტილებას. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი კვარტეტის სამშობლოსადმი გაწეული ღვაწლით იყო გამოწვეული. რასაკვირველია, ჩვენ მიერ დანიშნული ხელფასები არ შეესაბამებოდა მუსიკოსების პროფესიონალიზმს, მაგრამ მაშინ ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თითქმის გადარჩენის ტოლფასი იყო. ორივე მხარე, განსაკუთრებით კი „კონგლომერატის" ბიჭები მეტად ამაყები და ბედნიერები ვიყავით იმით, რომ ასეთ დიდ ხელოვანებს ვუწევდით სპონსორობას.

1992 წელს საბერძნეთის ქალაქ ოლიმპოში გოგი შხვაცაბაიას „ოლიმპოს" ქანდაკება უნდა გახსნილიყო. იმავე დღეებში, ქალაქ ნაფტლეონში კამერული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი იმართებოდა და იქ ჩვენი კვარტეტიც იყო მიწვეული. კვარტეტის წევრებმა შემომთავაზეს, ამ ფესტივალზე ჩვენი იმპრესარიო შენ იყავიო. მე სიამოვნებით დავთანხმდი. ორი დღე ოლიმპოში დავყავით, დავესწარით ძეგლის გახსნას და ბოლოს მართლაც დაუვიწყარი სანახაობის — ოლიმპიური ცეცხლის დანთების ცერემონიალის — ცოცხალი მოწმენი გავხდით.

მეორე დღეს ნაფტლეონში გავემგზავრეთ. ეს პატარა, ძალიან ლამაზი ზღვისპირა ქალაქია, ერთ დროს საბერძნეთის დედაქალაქი იყო. ოთხი დღე ჩვენი

კვარტეტის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის კამერული ანსამბლების ხელოვნებით ვტკბებოდით. ფესტივალის დახურვის დღეს მისმა სპონსორმა, საბერძნეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა პიროვნებამ, საქართველოს და კერძოდ, ჩვენი კვარტეტის დიდმა თაყვანისმეცელმა კონსტანტინ კონსტანტინიდმა ნაფტლეონის მოედანზე სადილი გამართა. შუა ნადიმის დროს მან კვარტეტის ბიჭებს სთხოვა, თუ შეიძლება, „სულიკო" დაუკარითო. „სულიკოს" ჯადოსნური მელოდიის ჰანგებზე სულ უცხო ხალხმა მოედნისკენ დაიწყო სვლა და მალე ნაფტლეონის მოედანზე დასადგომი ადგილი აღარ დარჩა. ჩვენს მაგიდასთან თავი ფესტივალის სხვა მონაწილეებმაც მოიყარეს და რამდენიმე წუთში ფანტასტიკური ჯემსეიშენი დაიწყო. იყო კლასიკა, ჯაზი, ხალხური მუსიკა და კიდევ მრავალი სხვა. ეს იყო ზეიმი, რომელიც მის მომსწრე არც ერთ ადამიანს, დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში არასოდეს დაავიწყდება.

თავი VII

შვილები და თაყვანისმცემლები

კოტე ვარდელი:

— პირველ ცოლთან მყავს ვაჟი გიორგი ვარდელი, მუშაობს ინგლისში, არის BBC-ს კორესპონდენტი და ჰყავს შვილი ლუკა. ჩემი ქალიშვილი ირინა კი შვეიცარიაში ცხოვრობს, ციურიხის კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასი დაამთავრა, კარგი პიანისტია, ჰყავს ვაჟიშვილი გიორგი და ქალიშვილი ნინა.

მეორე ცოლისგან მყავს მესამე შვილი კატია, რომელიც გერმანიაში სწავლობს. კატია 18 წლისაა და მუსიკასთან ჯერ არავითარი კავშირი არა აქვს. მარტო მოსმენა უყვარს. ფლობს ლათინურ და ევროპულ ენებს. ქართული კი სამივემ ძალიან კარგად იცის.

ნოდარ ჟვანია:

— კვარტეტის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, მყავს ერთი და, მგონი, უკანასკნელი ცოლი. მყავს ორი შვილი — ელენე და არჩილი. სულ ახლახან გამოჩნდა შვილიშვილი მიხო. ორივე შვილი მუსიკალური ნიჭითაა დაჯილდოვებული, თუმცა პროფესიად მუსიკა არც ერთს აურჩევია. არჩილი გერმანიაში მუშაობს, მრეწველობის მენეჯერია, ხოლო ელენე — სტუდენტი.

თამაზ ბათიაშვილი:

— ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულს გადავწყვიტე, ჩემი ქალიშვილი ლიზიკო სასწავლებლად ევროპაში წამეყვანა იმიტომ, რომ უკვე 70-იანი წლებიდან გამოჩენილ მუსიკოსთა უმეტესობა, ვისაც ვენდობოდი, როგორც პედაგოგს, ემიგრაციაში წავიდა. ვისაც ლიზიკოს შესრულება მოვასმენინე, ერთხმად მეუბნებოდა, ამ ბავშვს გაფრთხილება და პატრონობა სჭირდებაო. თორმეტ წლამდე თავად ვასწავლიდი, მერე დავინახე, რომ მას უკვე ის სჭირდებოდა, რასაც მე ვერ მივცემდი, რადგან მე სოლისტი არასოდეს ვყოფილვარ — მთელი ცხოვრება კვარტეტში გავატარე. 1990 წელს ლიზიკოს შესრულება გერ-

მანიაში ჩემს მეგობარ მარკ ლუბოცკის მოვასმენინე. მარკმა თავის თავზე აიღო ლიზიკოს მუსიკალური განათლება და მალე ლიზა უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა. იგი დღეს ცნობილი მუსიკოსია მსოფლიო მასშტაბით, მას სოლისტად ყველა გამოჩენილი დირიჟორი იწვევს, დაკრული აქვს თითქმის ყველა ცნობილ ორკესტრთან (ბერლინის ფილარმონია, ნიუ-იორკის ფილარმონია, საფრანგეთის ნაციონალური ორკესტრი, ლონდონის ფილარმონია და ა.შ.). ძალიან უყვარს კამერული მუსიკა, წელიწადში ერთხელ კამერული მუსიკის ფესტივალებზე დადის ამერიკაში, ფინეთში და უკრავს კვარტეტებს, ტრიოს, კვინტეტებს, თუმცა „მამამისის" კვარტეტთან ერთად არასოდეს დაუკრავს.

გია ბათიაშვილი, რომელიც პირველი მეუღლისგან მყავს, თბილისში დაიბადა. ექვსი წლიდან მოსკოვში ცხოვრობს, 37 წლისაა, უცოლო. მუშაობს მოსკოვის მეტროპოლიტენის სისტემაში. ცოლი არ მოჰყავს, რადგან მიაჩნია, რომ დედაზე უკეთესად ვერც ერთი ქალი მოუვლის.

შოთიკო ბათიაშვილი მეორე ქორწინებიდან მყავს. იგი 29 წლისაა, ისიც უცოლოა, სპეციალობით — მუსიკოსი, ჰობოისტი, უკრავს ვახტანგ კახიძის ორკესტრში. ბოლო 2 წელია კომპიუტერული გრაფიკითაა გატაცებული.

ოთარ ჩუბინიშვილი:

— ჩემი უფროსი ვაჟი გიორგი ჩუბინიშვილი 40 წლისაა — თვალის ქირურგი. იგი ჯერ მოსკოვში მუშაობდა ფიოდოროვის თვალის კლინიკაში, შემდეგ იტალიაში, ასევე, თვალის ძალიან ცნობილ კლინიკაში. ამჟამად ჩამოშორებულია მედიცინას და ბიზნესით არის დაკავებული, ჰყავს ქართველი მეუღლე სტელა და 17 წლის ვაჟიშვილი დავითი. უმცროსი ვაჟი ლექსო ჩუბინიშვილი 32 წლისაა, მევიოლინე, დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. ცხოვრობს გერმანიაში, ქალაქ ინგოლშტატში და უკრავს საქართველოს კამერულ ორკესტრში. იქვე მუსიკალურ სკოლაში ასწავლის ვიოლინოს. ჰყავს მეუღლე სალომე და ორი შვილი — ოთარი და მარიამი.

***

პოპულარობა, რომელიც ზოგადად ძალიან ძნელი მოსახვეჭია, ჩვენთანაც საკმაოდ გვიან მოვიდა — 1974 წელს, საარბრიუკენში, საქართველოს კულტურის დღეებზე. მაშინ რესპუბლიკის სახალხო არტისტების წოდება მოგვანიჭეს და ზაქარია ფალიაშვილის პრემიაზე წარგვადგინეს. 1973 წელს მოსკოვში გადასარჩევ კონცერტზე წავედით და იქ დიდი მოწონება დავიმსახურეთ. 2 კვარტეტი შეგვარჩიეს და ბუდაპეშტში კონკურსზე გაგვაგზავნეს, სადაც მეორე პრიზი დავიმსახურეთ და ამასთან ერთად — სპეციალური პრემია — უნგრული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის. ასე გავხდით ლაურეატები. თბილისში ჩამოსულებს აეროპორტში შეხვედრა მოგვიწყვეს.

თამაზ ბათიაშვილი

გვიან მოდის თუ ადრე, პოპულარობას, როგორც წესი, თაყვანისმცემელთა მთელი გუნდი ახლავს ხოლმე თან. ხელოვანის თაყვანისმცემელი ცალკე ფენომენია. მას განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს, განსაკუთრებული თვითშეწირვა ძალუძს და თაყვანისცემის ობიექტის მიმართაც განსაკუთრებული მოლოდინი და მოთხოვნა აქვს. თაყვანისცემა ერთი რთული „პროფესიაა", თაყვანისმცემლისადმი პასუხისმგებლობა — მეორე. ეს არის ერთობ რთულად გადასატანი სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ რჩეულების ხვედრია.

ისევე, როგორც თავად შედგება ოთხი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანისაგან, შემოქმედისაგან, კვარტეტის თაყვანისმცემლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანები (ადამიანთა ჯგუფები) არიან — განსხვავებული სქესით, ასაკით, ეროვნებით, კანის ფერითა და აღმსარებლობით. განსხვავებულია მათი თაყვანისცემის გამოხატვის ფორმა და შინაარსიც. ამის დასტურად შეევეცდებით კვარტეტისადმი გაცხადებული სიყვარულის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი შემოგთავაზოთ.

ვაისმანების ოჯახი

1978 წელს შვედეთში გამართული კონცერტის შემდეგ კულისებში შევიდნენ ვაისმანები — ცოლ-ქმარი და მათი ოთხი შვილი. აღტაცებულები იყვნენ. პირველად გაიგეს, რომ თურმე ბუნებაში არსებობს ქვეყანა, სახელად — საქართველო. იკითხეს, კიდევ სად მართავთ კონცერტსო. საკონცერტო ტურნე შვედეთში ტარდებოდა. წარმოიდგინეთ, კვარტეტის წევრთა გაკვირვება, პირველსავე კონცერტზე დარბაზში ვაისმანებს რომ მოჰკრეს თვალი. არც არავინ გაუფრთხილებიათ, არც არაფერი უგრძნობინებიათ, ადგნენ და წაჰყვნენ, და ასე სდიეს ტურნეს ბოლომდე სხვადასხვა ქალაქში, სხვადასხვა დარბაზში. ვაისმანებს კვარტეტის არც ერთი კონცერტი არ გამოუტოვებიათ, ჰყავდათ თავისი მინიავტობუსი და იმით დაჰყვებოდნენ. სტოკჰოლმში ხუთი კონცერტი გაიმართა სხვადასხვა პროგრამით, ხუთსავეს მთელი ოჯახით დაესწრნენ. ძალიან მუსიკალური ხალხი ყოფილა. თავადაც უკრავდნენ, მათი ოჯახი პატარა ორკესტრს ჰგავდა. დედა მუსიკის მასწავლებელი იყო. ვაისმანებმა კვარტეტს გასტროლებზე გერმანიაშიც ჩააკითხეს — 1979 წელს. მოკლედ, თითქმის მთელი ევროპა მოიარეს კვარტეტთან ერთად. „ფეხი ვერსად დავდგით, რომ იქ ვაისმანები არ დაგვხვედროდნენ. ეს ამხელა ყურადღება ზოგჯერ გვაღიზიანებდა კიდეც იმიტომ, რომ დიდ პასუხისმგებლობას და ყურადღებას მოითხოვდა ჩვენგანაც, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდით, დავაფასეთ, რას გვაზიარა განგებამ", — ამბობენ დღეს კვარტეტის წევრები. ვაისმანები მათი კონცერტების ფოტოსურათებს იღებდნენ და ალბომებს ადგენდნენ. გერმანიაში ჩასვლისთანავე, ოთხივე მთელი დღით სახლში მიიპატიჟეს. კვარტეტელებმა მათთან და პატარა ვაისმანებთან ერთად დაუკრეს. უბედნიერესები იყვნენ იმ დღეს და საქართველოს ნახვის სურვილიც გამოთქვეს. იმდენი მოახერხეს, რომ მალე ტურისტული საგზურით ჩამოვიდნენ თბილისში. კვარტეტს ისინი გვერდიდან არ მოუცილებია, წაიყვანეს საკუთარ კონცერტზე, გააცნეს თავიანთი ოჯახები... ვაისმანები დღესაც მეგობრობენ კვარტეტთან.

მეორე, აშკარად გამოხატული თაყვანისმცემელი გერმანელი ბანკირი რუდი ტოიფელი იყო. კვარტეტმა ბადენ-ბადენში რამდენჯერმე გამართა კონცერტი. რუდი ყველა კონცერტს დაესწრო, მერე გერმანიის სხვა ქალაქებშიც თან გაჰყვა. რუდი ტოიფელი დიდი გურმანი იყო. მან მაშინვე შეატყო, რომ მის სათაყვანებელ მუსიკოსებსაც კარგი პირისგემო ჰქონდათ და ამიტომ კვარტეტს ყოველთვის საუკეთესო, განსაკუთრებულ რესტორნებში პატიჟებდა ხოლმე, მხოლოდ დელიკატესებით უმასპინძლდებოდა. ერთხელ თქვა, საქართველოს ნახვა მაინტერესებს და ეგებ ჩემი დაბადების დღე (60 წლის იუბილე) იქ გადავიხადოო.

1987 წლის 29 სექტემბერს 8 საათზე, თბილისში, ნოდარ ჟვანიას სახლში ტელეფონის ზარი გაისმა. ეს რუდი იყო. ნოდარს ეგონა, გერმანიიდან რეკავსო, ის კი თურმე თბილისში ჩამოსულიყო მეგობრებთან ერთად. „ხომ გითხარი, დაბადების დღე თბილისში უნდა გადავიხადო-მეთქი, ჰოდა, ერთი პატარა ჯგუფი შევკრიბე და სასტუმრო „ივერიაში" მოვთავსდითო", — მოახსენა ნოდარს. თავიდან გული კინაღამ გამისკდა, მაგრამ ფიქრის დრო არ იყო, მაშინვე დავურეკე ბიჭებს და „ივერიაში" გავვარდითო, თქვა ნოდარმა. იქ რუდი და მისი ათკაციანი ჯგუფი დაგვხვდა, გვთხოვეს, თქვენთან სახლში წაგვიყვანეთო. წავიდნენ ჟვანიებთან და დილამდე იქეიფეს. მეორე დღეს ისევ ჟვანიების სახლში დაუკრეს კვარტეტი და რუდის დაბადების დღეც იქ გადაიხადეს.

რამდენიმე თვეში, გაზაფხულზე კვარტეტი ისევ წავიდა გასტროლით გერმანიაში. რუდიმ იმპრესარიოსგან ტურნეს გეგმა წინასწარ გაიგო და კვარტეტისთვის სპეციალურად დაგეგმა „შეჩერება ბადენ-ბადენში". იქ სხვადასხვა რესტორანში ადგილები უკვე შეკვეთილი ჰქონდა. ამ რესტორნებში სპეციალურად საქართველოს სიმებიანი კვარტეტისათვის საკონცერტო პროგრამის ფორმის მენიუ ჰქონდა დაბეჭდილი.

ბადენ-ბადენის ავტოსტრადაზე რუდის მანქანაში ისხდნენ, ძალიან გადაქანცულები და ოთხივეს კისრები სწყდებოდათ. მაშინ გერმანულსაც სათანადო დონეზე არ ფლობდნენ, ჟესტებით ჯახირის თავიც არ ჰქონდათ და ასე ყვინთვა-ყვინთვით მიუყვებოდნენ გერმანიის გასრიალებულ ავტობანებს. უცებ მანქანა

გაჩერდა, რუდიმ კარი გააღო და გადასვლა დააპირა. მოულოდნელად ოთარ ჩუბინიშვილმა, რომელსაც, ეტყობა, უხერხული სიჩუმე მთელი გზა მოსვენებას არ აძლევდა, რუდის შეკითხვა დაუსვა: „რუდი, კატასტროფენ?", რუდიმაც გერმანულად რაღაც „ჰო, ჰო"-ს შესატყვისი უპასუხა და მანქანიდან გადავიდა. ხოლო კოტე ვარდელმა კი, რომელიც რუდის გვერდით წინა სავარძელში იჯდა, ერთი წუთითაც არ დაუკარგა ოთარ ჩუბინიშვილს გამჭრიახობა და ყოველგვარი ტაიმაუტის გარეშე — ყოჩაღ, ეს რა მაგარი გერმანული გცოდნიაო — შესძახა.

უვე იონსონი

უვე იონსონი შვედეთის (სანდვიკენის) ფესტივალების მთავარი ორგანიზატორის, ცნობილი მეცენატისა და მუსიკის დიდი მოყვარულის რიუნე იონსონის ვაჟი იყო. მამის დაწყებული საქმე ბოლოს მის ხელში გადავიდა. უვე კვარტეტს ისე დაუმეგობრდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თაყვანისმცემლის მსგავსად, საქართველოში ჩამოსვლაზე და აქაურ სამოთხესთან ზიარებაზე დაიწყო ოცნება. სანდვიკენში, უვესა და ადგილობრივი მუსიკალური საზოგადოების თაოსნობით, კვარტეტი კონცერტებს ყველაზე პრესტიჟულ დარბაზებში და ერთობ ორიგინალურ გარემოშიც კი მართავდა, მაგალითად, რომელიღაც სასტუმრო კომპლექსში (სადაც ამავე დროს ცხოვრობდნენ კიდეც), რომელიც თვალუწვდენელ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული თავისი გოლფის მოედნებითა და იპოდრომით. ამ სასტუმრო კომპლექსში მხოლოდ განსაკუთრებით ცნობილი მილიონერები ჩამოდიოდნენ. ტერიტორიაზე იყო ეკლესია და საკონცერტო დარბაზი, სადაც კვარტეტმა ზემოთ ხსენებული აუდიტორიისთვის კონცერტი გამართა. ხოლო რაც შეეხება უვეს ოცნებას, საქართველოში ჩამოსულიყო, იგი 1996 წელს ახდა. უვე იონსონი გერმანიიდან გამოჰყვა კვარტეტს და აქ ანსამბლის ტრადიციულ საგაზაფხულო კონცერტს დაესწრო. შემდეგ კვარტეტთან ერთად საქართველოს გარშემო საკონცერტო ტურნეშიც მიიღო მონაწილეობა. აქ კი, როგორც იტყვიან — კომენტარები მართლა ზედმეტია. კვარტეტის შესრულების დონეს უვე იონსონი კარგად უწყოდა, აი, ქართველების სტუმართმოყვარეობისას — არა და გაეცნო კიდეც!

თავი VIII

გუარნერის ვიოლინოს გატაცების ამბავი

თბილისის მუსიკალურ ცენტრში გენერატორის შუქზე მიმდინარეობდა ჩემი კვარტეტის ჩაწერა. სწორედ იმ საღამოს თავს დაესხნენ კოტე ვარდელს და გუარნერის საკოლექციო ვიოლინოსთან ერთად, ნოდარ ყვანიას ალტიც გაიტაცეს.

გია ყანჩელი

— კოტე ამბობს, ქვეყანაზე ყველაფერს ჩემი შვილები და ვიოლინო მირჩევნიაო. ინსტრუმენტი, როგორც ადამიანი, ისეა. დროთა განმავლობაში ისე შემოდის შენში, ისე მოგერგება, რომ შენი სულის ნაწილი ხდება. უკრავ, უკრავ და მერე მთლიანად შენშია. სხვას რომ მისცე იგი, უცბად ალღოს ვერ აუღებს, ვერ დაუკრავს. ასეთია ვიოლინო და სასულე ინსტრუმენტები. ბერავ, ბერავ, და მერე შენი ხდება, შენი სულია შიგ ჩაბერილი და სხვას რომ მისცე, იმ ხმას აღარ გამოსცემს. ინსტრუმენტის მორგებას დიდი დრო სჭირდება. ამიტომ არის, რომ ვიოლინოებს დიდხანს ვარჩევთ, ვიდრე ვიყიდით. ერთი კვირა მაინც უნდა გქონდეს იმისათვის, რომ გასინჯო, მიხვდე, ვარგისია იგი შენთვის თუ არა, უცებ ვერ გაიგებ. ადამიანის გაკეთებულია და იმიტომ. სტრადივარიუსმა და გუარნერიმ თავიანთ შედევრებში საკუთარი სული ჩადეს, — ამ შესავლით დაიწყო თამაზ ბათიაშვილმა თბილისში 90-იანი წლების ერთი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური ამბის თხრობა, რომლის დაზარალებული მხარე სახელმწიფო კვარტეტი, კულტურის სამინისტრო, მთელი საქართველო და ყველაზე მეტად, კოტე ვარდელი გახლავთ.

— ეს იყო კვარტეტის ტრაგედია: ვიოლინო კულტურის სამინისტროს ეკუთვნოდა და იგი იტალიელი ხელოსნის, გუარნერის ნამუშევარი გახლდათ. ჩვენ მუსიკალურ ცენტრში გია ყანჩელის კვარტეტს ვწერდით. ტრაგიკომიკური სიტუაცია იყო — არა გათბობა, არა სინათლე, ხელთათმანებით ვუკრავდით. მიშა კილოსანიძესთან წავედით სტუდიაში ჩანაწერის მოსასმენად და, რა თქმა

უნდა, ინსტრუმენტები, რადგან მათ არასოდეს არსად ვტოვებდით, თან წავიღეთ. წინასაშობაო დღე იყო, ყინავდა. სტუდია ზედა სართულზე იყო, ავედით, ჩანაწერი მოვისმინეთ და უკან წამოვედით დარბაზისაკენ. პირველი მე წამოვედი. ჰოლში ვიღაც სამი კაცი იჯდა, მე დარაჯები მეგონა და არ მივსალმებივარ, რადგან დილას, მოსვლის დროს უკვე მივესალმე. ნოდარი და კოტე ერთად მოდიოდნენ. ნოდარი ტუალეტში შევიდა და კოტეს უთხრა, ინსტრუმენტი დამიჭირეო. ოთარი კი სტუდიაში დარჩა მიშასთან. კოტე ნელი ნაბიჯით გაუყვა დარბაზისაკენ. ეტყობა, გამტაცებლებმა წინასწარ იცოდნენ, რომ გუარნერის ვიოლინო კოტეს ჰქონდა, უკნიდან დაესხნენ, თავში ჩაარტყეს და ორივე ინსტრუმენტი გაიტაცეს. ნოდარის ალტი იმიტომ მოჰყვა ამ ამბავში, რომ ისიც კოტეს ეჭირა და ბანდიტებს კი იმის გარჩევის დრო არ ჰქონდათ, რომელ ფუტლიარში იდო „გუარნერი". ასე გაიტაცეს ორივე ინსტრუმენტი. მაშინვე განვაცხადეთ. შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამინისტრო დიდხანს ეძებდნენ ინსტრუმენტებს და ბოლოს, როგორც ხდება ხოლმე, სრულიად შემთხვევით, მოსკოვში მიაგნეს. იქ გასაყიდად წაუღიათ, ფუტლიარი კონსპირაციის მიზნით დაუწვიათ, „გუარნერი" ცელოფნებში გაუხვევიათ და ორი წელი სადღაც ბნელ, ნესტიან სარდაფში ჰქონიათ გამომწყვდეული. ინსტრუმენტი დაავადდა. კოტემ იგი ინგლისში, საუკეთესო ხელოსანს წაუღო აღსადგენად. იქ, სახელოსნოში ეს ინსტრუმენტი რომ დაინახეს, გაოგნდნენ — ამ ვიოლინოს შესახებ ბევრი გაგვიგია, ვიცოდით, რომ იგი უნიკალური ინსტრუმენტების წიგნშია შეტანილი და სადღაც საბჭოთა კავშირში ინახებოდა, მაგრამ რა მოხდა, როგორ დაუშვით ამ ინსტრუმენტის ამ მდგომარეობამდე მიყვანაო. ვიოლინოს რესტავრაციაში კოტეს ათი ათასი ფუნტ-სტერლინგი მოსთხოვეს. აბა, საიდან უნდა მოეტანა კოტეს ამდენი ფული, ჩამოვიდა თბილისში და შევარდნაძის ფონდში ნუგზარ ფოფხაძეს მიადგა. ის კი დაჰპირდა, მაგრამ მერე იმ ფონდშიც ყველაფერი აირია.

რაც შეეხება მოპარვის ამბავს, ჩვენ ასეთი ინფორმაცია გვაქვს: ვიოლინო თურმე კოტეს მეზობლის „ნაკოლით" მოუპარავთ. ის მეზობელი ადრე თურმე ბანდიტობდა, ხალხს აყაჩაღებდა, მერე რუსეთში გაქცეულა, მაგრამ ბიძაშვილისთვის უთქვამს, ესა და ეს ხალხი ჩამოვა და „სკრიპკის" გატაცებაში დაეხმარეო. მოსკოვში გამტაცებლებს წინასწარ ყველაფერი ზუსტად გამოუძიებიათ.

იცოდნენ, როდის ვიქნებოდით დარბაზში ჩაწერაზე. შემოსულან ცენტრში, დარაჯები იარაღის მუქარით დაცვის კაბინაში ჩაუკეტავთ და დამუქრებიან, ხმას თუ ამოიღებთ, დაგხოცავთო. მერე მათ ადგილზე თვითონ დასხდნენ და დაგველოდნენ. ჰოლში სინათლე ძლივს ბჟუტავდა. გარკვევით არაფერი ჩანდა: შავებში ჩაცმული სამი კაცი, მოქსოვილ ქუდებში (მაშინ ყველა ასე იცვამდა), თავისთვის იჯდა დარაჯების ადგილას. ბოლოს ჩვენც გამოვედით ჰოლში. დაგვაცადეს და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდათ ხელში, მაშინვე თავს დაესხნენ კოტეს. კოტეს ყვირილზე დარბაზიდან გამოვვარდი და ვიდრე ხელების ფათურით ჰოლში გზას გავიკვლევდი, სამივე გაიქცა.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი დაკარგული, უფრო სწორად გატაცებული ინსტრუმენტები მოსკოვში იპოვეს „ორგანოების" ყოფილი ერთი ქართველი თანამშრომლის დახმარებით. მისი ქალიშვილი ინგლისური ენის მასწავლებელი იყო. ბანდიტებმა საიდანღაც მიაკვლიეს, სახლში მიაკითხეს და სთხოვეს, კლიენტთან სავაჭროდ თარგმანში დაგვეხმარეო. კლიენტი ვიღაც უცხოელი ქალი ყოფილა – სასტუმრო „ნაციონალში" იყო გაჩერებული. გოგონა თურმე არ თან-

მოპარული ვიოლინო „გუარნერი" დაუბრუნეს კოტე ვარდელს

ხმდებოდა. ამ დროს სახლში ოჯახის მამა მოსულა და საუბრისთვის მოუკრავს ყური. თუ არ ვცდები, ამ კაცს რაღაც გაგებული ჰქონია დაკარგულ ინსტრუ-მენტებზე, თანაც, თურმე, ერთ დროს ორგანოებშიც მუშაობდა. მოკლედ, მიმხვ-დარა, რომ ის ხალხი კარგ საქმეზე არ იყო მოსული, გატრუნულა და არ გამოჩენილა. ქურდები რომ წავიდნენ, ქალიშვილს ძალით ათქმევინა, რას სთავა-ზობდნენ. ყველაფერი რომ გაიგო, მერე თბილისში დარეკა საჭირო ინსტანციაში და იქიდან მაშინვე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 26 წლის ბიჭი გააგზავნეს. სწორედ იმან მიაკვლია ყაჩაღებს და დაიჭირა. გამოძიების დროს დამნაშავეებმა თქვეს, ალტი დავწვით კვალის გასაქრობადო, მაგრამ არ მჯერა, დარწმუნებული ვარ, იქვე, მოსკოვში მიჰყიდეს ვიღაცას კაპიკებად.

თავი IX

საქართველოს კულტურის დღეები სახალინზე

1972 წლის ზამთარში სახალინზე საქართველოს კულტურის დღეები გაიმართა. იგი ქართული ხელოვნების მთელ სპექტრს მოიცავდა: კლასიკური მუსიკა, ესტრადა, ქორეოგრაფია, თეატრი, კინო, სახვითი ხელოვნება... მონაწილეობდნენ ლილი გეგელია, ირაკლი შუშანია, მერაბ დონაძე, თენგიზ ზაალიშვილი, მალიშევა, რომან გორელაშვილი, კვარტეტი... კულტურის დღეების აფიშა ერთი იყო, ყველასათვის საერთო.

პირველი კონცერტი იუენო-სახალინსკში იყო დაგეგმილი. კვარტეტი ხაბაროვსკში ჩავიდა, თორმეტი საათი იფრინეს. იქაურებმა არაჩვეულებრივი შეხვედრა გაუმართეს. კონცერტმა ტრიუმფით ჩაიარა, ბანკეტმა — შესაბამისი პომპეზურობით: ხიზილალა ჯამებით, ზღვის და ოკეანის დელიკატესები დიდ ლანგრებზე, სასმელი ნიაღვრად და ა.შ. დეკადის აფიშები მთელ სახალინზე გავრცელდა. დელეგაცია ჯგუფებად დაიყო და ყველა ჯგუფი თავისი მარშრუტით სხვადასხვა ქალაქში გაემგზავრა.

კლასიკური მუსიკის შემსრულებლები ერთ ჯგუფში მოხვდნენ: საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, ირაკლი შუშანია, რომა გორელაშვილი (პიანისტი) და მხატვრული კითხვის ოსტატი მარი ზლატალინსკაია. პატარა ქალაქებში, სადაც ვიწროლიანდი გადიოდა, მატარებლით მოგზაურობდნენ. ქალაქი ტომარი სწორედ ამ გზაზე მდებარეობს, თათრის სრუტესთან. მატარებლები იქ 3-4 დღეში ერთხელ დადიან. მოქცევის დროს კი გზა იკეტება. სადგურში საქართველოს ჯგუფს კულტურის სახლის (კლუბის) გამგე დახვდა, ერთი მხიარული ებრაელი კაცი, გზაზე ანეკდოტებს ყვებოდა, თქვა, რომ მთელი ქალაქი მოუთმენლად ელოდა ქართველების ჩამოსვლას, თუმცა იქვე გაკვირვებაც გამოხატა, ასე ცოტანი რატომ ხართო. საქმე ისაა, რომ აფიშის მიხედვით, ტომარელები დიდ დასს და მრავალფეროვან კონცერტს ელოდნენ, სახეზე კი მხოლოდ რამდენიმე შემსრულებელი იყო სოლიდური მსმენელისთვის გათვალისწინებული ერთობ სერიოზული რეპერტუარით. კლუბის გამგეს ეს ეტყობა ცუდად ენიშნა და

კვარტეტის წევრებს შინაურულად ჰკითხა, აბა მითხარით, რითი აპირებთ ჩვენი პუბლიკის გაოცებასო. კვარტეტის წევრებმაც გულწრფელად მოახსენეს, რითაც აპირებდნენ და აი, იქ დაიწყო დიდი აკადემიური ტრაგედია. საკონცერტო პროგრამის გამგონე კლუბის გამგემ თავში ხელი წაიშინა, დიდხანს მოთქვამდა, მერე ძლივს ამოღერღა, ან პროგრამა შეცვალეთ, ან გიჯობთ, ახლავე თავს უშველეთო. აფიშის მიხედვით, ხალხი დიდი მხიარულებისა და დროსტარების მოლოდინშია, ამ რეპერტუარით კი აუდიტორია აფიშასაც და ინსტრუმენტებსაც თავზე დაგამხობენო. „სად არის ხანჯლებით ცეკვა?!", — არ ცხრებოდა იგი. კვარტეტი კი ეუბნებოდა, დიდი-დიდი შეგვიძლია ხაჩატურიანის „ხმლებით ცეკვა" შემოგთავაზოთ, ხოლო რაც შეეხება ისეთ მოსაწყენ ტიპებს, როგორიცაა ბეთჰოვენი, შოსტაკოვიჩი, მოცარტი და ჰაიდნი, ამაზე, თუ გინდათ, თავს შევიკავებთო. ებრაელი კაცის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა, თქვენ ეს მოსკოვის პუბლიკა ხომ არ გგონიათ, ამას წინათ ლიტვის კამერული ორკესტრი ქვების სროლით გარეკეს დარბაზიდანო — იმეორებდა — რაც გინდათ მოიფიქრეთ, ოღონდ თქვენი რეპერტუარი აქ არ შეასრულოთო.

საქართველოს პატარა დელეგაცია დიდ საგონებელში ჩავარდა. ბევრი იფიქრეს, თუ ცოტა იფიქრეს, გადაწყვიტეს, „სხვანაირი" კონცერტი გაემართათ. ოთარ ჩუბინიშვილმა ვიოლონჩელის მაგივრად გიტარა აიღო, კოტე ვარდელმა ვიოლინოზე ბოშური სიმღერები ააკვნესა, კონცერტმაისტერად თამაზ ბათიაშვილი დაინიშნა და იქ ტომარიში დაიწყო კვარტეტის საოცარი მეტამორფოზა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვარტეტის ოთხივე წევრმა შესანიშნავი სიმღერა და ქეიფი იცის, დროსტარებაც კარგი ეხერხებათ. წინასწარ შეისწავლეს აუდიტორია და პუბლიკის შესაბამისად (ყოფილი პატიმრები, რეპრესირებულები, მუშათა კლასი), პატარა რეპერტუარი შეადგინეს, ირაკლი შუშანიას სიმღერას კვარტეტი შეუწყვეს, გააკეთეს ჩარდაშის აკომპანიმენტი და კონცერტისთვის მოემზადნენ.

„ოთარი გიტარაზე სასწაულებს ახდენდა, უკრავდა, როგორც ვიოლონჩელზე. თამაზი ისე გაიტლიკა, ისეთ რაღაცეებს იგონებდა ექსპრომტად და ისე ორიგინალურად წარადგენდა ყოველ ნაწარმოებს, რომ დარბაზი ინსტრუმენტამდე აღარ უშვებდა. ზლატალინსკაიამ თავისი დეკლამაცია, მართალია, გულისხეთქვით, მაგრამ მაინც იუმორისტულ სკეტჩებზე გადააწყო და შიგ „ვე-

ფხისტყაოსანიც" გაურია. იმღერეს ბევრი რუსული და ბოშური რომანსი, მოკლედ, დარბაზი ისე აიყვანეს ხელში, რომ კონცერტს დასასრული აღარ უჩანდა. ნიაღვრად წამოვიდა იმპროვიზაცია, დარბაზი დუღდა, ქუხდა, ინგრეოდა. მაგრამ, როცა საბოლოოდ ყველაფერი დამთავრდა და მსახიობები ტრიუმფატორებივით დაემშვიდობნენ მაყურებელს, კულისებში მათთან ერთი ხანში შესული ქალი მივიდა და გულდაწყვეტით უთხრა — მე კი მეგონა, შოსტაკოვიჩს დაუკრავდითო.

ამის შემდეგ გაიმართა მეფური ბანკეტი, ქართველები იქაც ჩვეული ღირსებით წარდგნენ და გვიან ღამით, ქანცგაცლილები და ბედნიერები, სასტუმროში დაბრუნდნენ.

სასტუმრო ერთსართულიან ყაზარმას წარმოადგენდა. ყველა ერთ ოთახში ცხოვრობდა. ფანჯრები გაიყინა, გარეთ თოვდა, რკინიგზა სამი დღით ჩაიკეტა, კვარტეტელები ოთახში ისხდნენ და კარტს თამაშობდნენ. უცებ ეზოდან რაღაც ხმები გაისმა. ვილაცა „კვარტეტს" კითხულობდა. გაიხედეს, გარეთ „ჩორნი ვორონი" იდგა, გვერდზე — კაცი ორი გერმანული ნაგაზით. რომელ ოთახში არიანო, მოესმათ. თამაზს თან ერთი გაზის პისტოლეტი ჰქონდა წაღებული, იფიქრა, რა იცი, მაინც სახალინია, ათასი ოხერი და ბანდიტი დადის, ეგებ გამოგვადგესო. ოთხივეს გული გაუსკდა, ვაითუ იარაღზე რამე იეჭვეს და ჩვენ ასაყვანად მოვიდნენო — რა იცი, სახალინია...მოკლედ, ვიდრე გულახდილი აღიარებით და საკუთარი ნებით ჩაბარდებოდნენ ადგილობრივ მილიციას, ოთახში ფორმიანი კაცი შევიდა — თავგადაპარსული, სახეზე ღრმა ნაიარევით. მან ომახიანად, მაგრამ ერთობ გულთბილად მოიკითხა კვარტეტი და თან დასძინა — გავიგე, აქედან მაინც ვერ მიდიხართ და იქნებ ჩვენ კოლექტივსაც გაუმართოთ ერთი კონცერტიო. ეს ფორმიანი კაცი ოფიცერი ყოფილა, ყოფილი პატიმარი, მერე მილიციელად დაუწყია მუშაობა. ქართველებზე ტკბილი მოგონებები ჰქონია, კონცერტს ცოლთან ერთად დასწრებია, ორივეს ძალიან მოსწონებიათ და უფიქრიათ, ქართველები კეთილი ხალხია, ეგებ ერთი უფასო კონცერტი ჩვენი ციხის კოლექტივისთვისაც გავამართვინოთო.

არ შემიძლია, აქ ერთი პატარა ჩანართი არ გავაკეთო. როცა ამ ამბავს ვისმენდი, თვალწინ ორი გენიალური კინოკადრი მედგა, ერთი — ქართული ფილმი-

დან „ჯარისკაცის მამა" და მეორე — ამერიკული ფილმიდან „ტიტანიკი". აბა გაიხსენეთ! — სიმებიანი კვარტეტის კონცერტი წინასაახალწლო ღამეს, ფრონტის წინა ხაზზე მძინარე ჯარისკაცების წინაშე და მეორე — კვარტეტის უკანასკნელი აკორდები ფსკერზე მიმავალი „ტიტანიკის" გემბანზე. ამ ეპიზოდებს ორივე ფილმში ღრმა სიმბოლური დატვირთვა აქვს. ორივე ეპიზოდი უკიდურესად ექსტრემალურ სიტუაციაში ვითარდება და ორივე შემთხვევაში კვარტეტისტები თავს სრულიად აბსურდულ გარემოში გრძნობენ, თუმცა ეს აბსურდი მაგიური ზღვარია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, სადაც მუსიკა მეგზურის როლს ასრულებს ორივე მიმართულებით. ამ მუსიკის სადავეები კი ოთხი ყველაზე დახვეწილი თვალის, ყურისა და სულის არსებებს უჭირავთ. ისინი ამ სასაზღვრო ხაზზე დგანან და ყველაზე ბოლოს ტოვებენ ხომალდს. მდგომარეობა ორივე შემთხვევაში ტრაგიკომიკურია. „ია იგრალ ვ კალონნომ ზალე კონსერვატორიი...", — ამბობს ერთ-ერთი კვარტეტისტი ფილმში „ჯარისკაცის მამა", როცა ტრანშეაში ჩაწოლილ, მძინარე აუდიტორიას დასცქერის. მაგრამ, როცა დაინახავს, რომ მისი სულშიჩამწვდომი შესრულება მძინარე ადამიანებს სახეზე სიმშვიდეს, კომფორტსა და ღიმილს ჰგვრის, თავადაც მშვიდად, ბედნიერად და მყუდროდ გრძნობს თავს. ეს არის ყველაზე უხილავი და სრულყოფილი კონტაქტი ერთმანეთისაგან ყველაზე განსხვავებულ და შორეულ ადამიანებს შორის. კარგ მუსიკას ძილშიც გაიგებენო, — ეუბნება მას ოფიცერი და იქ წყდება ყოველგვარი კამათი. ჯარისკაცებს კი მაშინ კვარტეტის ჰანგებზე ტკბილი ძილით ეძინათ და ვინ იცის, ეგებ უკანასკნელადაც. ეტყობა, კვარტეტს კიდევ სხვა რაღაც მისტიკური ქარიზმა აქვს, სხვა ფუნქცია აკისრია, უფრო მაგიური და მშვენიერი, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ, პროფესიულ და პომპეზურ კონცერტებზე ვგრძნობთ.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თავიდან ამ ჩვენს კვარტეტისტებსაც ძალიან გაუკვირდათ სახალინელი სამხედრო მოხელის ეს ერთობ არაორდინალური შემოთავაზება და გულუბრყვილოდ იკითხეს კიდეც, კონცერტი ვის უნდა გავუმართოთო. ოფიცერმა აუხსნა, ციხის თანამშრომლებს, პატიმრებს, მოკლედ, გაახსენა, რომ „ციხეში ბულბულები სხედან". მერე კვარტეტი „ჩორნი ვორონში" ჩააბრძანეს, თვითონ მოტოციკლეტებს მოასხდნენ და ასე, ესკორტით მიიყვანეს

ადგილობრივ ციხემდე. მასპინძლებმა საკნების სარკმლები გამოაღეს, კვარტეტს ციხის შენობის ცენტრში ერთი პატარა მოედანი გამოუყვეს და იქვე მსმენელებისთვის რამდენიმე რიგად სკამებიც დააწყვეს. კვარტეტელებმა მზადება დაიწყეს. „დარბაზში" ნელ-ნელა შემოლაგდნენ დამლაგებლები, ციხის სხვა მუშაკები და დასხდნენ. პატიმრები არ მოჰყავდათ. კვარტეტის წევრებმა იკითხეს, პატიმრები რატომ არ მოგყავთო და პასუხად — „ნე პოლოჟენოო" — მიიღეს. მაშინ კვარტეტმა განაცხადა, რადგან მოგვიყვანეთ, კეთილი ინებეთ და პატიმრებიც დაასწარით ჩვენს კონცერტსო. მასპინძლები თავიდან სასტიკ უარზე იდგნენ, მაგრამ არც კვარტეტი იხევდა უკან. თუ პატიმრებს არ გამოიყვანთ, ინსტრუმენტებს ხელსაც არ დავაკარებთო — თქვეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავისი გაიტანეს, პრინციპულობამ გაჭრა. მოიყვანეს ბადრაგი, გამოიყვანეს რამდენიმე „სანდო" პატიმარი და ბადრაგის თანხლებით იმპროვიზებულ „პარტერში" დასვეს. კვარტეტმა ზუსტად ის რეპერტუარი შეასრულა, რომელიც წინა დღეს კონცერტზე დაუკრა: ტანგოები, რომანსები, „ბლატნოი" სიმღერები... უცებ ერთი პატიმარი ფეხზე წამოხტა, ხელი ასწია და — „ა ტანცი ბუდუტო?" — დასჭექა, რასაც უმალ ბადრაგის არანაკლებ ომახიანი „ანუ, სიდეტ სუკა!" — მოჰყვა. შიშისგან ყველანი სკამებს მივეყინეთო, იხსენებენ კვარტეტისტები. მერე კონცერტი თავისი დინებით წავიდა, ოთახი გათბა, ყველა გახურდა, მსმენელიც და შემსრულებელიც ძალიან კმაყოფილი დარჩა. ასე ჩაიარა სახალინური ციხის კონცერტმა, მერე მოქცევამაც უკან დაიხია, გზა გაიხსნა და ქართულმა დელეგაციამ მშვიდობიანად დატოვა ის პატარა სიურრეალისტური ტომარი. იუჟნო-სახალინსკში ქართული კულტურის დელეგაციისათვის სამთავრობო ბაზრობა გამართეს ბევრი წავის ქურქებით, ბრილიანტებით... სულ კაპიკებად. ქალებმა ჩაიცვეს, დაიხურეს, კაცებიც საჩუქრებით დაიხუნძლნენ და 12 საათი ფრენის შემდეგ 40 გრადუსიანი ყინვიდან მზიურ საქართველოში დაბრუნდნენ.

თავი X

გერმანია, კვარტეტის მეორე ცხოვრება

უცხონი მეგობრებად იქცნენ

არამხოლოდ საქართველოს კამერული ორკესტრისათვის, არამედ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვრატეტისთვისაც გერმანია მეორე სამშობლოდ იქცა. როგორც მსმენელებს, არ შეგვიძლია და არ გვსურს მოვიკლოთ ამ ანსამბლის ხიბლი: მისი ჰომოგენურობა, გულიდან მომდინარე მუზიცირება, საქმის ერთგულება. ჩვენ წინაშე არიან უმაღლესი დონის მუსიკოსები, რომელთათვისაც მთავარი საკუთარი თავის წარმოჩენა კი არა, არამედ ნაწარმოების ჩვენამდე მოტანაა, ნანარმოების, რომლის წინაშეც მოვალედ გრძნობენ თავს.

ეს ხელოვანები მეგობრობაშიც ისეთივენი არიან, როგორც სცენაზე: მგრძნობიარე, ღრმა, ემოციური, იუმორით სავსე, ოპტიმისტი, სიცოცხლის მოყვარული, ამპარტავნობის გარეშე. ჩვენს ქალაქსა და მთელს რეგიონში უთვალავ ადამიანს მიაჩნია მათთან ურთიერთობა დიდ სიმდიდრედ, რომელსაც აფასებენ და უფრთხილდებიან. „ჩვენი ქართველები" — ასე უწოდა მათ სიყვარულითა და პატივისცემით ყოფილმა ობერბურგომაისტერმა პეტერ შნელმა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მათ, არამარტო როგორც მუსიკოსებს, არამედ პირადადაც აფასებენ.

რა ვიცოდით ადრე საქართველოს შესახებ? თუკი რაიმე ვიცოდით, მხოლოდ — ცოტა. საქართველო ჩვენთვის თითქმის უცნობი იყო — ტერრა ინაოგნიტა. საქართველოს კამერული ორკესტრისა და საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრებმა ჰორიზონტი გაგვიფართოვეს. მათ გაგვიღვიძეს ინტერესი კავკასიაში მდებარე ამ მშვენიერი ქვეყნის მიმართ. მათ გვაზიარეს ქართულ კულტურას, საქართვლოს ისტორიას, სტუმართმოყვარეობა გვასწავლეს. ისინი თავისი ქვეყნის ნამდვილი ელჩები გახდნენ და დღემდე ასრულებენ ამ მისიას.

უცხონი მეგობრებად იქცნენ. ისინი ცხოვრებაში ახორციელებენ იმას, რაც დიდ ქართველ ფილოსოფოსს შოთა რუსთაველს უთქვამს: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა — დაკარგულია".

ფრიდემან გოეცგერი, ბავარიის ევანგელისტური ეკლესიის საერო სამსახურის მიუნხენის განყოფილების ხელმძღვანელი, საზოგადოების „ქართული კამერული ორკესტრის მეგობრები" თავმჯდომარე

ნოდარ ჟვანია:

— 1993 წლამდე საქართველოში ვიყავით, მერე ძალიან აირია მონასტერი. 1991-ში თამაზი საბერძნეთის გასტროლებიდან პირდაპირ გერმანიაში გაემგზავრა და იქ დარჩა. ამის შესახებ შემთხვევით, ტელევიზიიდან გავიგეთ, ლიანა ისაკაძის ორკესტრში უკრავდა. კვარტეტში მამუკა ფარესიშვილი მოვიყვანეთ. რაღაც გასტროლები კიდევ გვქონდა: საბერძნეთში, ფინეთში. 1992-93 წლებში აშკარა გახდა, რომ შემოქმედებით კონტაქტებს ვკარგავდით, გასტროლებზე ველარ მივდიოდით, არეულ ქვეყანასთან ურთიერთობა არავის უნდოდა. ლიანა ისაკაძეს ამ დროს გერმანიაში უკვე კამერული ორკესტრი ჰყავდა წაყვანილი, ორი წლის წასულები იყვნენ.

თამაზ ბათიაშვილი:

— 1991 წლის დეკემბერში გასტროლები გვქონდა საბერძნეთში, ჩემი ოჯახი გერმანიიდან 19 დეკემბერს ჩამოვიდა. 22-ში თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო, ამ დღეს ჩვენ ჰამბურგში ჩავფრინდით. მე იქიდან ბავარიაში ლიანა ისაკაძეს დავურეკე (მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა) და ვთხოვე, სხვა გზა არა მაქვს, ოჯახს მარტო ვერ დავტოვებ-მეთქი. ლიანა დამთანხმდა, კარგი, ჩამოდი და ოჯახიც თან ჩამოიყვანეო. კვარტეტის წევრებმა თავიდან მისაყვედურეს, რატომ მიდიხარო, მაგრამ მე ეს ამბავი მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. მერე ლიანამ მათაც დაურეკა და ორკესტრში მიიწვია. 1992 წლიდან უკვე გერმანიაში დავიწყეთ ლიანას ორკესტრში მუშაობა, ყველამ ერთად. მე, ნოდარი, კოტე, ოთარი, ლიანა — ბავშვობის მეგობრები ვართ. ლიანა ძალიან ენდობოდა ჩვენს კვარტეტს, კარგად იცოდა ჩვენი შესაძლებლობები და ერთი ნუთიც არ უყოყმანია. ზუსტად ასე ჩამოაყალიბა სპივაკოვმა „მოსკოვის ვირტუოზები" — ბოროდინის კვარტეტის ბოლო შემადგენლობა პირდაპირ ჩაჯდა მის ორკესტრში. გერმანიაში წასვლით ჩვენ, ფაქტობრივად, ჩვენი შვილები, საკუთარი თავი

და კვარტეტი გადავარჩინეთ მაშინ, როცა საქართველოში კულტურისთვის არავის ეცალა. 1993-94 წლებში მუსიკოსებს წარმოუდგენლად გაუჭირდათ, ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მიუსაფარი აღმოჩნდა. ჩვენი წასვლით არავის არაფერი წაუგია, არც სახელმწიფოს, რომელსაც საერთოდ არ ვახსოვდით, არც კვარტეტს და არც ჩვენს ოჯახებს.

აფხაზეთის ომის დამთავრების შემდეგ სიტუაცია ოდნავ შეიცვალა, კვარტეტი ყოველწლიურად ორჯერ ჩამოდიოდა საქართველოში კონცერტების გასამართად. 1994 წლის 31 მარტს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში პირველი კონცერტი გამართეს. სინათლე არ იყო, ბავშვები სცენაზე ავიდნენ, სანთლები დაანთეს, უკან ამოუდგნენ კვარტეტს და ის კონცერტი ისე, სანთლის შუქზე დაუკრეს.

ნოდარ ჟვანია:

— გერმანიაში წავედით და ლიანას ორკესტრში „ჩავჯექით". ხშირად ვახსენებთ, ლიანას ორკესტრში ვუკრავთ, „ჩავჯექით"... ეს არის საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, რომელიც 40 წელზე მეტია მოღვაწეობს. 1963 წელს გივი აზმაიფარაშვილმა ჩამოაყალიბა კამერული ორკესტრი, რომლის პირველი წევრები მე და თამაზ ბათიაშვილიც ვიყავით. მაშინ მე, ყველაზე ახალგაზრდა ორკესტრანტი, ვიოლინოზე ვუკრავდი. სხვადასხვა დროს კვარტეტის სხვა წევრებიც მუშაობდნენ ამ ორკესტრში. ამ წლების განმავლობაში ორკესტრმა არაერთი ხელმძღვანელი გამოიცვალა: გივი აზმაიფარაშვილი, მარინე იაშვილი, იგორ პოლიტკოვსკი, ედუარდ სანაძე და ლიანა ისაკაძე. საქართველოს კამერული ორკესტრი პოპულარულია მთელს ევროპაში და კერძოდ, გერმანიაში. ორკესტრი 15 წელზე მეტია ცხოვრობს და მოღვაწეობს ბავარიის ქალაქ ინგოლშტატში. ლიანა ისაკაძის მიწვევით, 1993 წლიდან კვარტეტი შეუერთდა ორკესტრს. მინდა აღვნიშნო, აკლიმატიზაცია არ დაგვჭირვებია, პირდაპირ ქართულ, შინაურულ ატმოსფეროში მოვხვდით. ორკესტრის დირექტორმა, ჩემმა მეგობარმა დავით ცხადაიამ ბინები დაგვახვედრა და ჩვენც „დროებით" იქ დავსახლდით. ასე აღმოვჩნდით მთელი კვარტეტი ოჯახებით გერმანიაში.

კოტე ვარდელი:

— გერმანიაში საცხოვრებლად ჩვენს წასვლას არავითარი პოლიტიკური მოტივი არ გააჩნდა. უბრალოდ, კვარტეტში რთული სიტუაცია შეიქმნა. პირველად თამაზ ბათიაშვილი გადასახლდა შვილის გამო. მოგეხსენებათ, მისი ქალიშვილი ლიზიკო ძალიან ნიჭიერი მევიოლინეა. დარჩა კვარტეტი მეორე ვიოლინოს გარეშე, ეს იგივეა, მეორე ხელი რომ მოიჭრა. შემდეგ ლიანა ისაკაძემ კამერულ ორკესტრში მიგვიწვია სამუშაოდ და ასე აღმოვჩნდით ოჯახებით ქალაქ ინგოლშტატში. ლიანა ყოველმხრივ გვეხმარებოდა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ორკესტრისა და კვარტეტის საკონცერტო გეგმა ერთმანეთს არ დამთხვეოდა. თავიდან ვფიქრობდი, რომ დროებით ვიყავით ჩასულები, ერთი ან ორი წლით და მალე დავბრუნდებოდით, მაგრამ დაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ ჩანდა. ჩვენი ხელობა დაკვრაა, მუსიკოსმა თუ ინტენსიურად არ დაუკრა, როგორც ხელოვანი ვერ იარსებებს. საქართველოში კი ძნელი იყო მაშინ ჩვენი ხელობის ადამიანისთვის ცხოვრება. ისე კი, იმედი არ დაგვიკარგავს და ყოველდღე დაბრუნებაზე ვფიქრობდით. საქართველოში წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვდიოდით, ვუკრავდით ჩვენი კონსერვატორიის სცენაზე, ვაწყობდით გასვლით კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ძალიან მძიმე წლებში, როცა თბილისში კრიმინალური გარემო იყო, მაშინაც კი არ გაგვიწყვეტია ჩვენს თაყვანისმცემლებთან კონტაქტი.

ოთარ ჩუბინიშვილი:

1993 წელს საქართველოში შექმნილი მართლაც უმძიმესი მდგომარეობის გამო წავედით გერმანიაში. ნახევარი წელი დამჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო. მარტო ვრჩებოდი საქართველოში. იცით, მანამდე ყოველთვის ვოცნებობდი გერმანიაში ცხოვრებაზე. შეიძლება ითქვას, ეს იყო ჩემი ოცნების ქვეყანა, მაგრამ დიდი ხნით უცხო ქვეყანაში ცხოვრება ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ძალიან გამიჭირდა იქაურობასთან შეგუება და სამ წელიწადში უკან გამოვიქეცი. ჩვენს მაშინდელ გადაწყვეტილებას მაინც ვამართლებ, გერმანიაში წასვლამ შემოქმედებითი კონტაქტების და კვარტეტის ახალი საგასტროლო ცხოვრების აღდგენა განაპირობა. ნებისმიერი გასტროლის

თუ ტურნეს დროს, მაქსიმუმ 2 კვირის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მინდებოდა. ერთი სული მქონდა როდის ჩამოვფინდებოდი ხოლმე თბილისში. შენს ქვეყანაში უნდა იცხოვრო, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კომფორტი. კვარტეტის დანარჩენმა წევრებმა კი თორმეტი წელი დაჰყვეს იქ, მათი შვილებიც გერმანიაში გაიზარდნენ. გერმანიაში რომ გავემგზავრე, ჩემი ვაჟი თან გავიყოლე. მე ვერ გავძელი, გერმანიაზე იმედგაცრუებული დავბრუნდი, ის კი დღემდე იქ ცხოვრობს და თავს მშვენივრად გრძნობს.

ნოდარ ჟვანია:

— პირადად ჩემი წასვლა ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა, რასაც თან შემოქმედებითი კონტაქტების გაწყვეტა დაერთო. საბჭოთა პერიოდში უამრავი მიწვევა გვქონდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ 90-იან წლებში ჩვენ პრაქტიკულად შემოქმედებით ვაკუუმში აღმოვჩნდით. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ გერმანიაში კვარტეტი კვლავ შეკრებილიყო. ორკესტრმა ძალიან თბილად მიგვიღო, ვისაც როგორ შეეძლო, სიხარულს ისე გამოხატავდა. ვინაიდან გერმანიაში თავიდან შევიკრიბეთ, მამუკამ თავისი ადგილი ვაჟკაცურად დაუთმო თამაზს. ჩვენ უკვე ისეთი მდიდარი რეპერტუარი გვქონდა, ძველის აღდგენა ყველასათვის საუკეთესო გადაწყვეტილებად მივიჩნიეთ. ადრეც ბევრი შემოთავაზება გვქონია სხვადახვა ქვეყნისგან დარჩენის თაობაზე, მაგრამ აზრადაც არ მოგვსვლია სახლის და მეგობრების მიტოვება. გადაწყვეტილება მივიღეთ მაშინ, როცა ძალიან გაგვიჭირდა და დავინახეთ, რომ კვარტეტის ქვეყანაში დარჩენით არავის არაფერი შეემატებოდა. ჩვენ წავედით და საქართველოსთვის გავაგრძელეთ მოღვაწეობა. დღესდღეობით კამერული ორკესტრი და ჩვენი კვარტეტი ისეთი პოპულარულია, რომ გერმანიაში, კერძოდ, ბავარიაში ყველა ქართველი მუსიკოსი ჰგონიათ. ყოველთვის საქართველოს სიმებიანი კვარტეტის სახელით გამოვდიოდით, ამას აფიშებიც მოწმობს. ჩვენს კვარტეტს წასვლამდეც იცნობდნენ ევროპაში და გარკვეულწილად ამანაც გაგვიადვილა იქ მოღვაწეობა. იქ მყოფ ქართველ მუსიკოსებს არც ერთი წუთი უქმად არ დაგვიკარგავს. ავსტრიაში, გერმანიაში, შვედეთში (Firma Sony, Caprice) გამოშვებული გვაქვს რამდენიმე კომპაქტ-

დისკი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია იმპრესარიოებთან მუშაობა. პირველი კომპაქტ-დისკი ჩავწერეთ ვენაში ბატონი ლეოპოლდ ბაუსბეკის დაფინანსებით, რისთვისაც კვარტეტი კიდევ ერთხელ უხდის მადლობას. გერმანიაში ყოფნისას არაერთი მუსიკოსი ჩამოვიყვანეთ საქართველოდან ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ბევრ ახალგაზრდას შევუწყვეთ ხელი, კარგი განათლება რომ მიეღო.

რაც შემეხება მე, 1963 წელს დავიწყე საქარველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში მუშაობა. 1966 წლიდან დღემდე საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში ვუკრავ. ვარ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, მაქვს პროფესორის წოდება, 1991-93 წლებში ვიყავი ვიოლინოსა და ალტის კათედროს გამგე. 1993 წლიდან ვცხოვრობ გერმანიაში ქალაქ ინგოლშტატში, ვუკრავ საქართველოს კამერულ ორკესტრში. ლიანა ისაკაძემ ინგოლშტატში ოისტრახის სახელობის სიმებიანი ინსტრუმენტების აკადემია დააარსა, სადაც ჩვენ პედაგოგიური მოღვაწეობის საშუალება მოგვეცა.

საერთაშორისო ავტორიტეტმა წინსვლის და ახალი გამარჯვებების საშუალება მოგვცა. ამის საფუძველი კამერულმა ორკესტრმა და ლიანა ისაკაძემ შექმნეს. ლიანამ ინგოლშტატში ოისტრახის სახელობის სიმებიანი ინსტრუმენტების აკადემია გახსნა, სადაც ჩვენ პედაგოგიური მოღვაწეობის საშუალება მოგვეცა. გერმანიაში ჩვენი წარმატება დიდწილად ლიანას პოპულარობამ განაპირობა.

თამაზ ბათიაშვილი:

1996 წელს ლიანა ისაკაძე კამერული ორკესტრიდან წავიდა. ერთი წელი ისე ვიყავით, ორკესტრს მოწვეული დირიჟორები ხელმძღვანელობდნენ. მერე გერმანიაში საქართველოს კამერული ორკესტრის ხელმძღვანელის პოსტზე კონკურსი გამოცხადდა, ასორმოცდაათი განცხადება შემოვიდა. ავიყვანეთ ახალგაზრდა, ძალიან სიმპათიური კაცი, მარკუს პოშნერი, რომელთანაც არაჩვეულებრივი, მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს დღემდე და საქმეც ჯერჯერობით კარგად მიდის. ინგოლშტატი ძალიან ამაყობს ამ ორკესტრით, ეს პროვინციული ქალაქია და არასოდეს ჰყოლია კამერული ორკესტრი.

ქალაქის ყოფილი ობერბურგომაისტერი პეტერ შნელი, რომელიც თავად იყო ინგოლშტატში საქართველოს კამერული ორკესტრის მიწვევის ინიციატორი, დღემდე ამბობს, თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ, გვეამაყება, ასეთი დონის ორკესტრი რომ გვყავსო.

თავი XI

ჯილდოები და წოდებები, შემოქმედებითი კრედო და ხასიათი

1973 — ბუდაპეშტის ლეო ვაინერის სახელობის კვარტეტების საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი
1975 — ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი
1980 — საქართველოს სახალხო არტისტების წოდება
1992 — რუსთაველის პრემიის ლაურეატი
2001 — ღირსების ორდენის კავალერი.

„დღევანდელი უცხოური თანამედროვე მუსიკიდან ცოტა რამ გვაქვს შესრულებული. ეს ახალგაზრდა თაობის კვარტეტებისთვის მიგვინდვია. ჩვენ ამ საქმეს ძალიან ფრთხილად ვეკიდებით, რადგან ამას ძალიან დიდი მუშაობა სჭირდება. ჩვენ მიჩვეულები ვართ კომპოზიტორებთან უშუალო ურთიერთობას. მაგალითად, სულხან ცინცაძესთან ერთად ვქმნიდით კვარტეტებს, ასევე, სულხან ნასიძესთან ერთად. მართალია, ჩვენ არ ვწერდით მუსიკას, მაგრამ კომპოზიტორები თითქმის თანაავტორებად მიგვიჩნევდნენ, მოდიოდნენ და რჩევას გვეკითხებოდნენ — აქ როგორ ჯობია ინსტრუმენტისთვის, როგორ უფრო მოსახერხებელიაო...", — ასე მსჯელობენ კვარტეტელები, ასეთია მათი საშემსრულებლო ხელოვნების ხაზი — კლასიკური საკვარტეტო ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა, თუმცა, მათთვის უცხო არც რომანტიკული მუსიკის სამყარო ყოფილა. ისეთივე წარმატებით უკრავდნენ შუბერტისა და ჩაიკოვსკის კვარტეტებს, როგორც ჰაიდნისას და მოცარტისას. გიორგი ბარნაბიშვილის აზრით, კვარტეტმა სწორედ რომანტიკოსებში მიაგნო არაჩვეულებრივ ზომიერებას.

რეპერტუარის შერჩევისას კვარტეტის კრიტერიუმი ერთია — უნდა იყოს მაღალმხატვრული, პროფესიულად დახვეწილი ნაწარმოები. ამიტომაც მათ მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა რიცხვი ყოველთვის გაცილებით დიდია, ვიდრე

რეპერტუარში შეტანილი ნაწარმოებებისა. კონცერტის პროგრამის შედგენისას ცდილობენ, რომ იგი, ერთი მხრივ, კონტრასტული იყოს, მეორე მხრივ კი ნაწარმოებები გარკვეულწილად ერთმანეთს უნდა უხდებოდნენ. მათთვის გაცილებით საინტერესოა, როცა ერთ კონცერტზე ჟღერს როგორც კლასიკა, ასევე მეოცე საუკუნის მუსიკა.

კვარტეტი თავიდანვე დიდი ინტერესით, მთელი გატაცებით სწავლობდა კლასიკოსთა ნაწარმოებებს, კლასიკასთან ერთად უკრავდა თანამედროვე მუსიკის ნიმუშებს და პროპაგანდას უწევდა ქართულ საკვარტეტო შემოქმედებას. თითქმის ყველაფერი, რაც ქართველმა კომპოზიტორებმა საკვარტეტო მუსიკის ჟანრში ბოლო წლებში შექმნეს, პირველად მათ გამოიტანეს მსმენელის სამსჯავროზე, მათ შორის, ახალგაზრდა კომპოზიტორების თემურ ბაკურაძის, თენგიზ შავლოხაშვილის, მიხეილ შუღლიაშვილის, სოსო ბარდანაშვილის კვარტეტები თუ რუბენ კაჟილოტის კამერული ქმნილებები. კვარტეტელები იხსენებენ, რომ მათი ურთიერთობა სოსო ბარდანაშვილთან დაიწყო იმ დროიდან, როცა მისი საფორტეპიანო კვინტეტი შეასრულეს ნანა ხუბუტიასთან ერთად. წლების განმავლობაში ასრულებდნენ ბარდანაშვილის პირველ სიმებიან კვარტეტს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იყო შესრულება ისრაელში, ტელ-ავივში 2000 წელს ქართული ხელოვნების ფესტივალზე. ერთი წლის შემდეგ სოსო ბარდანაშვილის საავტორო კონცერტზე, რომელიც თბილისში გაიმართა, მსმენელმა მოისმინა საკვარტეტო რეპერტუარის ყველაზე უჩვეულო ნიმუში — კვინტეტი ქართული დოლისა და სიმებიანი კვარტეტისათვის, სადაც კვარტეტი კიდეც უკრავდა, კიდეც მღეროდა და ცეკვავდა კიდეც.

„ქართულ მუსიკას ყოველთვის ძალიან კარგად უსმენდნენ უცხოეთში, მას დღესაც დიდი წარმატება აქვს. 20-30 წლის წინ ძალიან უკვირდათ, საქართველოს ასეთი ძლიერი კომპოზიტორები რომ ჰყავდა. საბჭოთა პერიოდში ადვილი არ იყო ეროვნული ნაწარმოების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის კლასიკოსები სრულდებოდა: პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი. მაშინ არც თანამედროვე მუსიკოსებს წყალობდნენ მაინცდამაინც. მაგალითად, ისეთი კომპოზიტორის შესრულება, როგორიც იყო

ალფრედ შნიტკე, არ შეიძლებოდა. იგი საბჭოთა სივრცეში ავანგარდისტად მიიჩნეოდა და მისი მუსიკა მაშინდელი ოფიციალური წრეებისთვის და ცენზურისთვის მიუღებელი იყო", — აღნიშნავენ კვარტეტის წევრები.

1973 — 2005 წლებში კვარტეტმა გამოუშვა ოცზე მეტი ფირფიტა და კომპაქტ-დისკი. მას, როგორც ნიჭიერ, ცოცხალ მუსიკალურ ორგანიზმს, შემოქმედებით გზაზე არაერთი გატაცება ჰქონია, არაერთხელ შეუცვლია საშემსრულებლო სტილი და მიმართულება. „შესრულების ტექნიკა დღეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. ინტერპრეტაცია კი ის ნიჭია, რომლითაც მუსიკოსები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ნაწარმოების ახლებურად დანახვა და შესრულება გულიდან მოდის და არა ტვინიდან. ამონურული რომ გგონია ნაწარმოები, ნახავ, რომ კიდევ დაგრჩა მასში რაღაც აღმოუჩენელი. ამას ყველა მუსიკოსი უნდა ესწრაფოდეს", — ამბობს ნოდარ ჟვანია.

ასე, მუდამ ახლის, თვითმყოფადის ძიებაში და მუდმივ მოძრაობაში გაატარეს ერთად საოცრად დატვირთული შემოქმედებითი 40 წელი. გატაცებაც, აღგზნებაც მეტისმეტი იციან, თუმცა ბევრს სწორედ ეს მოსწონსო, ამბობდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა კვარტეტზე ბიჭიკო ბარნაბიშვილი. გატაცებასა და შემოქმედებით წვაში, გინდაც აღგზნებაში და დაუსრულებელ კამათში ჩამოიქნა მათი გამოკვეთილი, აშკარად გამოხატული სახე და ყველასგან განსხვავებული შესრულება. „კვარტეტის მიერ საოცრად შესრულებული შუბერტი არ ჰგავდა იმ შუბერტს, რომელსაც ავსტრია მიეჩვია", — აღფრთოვანებით წერდა კვარტეტის ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ვენის პოპულარულ გაზეთში ერთი ავსტრიელი მუსიკისმცოდნე.

კიდევ რამდენი ასეთი აღმატებული შეფასების მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, მაგრამ თავს შევიკავებ, რადგან კვარტეტს თავისი შემოქმედებითი გზა ჯერ არ დაუსრულებია, კრედო და ტრადიცია ისეთი მაღალპროფესიული ანსამბლისათვის, როგორიც „სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტია", დოგმა ვერასდროს გახდება და ნოვაციას გზას ვერ გადაულობავს. ამიტომ, დამეთანხმებით, კვარტეტისაგან ბრინჯაოს ქანდაკების ჩამოსხმა ჯერ ძალზე ნაადრევია და ამ ჯერზე იმ „მოკრძალებულ" შეფასებებს დავჯერდები, რომლებიც ამ წიგნში საკმაოდ უხვადა გვაქვს მიმოფანტული.

თავი XII

ბლიცინტერვიუ კვარტეტთან

ავტორი — რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი გქვიათ?

ნოდარ ჟვანია:

— ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში არის ერთი სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. ეს არის დიდი დაფასება და პასუხისმგებლობა შენი ქვეყნის და შენი ერის წინაშე. არა გაქვს უფლება, ცუდად დაუკრა. იყო დრო, როცა ამ სახელის ჩვენთვის წართმევა მოინდომეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

თამაზ ბათიაშვილი:

— დღეს ეს ჩვენ ცოტათი ანაქრონიზმად მიგვაჩნია — სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. ევროპაში ზოგიერთი კოლეგა გვეუბნებოდა, თქვენ ისეთი კარგი სახელი გქვიათ, ისე კარგად ჟღერს „საქართველოს სიმებიანი ორკესტრი" — Georgian String Orchestra, იქ შუაში „სახელმწიფოს" (სტატე) თუ ჩაწერ, ყველას საბჭოთა კავშირი ეგონებაო. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო კოლექტივები მსოფლიოში აღარ არსებობს. ჩვენც დავფიქრდით ამაზე, მაგრამ გადავიფიქრეთ. დღეს ჩვენ ძალიან ვამაყობთ იმით, რომ შეიძლება სახელმწიფო კვარტეტი ვიყოთ, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს სახელმწიფო, გვეხმარება, ჩვენი იმედი აქვს. დღეს სახელმწიფოს გვერდში დგომა სჭირდება და ჩვენც ჩვენებურად უნდა ჩავდგეთ მის სამსახურში. როდესმე ხომ უნდა აშენდეს ნორმალური ქვეყანა?! თანახმა ვართ, გვერქვას ეს ძველმოდური სახელი და სახელმწიფოს შენებას ვემსახუროთ, ჩვენი საქმით და გამოცდილებით ქართულ კულტურას შევმატოთ იმაზე მეტი, რაც აქამდე გვიკეთებია; ვიყოთ აქ, ჩვენი სახელმწიფოს ნაწილი და არა კერძო პირებისგან შემდგარი ანსამბლი, რომელიც ზოგადად ხელოვნებას ემსახურება. ხელოვანისთვის, მართალია, ასე ჯობია,

მაგრამ, ვინაიდან დღეს სხვა სიტუაციაა — ექსტრემალური — მიგვაჩნია, რომ ეს სახელი ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვისაც და ჩვენი სახელმწიფოსთვისაც.

კოტე ვარდელი: სახელმწიფო კვარტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფო გიხდის ჯამაგირს, რომ ხარ ყველაზე კარგი. ჩვენ ძალიან საპასუხისმგებლო და კარგი სახელი გვქვია — „სულხან ცინცაძის სახელობის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი". მსოფლიოშიც ამ სახელით გვიცნობენ.

ოთარ ჩუბინიშვილი: იდიოტობაა — „სახელმწიფო კვარტეტი". არც ერთ ქვეყანას არ ჰყავს სახელმწიფო კვარტეტი. მაგრამ სახელმწიფო აფინანსებდა და ამიტომ ერქვა ასე.

ჩვენ დავბრუნდით და...

„ჩვენ უკვე ნამოსვლაზე ვფიქრობთ, ალბათ მალე გადმოვბარგდებით, გვინდა რაღაც კონკრეტული დავუტოვოთ ჩვენს ქვეყანას, სპეციალური მუსიკალური სკოლა გავხსნათ".

საქართველოს სულხან ცინცაძის სახელობის
სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი
2005 წელი

ბედნიერი ვარ, რომ კვარტეტი დაუბრუნდა მშობლიურ კონსერვატორიას

მანანა დოიჯაშვილი

2006 წლის 15 მაისი

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი ქართული საშემსრულებლო ხელოვნების სიამაყეა. როგორც ბევრ ქართველ მუსიკოსს, მეც განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს მასთან. ჩვენი პირველი შემოქმედებითი შეხვედრა 1977 წელს შედგა და მას შემდეგ ეს კავშირი არ გაწყვეტილა. კვარტეტთან მუზიცირება დიდი სიამოვნებაა. ეს არის კოლექტივი, რომლის თითოეული წევრი მაღალი პროფესიონალიზმითა და არტისტული ინდივიდუალობით გამოირჩევა. მე მოწმე ვარ მრავალი წარმატებისა, რომელიც კვარტეტს თან სდევდა ავსტრიაში, ფინეთში, ისლანდიაში, ესპანეთში, გერმანიაში ... საგასტროლო ტურნეებში ჩვენი ერთად მოგზაურობა მუდამ მხიარული ეპიზოდებით იყო გაჯერებული, იუმორის გრძნობა ჩვენი კვარტეტის თითოეულ წევრს მართლაც რომ ჭარბად აქვს მომადლებული.

იყო პერიოდი, როცა თამაზ ბათიაშვილმა, ოთარ ჩუბინიშვილმა და მე ტრიო ჩამოვაყალიბეთ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვმართავდით კონცერტებს, სოფელ-სოფელ დავეხეტებოდით სამი ქართლელი და მალე „ტეტიების ტრიო“ შეგვარქვეს. ეჭვი მაქვს, ეს მახვილგონიერებაც კვარტეტის ბიჭების იუმორის ნაყოფი იყო.

კვარტეტის დამსახურება ქართული მუსიკის პროპაგანდის საქმეში განუსაზღვრელია. 1970 წლიდან ეს კოლექტივი თითქმის ყველა ქართველი კომპოზიტორის საკვარტეტო ოპუსის პირველი და საუკეთესო შემსრულებლებელი იყო, ხოლო მათი მეგობრობა საკვარტეტო მუსიკის დიდოსტატ სულხან ცინცაძესთან, მართლაც, სამაგალითოა. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი სულხან ცინცაძის სახელს ატარებს.

საქართველოსთვის მძიმე 90-იან წლებში კლასიკური მუსიკისა და ქართველი შემსრულებლების პოპულარიზაციის მიზნით ჩვენ საკონცერტო ფირმა „კლასი-

კა" დავაფუძნეთ და არაერთი საინტერესო კონცერტიც გავმართეთ. მაგრამ მალე, სამწუხაროდ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ კვარტეტს მთელი შემადგენლობით გერმანიაში მოუხდა გადასვლა საცხოვრებლად, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო მათ შემოქმედებით მოღვაწეობაში.

და მაინც, ქართული მუსიკალური კულტურისათვის, განსაკუთრებით სამუსიკო პედაგოგიკისათვის, ეს დიდი დანაკლისი იყო. კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი და ნოდარ ჟვანია ხომ სიმებიანი საკრავების კათედრის წამყვანი პროფესორები იყვნენ. დღეს მე ბედნიერი ვარ, რომ ისინი დაუბრუნდნენ მშობლიურ კონსერვატორიას და კვლავ დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ პედაგოგიურ საქმიანობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს ჩვენში. ამ არაჩვეულებრივი კოლექტივის წევრების ორმოცწლიანი შემოქმედებითი თანამშრომლობა თუ პიროვნული მეგობრობა მართლაც სანიმუშოა. ვფიქრობ, მათ ცხოვრებაში დიდი არტისტული გამოცდილების, სიმწიფისა და სიბრძნის ახალი ეტაპი იწყება, რომელიც ჩვენს მუსიკის მოყვარულებს ბევრ სიხარულს მოუტანს.

***

როდესაც ბიჭიკო ბარნაბიშვილს მანანა ახმეტელმა ჰკითხა, რატომ განაცხადეთ საშემსრულებლო კარიერაზე უარი სწორედ მაშინ, როცა კვარტეტმა აღიარება უკვე მოიპოვაო, ამაზე მაესტრომ საკმაოდ გაცვეთილი, მაგრამ გენიალური პასუხი გასცა: *მსახიობი, შემსრულებელი უნდა ჩამოსცილდეს შემოქმედებით ასპარეზს მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ კარგ საშემსრულებლო ფორმაშია და ფინიშის მოახლოებას შინაგანად კი არ გრძნობს, არამედ გონებით, ასაკით საზღვრავს. გამოგიტყდებით და მე თვითონ ვიგრძენი თაობათა შორის არსებული დისტანცია. ის, რაც ახალგაზრდებისთვის ახლობელია, მე ნაკლებად მიზიდავს. ის, რაც ახალგაზრდებისთვის სინამდვილეა, რასაც მთელი არსებით ეწაფებიან — თანამედროვე მუსიკა — ჩემთვის ოდნავ შორია. მათ შესწევთ მისი აღქმა-შემეცნების უნარი. ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა როდია, ეს უკვე შინაგანი მოთხოვნილებაა, ამაში მე მათ ნამდვილად ჩამოვრჩებიო.*

ეს სიტყვები ჩაწერილია 1974 წელს. 2002 წელს ჟურნალ „ომეგას" ჟურნალისტ მარინე რევიშვილთან კოტე ვარდელი კვარტეტის ცხოვრებას საინტერესო შემოქმედებით გზას უწოდებს და დასძენს: „ხშირად ვფიქრობ, რომ ეს გამოცდილება ახალგაზრდებს უნდა გადავცეთ. აქ რომ ვიყო, თბილისში, შევეცდებოდი, ახალ კოლექტივთანაც მემუშავა. გერმანიაშიც ვასწავლიდი, მაგრამ მე აქ უფრო მინდა. ისე კი, ნებისმიერ ადამიანს, ხელოვანს, ერთ მშვენიერ დღეს უნდა შეეძლოს უთხრას თავის თავს: გეყო, საკმარისია".

მას შემდეგ სამი წელი გავიდა და კოტე ვარდელმა ჩემთან საუბარში ნამდვილი შემოქმედისათვის დამახასიათებელი შემართებით განაცხადა: — *ჩვენ ჩამოვედით და აქ უნდა ვიცხოვროთ. მე მინდა, რომ მოვნახოთ ნამდვილად ნიჭიერი ხალხი, ერთ-ორ წელიწადში ვასწავლოთ რეპერტუარი, მოვამზადოთ კონკურსებისთვის, გავუშვათ საერთაშორისო არენაზე, რათა ჩვენს მერე მაღალი რანგის კვარტეტმა კვლავ იარსებოს. კვარტეტის შექმნა ძალიან ძნელია, უნდა იყოს ყოველმხრივი დამთხვევა, ოთხივეს სიგიჟემდე უნდა უყვარდეს კვარტეტი, იყოს პროფესიონალი, ოთხივეს უნდა ჰქონდეს მსგავსი ხასიათი, ფასეულობები.* ***ამ მხრივ, ჩვენ ბედმა გაგვიღიმა.*** *ახლა კი უნდა ვეძებოთ, მოვინდომოთ და შევქმნათო.*

ნოდარ ჟვანიას ნაამბობიდან ვგებულობ, რომ 1966 წლიდან ყოველ წელს კვარტეტი პროვინციაში, კლასიკური მუსიკის პროპაგანდის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რაიონში დამოგზაურობდა. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს სოფლებში სააბონემენტო ლექცია-კონცერტების ციკლი წამოიწყეს. კონცერტები მუსიკალურ სასწავლებლებში და სკოლებში იმართებოდა. თუ დასაწყისში ბავშვებისათვის მხოლოდ ქართულ მუსიკას უკრავდნენ, ბოლოს იმ სერიოზულ კლასიკასაც ასმენინებდნენ, რომელსაც ჩვეულებრივ, კონცერტებზე ასრულებდნენ ხოლმე.

სად არ დაეხეტებოდნენ: სვანეთის, ახალციხის და ხარაგაულის გაუვალ გზებზე, მიყრუებულ სოფლებში, ერთ ასეთ მიუდგომელ ადგილას ბავშვები შემოეხვივნენ და ვიოლინოზე დაკვრა გვინდაო — უთხრეს. ამის გახსენებაზე თამაზ ბათიაშვილს ყელში დიდი ბურთი ეჩხირება ხოლმე და საუბარს წყვეტს. მეორე სოფელში ქართული მინიატურების მოსმენის შემდეგ მსმენელებმა კვარტეტს სთხოვეს, ცოტა რამ კლასიკიდანაც დაგვიკარითო.

„ახალციხის სკოლის დარბაზში ვუკრავდით. მეტირება, რომ ვიგონებ, როგორი ხალხია იქაური პედაგოგები — ნამდვილი გმირები არიან, ისინი ბავშვების განათლებისთვის ძალ-ღონეს და ენერგიას არ იშურებენ, სუფთა ენთუზიაზმზე მუშაობენ და ადგილს არ სწყდებიან მაშინ, როცა ამ გაუსაძლისი პირობების გამო ნახევარი საქართველო დაიცალა" — ამბობს თამაზ ბათიაშვილი.

ამ მოღვაწეობისათვის კვარტეტს ღირსების ორდენი მიენიჭა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და არც მაშინ შეწყვეტილა, როცა გერმანიაში ნავიდნენ საცხოვრებლად. მთელი ამ თორმეტი წლის განმავლობაში ყოველ წელს ჩამოდიოდნენ და საქართველოს პროვინციებში ლექცია-კონცერტებს აწყობდნენ.

კვარტეტელები ამბობენ, რომ მათ ნაჯაფს უშედეგოდ არ ჩაუვლია, რომ ცოცხალ შესრულებას, უშუალო კონტაქტს აუდიტორიასთან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის; რომ ნამდვილ ხელოვნებას არასოდეს აკლდა და აკლია თაყვანისმცემელი, ხოლო მუსიკის აღქმის ბუნებრივი დახვეწილობა, სულიერი არისტოკრატიზმი ნებისმიერ ქართველში ძევს, თუნდაც იმ სოფლელ პატარა ბიჭებში, რომლებსაც ვიოლინოზე დაკვრა უნდათ.

თამაზ ბათიაშვილმა შემომჩივლა, მუსიკალურ სკოლაში ინსტრუმენტები აღარ არის, რაც იყო დაიშალა, დაიმსხვრა, ხელოსნებიც აღარ არიანო. საბჭოთა კავშირის დროს ინსტრუმენტებს რუსეთიდან — მოსკოვიდან და ლენინგრადიდან — იღებდნენ, ერთიანი სისტემა იყო. ახლა ეს წყარო დაშრა, სხვა — არ არის. მისი სიძე, ცნობილი ფრანგი მუსიკოსი ეხმარება კონსერვატორიას და სასულე ინსტრუმენტებს ჩუქნის ხოლმე.

აქედან დაიბადა თბილისში სიმებიანი ინსტრუმენტების სპეციალური სკოლის გახსნის იდეა. სკოლას, რა თქმა უნდა, კვარტეტი გაუძღვება. ახლა სპონსორებს ეძებენ. გაიგეს კიდეც, საიდან შეიძლება ინსტრუმენტების იაფად შეძენა. სხვათა შორის, ამისათვის სულაც არ ყოფილა ბევრი ფული საჭირო. დაითვალეს, ასი საბავშვო ინსტრუმენტის შეძენა სულ 15 ათას აშშ დოლარად შეიძლება. სპონსორმა თუ მოინდომა, თუ მიიჩნია, რომ ეს მომავლისთვის საჭირო საქმეა, ყველაფერი მოგვარდება. კვარტეტს ისეთი მუსიკოსების გაზრდა უნდა, რომლებიც მომავალში ნებისმიერ კარგ ორკესტრში შეძლებენ

დაკვრას. ოთხივეს სურვილია, საქართველოში გააცნობიერონ, რომ ორკესტრი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, ფაქტობრივად — მისი სახეა. უცხოეთში ქალაქს, რომელსაც თუნდაც ორი კარგი სიმფონიური ორკესტრი არა ჰყავს, კულტურულ ქალაქად არ მიიჩნევენ. ევროპაში შესვლა თუ მართლა გვინდა, ამ სფეროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთო — დასძენენ ისინი.

— როცა საქართველოში დავბრუნდებით, ტელეგადაცემას მოვამზადებთ და საზოგადოებაში ამ მიმართულებით სერიოზულ აგიტაციას გავწევთ. გვინდა გავაცნობიერებინოთ საზოგადოებას, რომ ყველა სოლისტი ვერ გამოვა და არც არის საჭირო. მსოფლიოში საორკესტრო მუსიკოსების გაზრდის არაერთი შესანიშნავი მეთოდოლოგია არსებობს. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება დავაგროვეთ. პარალელურად ყველამ პედაგოგებად ვიმუშავეთ. სანამ ცოცხლები ვართ და ძალა გვერჩის, გვინდა ამ კეთილ საქმეს თავი დავადგათ. იმედი გვაქვს, ღმერთი ერთ ათ წელიწადს კიდევ, გვიწყალობებს და შეგვაძლებინებს, ქვეყანას ეს სიმდიდრე დავუტოვოთ. ჩვენ ვამაყობთ, რომ დღესაც მჭიდროდ ვთანამშრომლობთ კონსერვატორიასთან, მანანა დოიჯაშვილთან, ვახტანგ კახიძესთან, მათთან დიდი ხნის მუშაობა და მეგობრობა გვაკავშირებს. გაიხსნა თბილისის მუსიკალური ცენტრი, რომელიც რამდენიმე სახელმწიფო კოლექტივს აერთიანებს, მათ შორის, ჩვენს კვარტეტსაც. მუსიკოსების ერთი დიდი ოჯახი ვიქნებით. ჩვენი კრედო ის არის, რომ კონკურენცია შურს არ ნიშნავს. ჩვენ ყველა ერთად უნდა ვემსახუროთ ქართულ კულტურას. ჩვენ დავბრუნდით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ერისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, — ამბობს კვარტეტის სამი წევრი ნოდარ ჟვანიას სახელითაც, რომელიც დროებით ჯერ კიდევ გერმანიაშია ჩარჩენილი, ათას საკომუნიკაციო ხაზსა თუ ქსელს გამოკიდებული, და ერთი წუთიც არ არსებობს მისთვის კვარტეტზე ფიქრისა და მასზე ზრუნვის გარეშე. ოთხივე ერთად კი ახალი იდეებითა და შემართებით არის დამუხტული.

ღმერთმა ხელი მოუმართოსთ!

საღამოს, პირველ არხზე „ნამდვილის" თუ „მართალის" თუ „მთავარის" საყურებლად ტელევიზორს ჩავუჯექი და არხების გადართვა-გადმორთვისას თვალი უცებ საოცარ სურათს მოვკარი (რომელიღაც ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი მთავრდებოდა). იყო ძალიან ლამაზი, პასტორალური შემოდგომის თუ გაზაფხულის პეიზაჟი. სრულიად მოულოდნელად ამ პეიზაჟზე... ნაწვიმარი, შავიატაკიანი სველი სცენა და სცენაზე პალტომოხურული ნოდარ ჟვანია, კოტე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი და ოთარ ჩუბინიშვილი, საკუთარ თავში და მუსიკაში ჩაღრმავებულნი, საოცარი გატაცებით უკრავენ შუბერტს – შუა მინდორში, ბუნების წიაღში, ღრმა სოფელში. მერე კადრი იცვლება, მუსიკოსები ქრებიან, რჩება მხოლოდ მუსიკა, შავი, სველი იატაკი, ცარიელი სკამები და ერთი ნითელპალტოიანი სოფლელი გოგონა, რომელიც დაბოდიალობს ამ ცარიელ სკამებს შორის სავსე იქ დატოვებული მუსიკით. მერე ეს მუსიკა გოგონას

კადრი დათო ჯანელიძის კინოფილმიდან „დედუნა"

ეზოს კარამდე მიჰყვება, ეზოში ხიდან შავთავშალგადაფარებულ გალიას ჩამოხსნის და შიგ გამომწყვდეულ ჭრელთვალა ბუს გალიის კარს გაუღებს, სახლში შედის და თავისი ოთახის სარკმლიდან ჩუმად გაჰყურებს ულამაზეს, უკიდეგანო სივრცეს.

მე ამ ფილმის დასაწყისი არ მინახავს, არ ვიცი, რაზე მიგვითითებს ფინალი, მაგრამ, ვფიქრობ, მინიშნება ზედმიწევნით დახვეწილი ხელოვნებისა და თვითმყოფადი ველური ბუნების ჰარმონიაზე უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მინდა, რადგან დედამიწის ზურგზე ამაზე მშვენიერს ვერაფერს ვხედავ და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წიგნის პერსონაჟები სწორედ ამ ჰარმონიასთან შერწყმისთვის არიან დაბადებულნი.

მანანა დუმბაძე

AMUT
QUATUOR DE GEORGIE
SUPREME HEADQUARTERS ALLIED POWERS EUROPE
Certificate of Appreciation
The Georgian State String Quartet
For Participation in the 1990 Festival
BELGIUM
NORRTELJE
KAMMARMUSIK
Festival
5-13
GEORGISKA
XVII e Festival Musical de Saint-Yrieix
collégiale du Moustier
Quatuor de Géorgie
KUHMO
KAMMERMUSIK-
FESTSPIELE
KAMMER MUSIK PODIUM
GEORGISCHES STAATLICHES STREICHQUARTETT
Nederlands Blazers Ensem
Nieuw Sinfonie
Amsterdam
Kantcholi
Leben ohne Weihnacht
Georgisches Streichquartett
Nodar Gabunia Klavier
Beethoven
Rachmaninow
Brahms
The Georgian String Quartet
KVV
Festival Musicale di Ravello
dal 3 Giugno
all 8 Agosto
1998
SOMMER KONZERTE
DONAU ALTMÜHL
AMU
LA MUSIQU
COLMA
FOYER DU THÉÂTRE
ET KOÏFHUS - 20H30
QUATUOR DE GÉORGIE
Quatuor à cordes
Tchaikovski, Webern, Chostakovitch

26
მცირე საკონცერტო დარბაზი
საქართველოს სახელმწიფო ჟვარგეზი
კ. ვარდელი
ნ. ჟვანია
თ. ბათიაშვილი
ო. ჩუბინიშვილი
ელესო ფორადაძე

20
БОЛЬШОЙ ЗАЛ КОНСЕРВАТОРИИ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ
КВАРТЕТ ГРУЗИИ
К. ВАРДЕЛИ
Н. ЖВАНИЯ
Т. БАТИАШВИЛИ
О. ЧУБИНИШВИЛИ
Лексо ТОРАДЗЕ

28
БОЛЬШОЙ ЗАЛ КОНСЕРВАТОРИИ
АВТОРСКИЙ КОНЦЕРТ
КОМПОЗИТОРА
Альфреда ШНИТКЕ
К. ВАРДЕЛИ Т. БАТИАШВИЛИ Н. ЖВАНИЯ О. ЧУБИНИШВИЛИ
Гидон КРЕМЕР и Татьяна ГРИНДЕНКО
Юрий СМИРНОВ Нодар ГАБУНИЯ
Анна СОБОЛЕВА и Всеволод СОКОЛ-МАЦУК

მსოფლიოში განთქმული სიმღების მწარმოებლის ტომასტიკ-ინფელდის ოჯახში (ვენა, 1991 წ.)

თამაზ ბათიაშვილი ლიზა ბათიაშვილთან და მის მეუღლესთან, ცნობილ ფრანგ ჰობოისტ ფრანსუა ლელესთან ერთად (2006 წ.)

საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი ქ. ინგოლშტატში (გერმანია, 1996 წ.)

იეჰუდი მენუჰინი და საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით (ქ. ინგოლშტატი, გერმანია, 1995 წ.)

კვარტეტის წევრები
იეჰუდი მენუჰინთან ერთად

კვარტეტი კომპოზიტორებთან იოსებ ბარდანაშვილთან და რუბენ კაჟილოტისთან ერთად
(ისრაელი, 2000 წ.)

მარცხნიდან მარჯვნივ: ოთარ ჩუბინიშვილი, ფრანგი მევიოლინე ივრი გიტლისი, კვარტეტის დიდი გულშემატკივარი, საბერძნეთის კონცერტების ორგანიზატორი ავთანდილ მიქაბერიძე, ბერძენი მეცენატი კოსტა კონსტანტინიდისი, უცნობი, ნოდარ ჟვანია, კოტე ვარდელი, თამაზ ანდღულაძე და მამუკა ფარესიშვილი, იმ პერიოდში კვარტეტის მეორე ვიოლინო (ნაფტლიონი, 1992 წ.)